საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი

ნინო ოხანაშვილი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

და საქართველო 2

გიორგი ბარბაქაძე

საწარმოს დაარსების თეორია და პრაქტიკა 42

თბილისი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საქართველო

■ ნინო ოხანაშვილი

ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლა მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის. საკმაოდ რთული აღმოჩნდა იგი საქართველოსთვისაც. ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში თითქმის გადაუწყვეტელ პრობლემად იქცა იმპორტის მოცულობის მკვეთრად გამოხატული წინგამსწრები ზრდა ექსპორტთან შედარებით. ასე მაგალითად: 1998

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 1994–1998 წლებში
(საზღვრისპირა ვაჭრობის, ჰუმანიტარული დახმარების და მომსახურების ვაჭრობის გარეშე)

წლები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
1994	539,2	186,0	353,2	–167,2
1995	542,8	151,2	391,6	–240,4
1996	885,5	198,8	686,7	–487,9
1997	1160,8	230,1	930,7	–700,6
1998	1241,6	194,0	1048,6	–853,6

წელს საქართველოს იმპორტმა შეადგინა 1048,6 მლნ. აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც ექსპორტი 194 მლნ. აშშ დოლარი იყო. სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო შესაბამისად —854,6 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. ყოველივე გამოწვეულია საწარმოო პოტენციალის დაბალი დონით, საქონლის დაბალი, თითქმის არაკონკურენტუნარიანობით საგარეო ბაზარზე და უცხოურ საქონელთან შედარებით მაღალი თვითღირებულებით შიდა ბაზარზე, ექსპორტის არასასურველი სასაქონლო სტრუქტურით, კერძოდ მასში სჭარბობს ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების ხვედრითი წილი. პრობლემას წარმოადგენს, ასევე აღრიცხვის საკითხი, რომელიც სრულყოფასა და დახვეწას მოითხოვს. მაგალითად თურქეთის სტატისტიკის სამსახურის 1997 წლის მონაცემებით ამ ქვეყნიდან საქართველოში ექსპორტირებულ იქნა 185,9 მლნ. აშშ დოლარის პროდუქცია, ხოლო საქართველოს შესაბამისი დეპარტამენტის მონაცემებით, ეს ციფრი შეადგენს მხოლოდ 114 მლნ. აშშ დოლარს. ანალოგიურად საქართველოს სტატისტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, იმავე 1997 წელს იმპორტმა ბულგარეთიდან შეადგინა 46,1 მლნ. აშშ დოლარი, მაშინ როდესაც, ბულგარეთის ოფიციალური ინფორმაციით, მათი ექსპორტი საქართველოში 120,4 მლნ. აშშ დოლარი იყო. სრული დისპროპორციაა საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის სტრუქტურაში საქართველოსა და უცხოეთის სტატისტიკურ მონაცემთა შორის. მაგალითად, თურქეთის სტატისტიკური სამსახურის მიერ ნაჩვენებია, 1997 წელს თურქეთიდან საქართველოში ექსპორტირებული 68,0 მლნ. დოლარის თხილი და მისი ნაწარმი, რაც ჩვენს საბაჟო სამსახურს საერთოდ დაფიქსირებული არა აქვს. და პირიქით, თურქეთის მონაცემებით საქართველოში თურქეთიდან იმპორტირებული იქნა მხოლოდ 253,8 ათასი აშშ დოლარის თამბაქოს ნაწარმი, მაშინ როდესაც საქართველოს სტატისტიკური მონაცემებით ეს ციფრი უტოლდება 33 მლნ. აშშ დოლარს. ასევე, ბულგარეთის ოფიციალური მონაცენებით, საქართველოში ექსპორტირებულ იქნა 78,6 მლნ. აშშ დოლარის ნავთობპროდუქტები, ხოლო საქართველოს ანალოგიური მაჩვენებელი 34,3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. გასაძლიერებელია სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. როგორც ანალიზი ცხადყოფს, ტვირთების მოძრაობის აღრიცხვაში სრული აღრევაა. ხშირად საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთი აღირიცხება როგორც საქართველოში იმპორტირებული, და პირიქით, სათანადოდ არ აღირიცხება საქართველოსათვის განკუთვნილი ტვირთი, რომელიც შემდგომ ტრანზიტად გაედინება მეზობელ ქვეყანაში. მეზობელი ქვეყნების (რუსეთი, თურქეთი, ნაწილობრივ ბულგარეთი და რუმინეთი) მიერ მათი ბაზრების უფრო მაღალი ტარიფებით დაცვა ართულებს ქართული პროდუქციის ექსპორტს ამ ქვეყნებში.

არსებულ ვითარებაში საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ექსპორტის ზრდა, რათა მისი ღირებულება მაქსიმალურად მიუახლოვდეს იმპორტის ღირებულებას და მოიხსნას სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას და მათ თვისებრივ გარდაქმნას ხელს შეუწყობს საქართველოს გაწევრიანება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ინტეგრაციულ გლობალურ — მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

საექსპორტო პოტენციალის ზრდა შესაძლებელია ქვეყანაში არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საშუალებით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებით, სავაჭრო კავშირების გაფართოებით.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას და მათ თვისობრივ გარდაქმნას, ასევე ზემოხსენებული პრობლემების მოგვარებას ხელს შეუწყობს საქართველოს ჩართვა მსოფლიო ინტეგრაციაში, მსოფლიო ვაჭრობაში, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთიერთობებში, კერძოდ, გაწევრიანება მსოფლიოში ერთერთ ყველაზე დიდ ინტეგრაციულ ბლოკში, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო) დაარსდა 1995 წლის 1 იანვარს ქ. ჟენევაში, შვეიცარია, „ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების" (GATT) ბაზაზე, მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა „მარაკეშის დეკლარაცია".

მსო მოწოდებულია დაარეგულიროს წევრ-ქვეყნების ურთიერთობები ე.წ. ურუგვაის რაუნდის მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებათა (1986—1994 წწ.), ხელშეკრულებათა პაკეტის საფუძველზე.

მსო-ს ძირითადი მიზანია მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაცია საიმპორტო ტარიფების თანმიმდევრული შემცირებითა და სხვადასხვა საიმპორტო არასატარიფო ბარიერების გაუქმებით. თავის საქმიანობისას იგი გამომდინარეობს იქიდან, რომ საერთაშორისო გაცვლის გაფართოება საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად და ოპტიმალურად გამოვიყენოთ მსოფლიო რესურსები, უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას და მდგრად განვითარებას.

მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაში ჩართვით სახელმწიფოები ამყარებენ საკუთარ სურვილსა და ძალისხმევას ინვესტორს, მეწარმეს, მომხმარებელს შეუქმნან სტაბილური და პროგნოზირებადი საქმიანი გარემო

მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, რომ მათი ეკონომიკური ურთიერთობები მიმართული იქნება ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, სრული დასაქმების უზრუნველყოფისა, რეალური შემოსავლების მნიშვნელოვანი და მუდმივად მზარდი დონის, ეფექტური მოთხოვნის, მზარდი წარმოების, საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის გაფართოების უზრუნველყოფისაკენ. მსოფლიო თანამეგობრობა მსო-ს ფარგლებში აღიარებს, რომ განვითარებადი და განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის აუცილებელია გარანტირებული იყოს საერთაშორისო ვაჭრობაში მათი ეკონომიკის განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისი წილი. ამ მიზნების მისაღწევად ქვეყნები დებენ ორმხრივად ხელსაყრელ ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, რომლებიც მიმართულია ტარიფების და სხვა სავაჭრო ბარიერების შემცირებისაკენ და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში დისკრიმინაციული რეჟიმის გაუქმებისაკენ. მსო-ს შეთანხმებები ქმნიან თამაშის ისეთ წესებს, რომლის შეცვლაც სახელმწიფოებს საკუთარი ნება-სურვილით თითქმის არ შეუძლიათ.

მსო ანხორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

მსო-ს მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების მართვა და ცხოვრებაში გატარება.

გამოდის ფორუმის როლში წევრებს შორის მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებებისათვის და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას;

აგვარებს სავაჭრო დავებს მის წევრებს შორის;

ზედამხედველობას უწევს მისი წევრი ქვეყნების ეროვნულ სავაჭრო პოლიტიკას.

თანამშრომლობს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართულნი არიან გლობალური ეკონომიკური სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებაში. მაგ: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი და სხვ.

მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების ცხოვრებაში გატარების მიზნით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მთელი რიგი საბჭოებისა და კომიტეტების საშუალებით ზედამხედველობას უწევს მათ ფუნქციონირებას. ეს შეთანხმებები მთლიანობაში ქმნიან მრავალმხრივ სავაჭრო სისტემას, რომლის ფუნდამენტურ პრინციპებსაც წარმოადგენენ:

ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე რაც გულისხმობს ერთდროულად წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისთვის „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" მინიჭებას და ასევე თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას იმპორტული და ადგილობრივი საქონლისათვის. ანუ „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" თანახმად მხარეები ვალდებულებას იღებენ, მიანიჭონ სხვა წევრი ქვეყნის პროდუქციას არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე მინიჭებული აქვს ამ რეჟიმის მიმცემ სახელმწიფოში სხვა ნებისმიერი ქვეყნის პროდუქციას. „ეროვნული რეჟიმის" დებულებების თანახმად კი შემოტანილი და ადგილობრივი პროდუქციის მიმართ დაწესებული უნდა იყოს ერთიდაიგივე რეჟიმი. იგივე წესებით რეგულირდება ინტელექტუალური საკუთრებითა და მომსახურებით ვაჭრობაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ გამონაკლისის სახით პირველი რეჟიმი არ ვრცელდება თავისუფალ სავაჭრო ზონებში ან არაინდუსტრიული ქვეყნებისათვის დაწესებულ შეღავათებზე, ხოლო „ეროვნული რეჟიმი" კი — ტარიფებსა და სამთავრობო შესყიდვებზე.

ბაზარზე პროგნოზირებადი და მზარდი

მსო აფვართოებს GATT 1947-ის ადრინდელ წესებს, რომლის მიხედვითაც მთავრობებს საშუალება ეძლევათ დააწესონ „არაკეთილსინდისიერი“ კონკურენციისათვის საკომპენსაციო ორი სახის გადასახადები: დემპინგისა და სუბსიდიებისათვის

დაშვება მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაში ჩართვით სახელმწიფოები ამყარებენ საკუთარ სურვილსა და ძალისხმევას ინვესტორს, მეწარმეს, მომხმარებელს შეუქმნან სტაბილური და პროგნოზირებადი საქმიანი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ვაჭრობას, ინვესტირებას, სამუშაო ადგილების შექმნას, მრავალფეროვნებას და დაბალ ფასებს ბაზარზე. უსაფრთხო და პროგნოზირებადი ბაზარზე დაშვების არსებობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ტარიფები და საბაჟო გადასახადები. მაშინ, როდესაც რაოდენობრივი შეზღუდვები, ანუ ქვოტები, აკრძალულია მსო-ს მიერ, ტარიფები რჩება ერთადერთ კანონიერ, მსო-ს მიერ ნებადართულ საშუალებად, რითაც შეიძლება მოხდეს ეროვნული წარმოების დაცვა და სახელმწიფო შემოსავლების გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ურუგვაის რაუნდზე 120-ზე მეტმა ქვეყანამ განახორციელა სატარიფო შემცირებები.

კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება, ხელშეწყობა. მსო აფართოებს GATT 1947-ის ადრინდელ წესებს, რომლის მიხედვითაც მთავრობებს საშუალება ეძლევათ დააწესონ საკომპენსაციო გადასახადები ორი სახის „არაკეთილსინდისიერი“ კონკურენციისათვის: დემპინგისა და სუბსიდიებისათვის. ამ პრინციპით მსო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი შეიმუშავებს წესების ისეთ სისტემას, რომელიც მიმართულია სამართლიანი და ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებისაკენ.

განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების წახალისება. მსო-ში შენარჩუნებულია GATT 1947- ის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ განვითარებადი ქვეყნებისათვის მხარდაჭერას. მაგალითად, დებულებები ინდუსტრიული ქვეყნების მიერ განვითარებადი ერებისათვის ვაჭრობაში ხელშეწყობის წახალისების შესახებ. განვითარებად ქვეყნებს მიეცათ გარდამავალი პერიოდი მსო-ს განსაკუთრებით რთულ დებულებებთან შესაგუებლად. ნაკლებად განვითარებული ქვეყნები სარგებლობენ კიდევ უფრო მეტი უპირატესობებით. მსო-ს წევრების თითქმის 3/4-ზე მეტს წარმოადგენენ განვითარებადი და ეკონომიკური რეფორმების პროცესში მყოფი ქვეყნები. 1986-1994 წლებში ურუგვაის რაუნდის 7,5 წლიან პერიოდში 60-ზე მეტმა ასეთმა ქვეყანამ შეასრულა ვაჭრობის ლიბერალიზაციის ვალდებულებები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ორგანიზაციულ სამართლებრივი საფუძველი შედგება სამი ნაწილისაგან: გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე, 1994 წლის რედაქციით (GATT — 1994), გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე (GATS), და შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტებზე (TRIPS). GATT — 1994-ის წილად მოდის მსო-ს მთელი სამართლებრივი დოკუმენტაციის დაახლოებით 4/5.

ურუგვაის რაუნდის ხელშეკრულებათა პაკეტი შედგება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ შეთანხმებისა და მისი დამატებებისაგან, რომლებიც მოიცავენ საქონლით ვაჭრობის, მომსახურების და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ სამართლებრივ შეთანხმებებს, ხელშეკრულებებს და სხვა დოკუმენტებს. ყველა ეს დოკუმენტი, მთელი პაკეტი განიხილება, როგორც ერთიანი მთლიანი. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა, რომელიც წევრიანდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ვალდებულია შეუერთდეს ყველა ხელშეკრულებას გამონაკლისის გარეშე. ერთადერთი შეღავათი ამ მიმართულებით არის ხელშეკრულებათა განხორციელების განსხვავებული ვადა, რომელიც უფრო ხანგრძლივია განვითარებადი ქვეყნებისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში

დანართი №1



გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვისაც.

მთელი ამ ხელშეკრულებათა პაკეტის საფუძველს წარმოადგენს გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT). GATT არის თავისებური მოდელი, რომლის საფუძვლზეც შექმნილია მსო-ს ორგანიზაციული მექანიზმი და მისი მრავალი შეთანხმება.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინამორბედი — GATT შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. როდესაც სახელმწიფოების წინაშე

არნახული აქტუალობით დადგა საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა. ამ დროს ისეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციების ფონზე, როგორიცაა „ბრეტონ ვუდსის“ ინსტიტუტები — საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ყალიბდება GATT .

მსო-ში შენარჩუნებულია GATT 1947- ის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ განვითარებადი ქვეყნებისათვის მხარდაჭერას

GATT , ანუ გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე, ფაქტიურად წარმოადგენს მის წევრ-სახელმწიფობს შორის (რომელთა წილად მოდის მსოფლიო ვაჭრობის მთლიანი მოცულობის დაახლოებით 90%) არსებული ვალდებულებების შეთანხმებას. ამ შეთანხმების მიზანია საქმიანი სამყაროსათვის უსაფრთხო და პროგნოზირებადი საერთაშორისო გარემოს, ასევე ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის პროცესის უზრუნველყოფა, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. ამ ყველაფერის დახმარებით კი ეკონომიკის ზრდისა და მსოფლიო მასშტაბით განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ვაჭრობის ორგანიზაციული გაუმჯობესება(იხ. დანართი №1). შეთანხმებაში ნათქვამია შემდეგი: „თითოეულ ქვეყანას აქვს უფლება განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაიცვას საკუთარი უსაფრთხოება, ექსპორტის ხარისხი, ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ცხოველთა და მცენარეთა სამყარო, გარემო, ან შეაჩეროს ფალსიფიკაცია იმ დონემდე, სადამდეც თვითონ ჩათვლის საჭოროდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ზომები არ იქნება მიმართული იმპორტიორის დისკრიმინაციისაკენ და საერთაშორისო ვაჭრობას არ შეუქმნის ფარულ დაბრკოლებებს“. ამასთან ორგანიზაციის წევრებმა ვალდებულება აიღეს დაეცვათ შემდეგი წესები:

მსო-ს განსაკუთრებით რთულ დებულებებთან შესაგუებლად განვითარებად ქვეყნებს მიეცათ გარდამავალი პერიოდი

❖ *ეროვნული რეჟიმი* — იმპორტული საქონლისათვის შექმნილი პირობები არ უნდა იყოს სამამულოზე უარესი

❖ *პროპორციულობა* — შესაბამისობის დადგენის ზომები არ უნდა იყოს კონკრეტული საქონლის მიერ გამოწვეულ რისკზე მკაცრი;

❖ *ჰარმონიზაცია* — საერთაშორისო სტანდარტების (ნებაყოფლობითი ტექნიკური დოკუმენტები), რეგლამენტების (სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტები), ან შესაბამისობის დამდგენი წესების არსებობისას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრმა არ უნდა შექმნას მათგან განსხვავებული ეროვნული დოკუმენტი;

❖ *არადისკრიმინაცია* — GATT -ის შეთანხმებები ერთნაირად უნდა გავრცელდეს ყველა წევრ-ქვეყანაზე;

❖ *ნოტიფიკაცია* — თუ რომელიმე ქვეყანა აპირებს მიიღოს საერთაშორისოსგან განსხვავებული სტანდარტი, ტექნიკური რეგლამენტი ან შესაბამისობის შემფასებელი პროცედურა, იგი მოვალეა მსო-ს სამდივნოს აცნობოს ამ ნაბიჯის მიზეზი და წარუდგინოს დოკუმენტის მოკლე შინაარსი.

❖ *ტრანსპარენტულობა „გამჭვირვალობა“* — ნებისმიერი მიღებული ნორმატიული ტექნიკური დოკუმენტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

❖ *საინფორმაციო ცენტრის შექმნა* — მსო-ს თითოეული წევრი ხსნის ერთ ან რამოდენიმე საინფორმაციო ცენტრს, სადაც ზედმეტი პრობლემების გარეშე შესაძლებელია მიიღო ზუსტი ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედ ტარიფებზე, ნორმებზე, სტანდარტებზე, რეგლამენტზე და ა.შ.

ვაჭრობისა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების დადებას საფუძველი ჩაეყარა 1946 წელს ლონდონში გამართულ ჰავანის ქარტიის მოსამზადებელი კომიტეტის პირველ შეხვედრაზე. მონაწილე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, როგორც დროებითი საშუალება, დაერეგულირებინათ აშშ-ს მიერ შემოთავაზებული სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შემცირებები სპეციალური შეთანხმებით.

GATT- ის „ხელშემკვრელ“ 23 წევრ-ქვეყანას შორის 1946 წელს დაიწყო პირველი მოლაპარაკებები ტარიფების ირგვლივ. ამ მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა 45 ათასი სატარიფო კონცესია (დათმობა), რომელმაც საბოლოო ჯამში 10 მლრდ. აშშ დოლარი, ანუ მთელი მსოფლიო ვაჭრობის 1/5 შეადგინა. შეთანხმდნენ, რომ ზოგიერთი სავაჭრო წესების წინასწარი მიღებით, ამ კონცესიების მოცულობა შეენარჩუნებინათ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წესდების პროექტში. ამ წესებმა და სატარიფო კონცესიებმა მთლიანობაში მიიღო ვაჭრობაზე და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების სახელწოდება.

საბოლოოდ ჩამოყალიბდა GATT- ი, რომელსაც ხელი მოეწერა 1947 წლის 30 ოქტომბერს ჟენევაში 23 სახელმწიფოს მიერ. იგი ძალაში შევიდა 1948 წლის 1 იანვარს. მსო-ს შექმნის დროისათვის GATT-ის ხელშემკვრელმა მხარეთა რიცხვმა შეადგინა 128.

GATT- ის დამფუძნებელი 23 ქვეყანა იმ 54 ქვეყანას შორის შედიოდა, რომლებიც მუშაობდნენ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის (ITO, International Trade Organization) წესდების პროექტზე, რომელიც გაერო-ს სპეციალიზებული ორგანიზაცია უნდა გამხდარიყო. წესდებაში განსაზღვრული იყო არა მარტო მსოფლიო ვაჭრობის დისციპლინები, არამედ წესებიც, რომლებიც მოიცავენ დასაქმების საკითხებს,

GATT- ს ხელი მოაწერა 23 სახელმწიფომ 1947 წლის 30 ოქტომბერს ქ. ჟენევაში და ძალაში შევიდა 1948 წლის 1 იანვარს. მსო-ს შექმნის დროისათვის GATT -ის ხელშემკვრელ მხარეთა რიცხვმა შეადგინა 128

სასაქონლო შეთანხმებებს, საერთაშორისო ინვესტიციებს, მომსახურებას და სხვ. ITO -ს შექმნით სახელმწიფოებს სურდათ ხელი შეეწყოთ ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის და შეეცვალათ საერთაშორისო ვაჭრობაში შემორჩენილი პროტექციონისტური ზომები. მიუხედავად იმისა, რომ 1948 წლის 24 მარტს 54 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ იქნა „საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ჰავანის ქარტია", ამ ორგანიზაციის საბოლოოდ რატიფიცირება მონაწილეთა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში შეუძლებელი აღმოჩნდა. იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს შორის ზოგიერთ საკითხზე შეთანხმების მიღწევა, აშშ-ს დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება, რომ არ მოხდებოდა ქარტიის კონგრესისათვის სარატიფიკაციოდ წარდგენა. რამდენადაც აშშ მოლაპარაკებების მთავარი ინიციატორი იყო, მის გარეშე ITO- მ შეწყვიტა ფუნქციონირება. GATT- ის ხელშემკვრელი მხარეები ვარაუდობდნენ შეთანხმების დროებით გამოყენებას და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსების შედეგ გენერალური შეთანხმების ITO -ს საბოლოო სტრუქტურის ნაწილად გახდომას. მაგრამ ვინაიდან ეს უკანასკნელი არ დაარსებულა, მსოფლიო სავაჭრო სისტემის სამართლებრივ საფუძვლად დარჩა GATT თავისი დროებითი ფორმით. ამ დროისათვის მიუხედავად თავისი პირობითი ხასიათისა, GATT დარჩა ერთადერთ მრავალმხრივ ინსტრუმენტად რომელიც არეგულირებდა საერთაშორისო ვაჭრობის ასპექტებს.

GATT- ის მონაწილენი კისრულობდნენ ვალდებულებას ურთიერთვაჭრობა აეგოთ გარკვეულ წესებზე დაყრდნობით. ეს ფუნდამენტული პრინციპებია:

- *ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე*

GATT- ის პირველი მუხლის შესაბამისად („უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი"-ს პუნქტი) წევრები ვალდებულნი არიან დისკრიმინაცია არ გაუწიონ სხვა წევრი ქვეყნების პროდუქციას და მათ მიანიჭონ არა იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი რეჟიმი, რასაც ანიჭებენ მესამე ქვეყნის პროდუქციას. ამრიგად, „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი" არის ის მთავარი ფაქტორი, რომელმაც საშუალება მისცა განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, შეზღუდვების გარეშე, თავისუფლად ესარგებლათ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს შორის მოლაპარაკებებით მიღწეული ხელსაყრელი ეკონომიკური პირობებით.

მომდევნო მუხლი კი, რომელიც „ეროვნული რეჟიმის" სახელწოდებითაა ცნობილი, მოითხოვს საიმპორტო და საექსპორტო საქონლის ერთი და იმავე პირობებში ჩაყენებას. ანუ მას შემდეგ, რაც საქონელი შევა ქვეყნის ბაზარზე, მას არ უნდა მიენიჭოს იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი რეჟიმი, რაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი წარმოების ანალოგიურ საქონელს.

- *ადგილობრივი წარმოების დაცვა მხოლოდ საიმპორტო ტარიფების მეშვეობით.*

აღნიშნული დებულება გულისხმობს ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის გატარებას, დასაბუთებულად დაბალი სატარიფო განაკვეთებით. ეს დებულება, აგრეთვე, მოითხოვს ყოველგვარი რაოდენობრივი შეზღუდვების მოხსნას. გამონაკლისია მხოლოდ განვითარებადი ქვეყნები, თუ საქმე ეხება მათი საგადამხდელო ბალანსის დაცვას. GATT არ კრძალავს ადგილობრივი წარმოების დაცვას. თუმცა მეორე ძირითადი პრინციპის არსი იმაში მდგომარეოს, რომ იქ, სადაც ამგვარი დაცვის ღონისძიებებია საჭირო, ისინი არსებითად, უნდა განხორციელდეს საბაჟო ტარიფების საშუალებით და არა სხვა კომერციული ღონისძიებებით. ამ პრინციპის მიზანია, რომ ცხადი გახდეს დაცვის ღონისძიებების ზომა და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დამახინჯებები ვაჭრობაში.

- *სტაბილური საფუძველი ვაჭრობისათვის.*

ვაჭრობისათვის სტაბილური და პროგნოზირებადი საფუძველი განპირობებულია ზღვრული ბმული ტარიფების (თითოეული ქვეყანა ახდენს თავისი საშუალოდ შეწონილი ტარიფების ზღვრული დონის შეთანხმებას) საშუალებით, რომელიც მიღწეულია წევრ-ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების შედეგად. ამ ბმული ტარიფების ნუსხა თითოეული ქვეყნისათვის მოცემულია მათ სატარიფო განრიგებში.

- *სამართლიანი კონკურენციის წახალისება.*

რადგანაც GATT ნებას რთავს წევრ-ქვეყნებს გარკვეულ სიტუაციაში გამოიყენონ ტარიფები და სხვა დამცავი ღონისძიებები, ცხადია იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურად „თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაციას". ის დაინტერესებულია ღია, სამართლიანი და ჯანსაღი კონკურენციის

არსებობით. მაგალითად, GATT- ის „ანტი-დემპინგურ კოდექსში“ მოცემულია წესები, რომლის მიხედვითაც ქვეყანას უფლება აქვს რეაგირება მოახდინოს მის შიდა ბაზარზე უცხოური კონკურენტის მიერ დემპინგის გატარებაზე. ასევე, GATT აწესრიგებს „მაკომპენსირებელი“ გადასახადების დაწესებას, რითაც ფაქტიურად განეიტრალებულია სუბსიდიების შედეგები.

- *რაოდენობრივი შეზღუდვები იმპორტზე.*

GATT- ის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა რაოდენობრივი შეზღუდვების საერთო აკრძალვა. ამით მოიხსნა მნიშვნელოვანი დაბრკოლება საერთაშორისო ვაჭრობაში.

ამ საერთო წესებიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც ქვეყანას სჭირდება ამგვარი შეზღუდვა საგადამხდელო ბალანსის სიძნელეების გადასალახავად. (მუხლი XII). ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რაოდენობრივმა შეზღუდვამ არ უნდა გადააჭარბოს საგადამხდელო ბალანსის დაცვისათვის აუცილებელ ზომას და ამასთან ისინი თანდათან უნდა შემცირდნენ და საბოლოოდ გაუქმდეს მას შემდეგ, რაც მისი არსებობა აუცილებელი აღარ იქნება. ეს გამონაკლისი განსაკუთრებით ვრცელდება განვითარებად ქვეყნებზე. ვინაიდან იმპორტი თავისთავად იწვევს ეროვნული ვალუტის გადინებას, სავალუტო რეზერვების დაცლისაგან თავის ასარიდებლად, ისინი იძულებულნი არიან მოახდინონ იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა, ოღონდ ეს უნდა მოხდეს არადისკრიმინაციულ საფუძველზე.

- *„უარის მთქმელი“ და გადაუდებელი ღონისძიებები.*

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური და სავაჭრო მდგომარეობა ამას ამართლებს, ქვეყანას „უარის მთქმელი“ პროცედურების საფუძველზე შეუძლია მოახდინოს GATT- ის განსაკუთრებული ვალდებულებებისაგან გადახრა (დარღვევა). GATT-ის მიერ განსაზღვრული დაცვის ღონისძიებები (Safeguards) უშვებენ მათ გამოყენებას მკაცრად განსაზღვრულ მდგომარეობაში. წევრ-ქვეყანას შეუძლია დააწესოს შეზღუდვა იმპორტზე ან შეაჩეროს სატარიფო კონცესიები, იმ პროდუქციაზე, რომლის დიდი რაოდენობით იმპორტი სერიოზულ ზიანს აყენებს ან შეუძლია მიაყენოს ადგილობრივ კონკურენტ მწარმოებელს.

- *რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები.*

გენერალური შეთანხმება თავის XXIV მუხლში აღიარებს თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობით ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაციის დიდ მნიშვნელობას. დღესდღეობით რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები, რომლის ფარგლებშიც ქვეყნები თანხმდებიან ერთმანეთს შორის გააუქმონ ან შეამცირონ ბარიერები იმპორტზე, შექმნილია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. GATT-ის წესები უზრუნველყოფს იმას, რომ ასეთი

GATT -ის სავაჭრო რაუნდები

დანართი №2

წელი	განსახილველი საკითხი	მონაწილე ქვეყნები
1947 ჟენევა	ტარიფები	23
1949 ანესი	ტარიფები	13
1951 ტორკაი	ტარიფები	38
1956 ჟენევა	ტარიფები	26
1960-1961 ჟენევა (დილონის რაუნდი)	ტარიფები	26
1964-1967 ჟენევა (კენედის რაუნდი)	ტარიფები და ანტი-დემპინგური ღონისძიებები	62
1973-1979 ჟენევა (ტოკიოს რაუნდი)	ტარიფები, არა-სატარიფო ღონისძიებები და „ჩარჩო“ შეთანხმები	102
1986-1993 ჟენევა (ურუგვაის რაუნდი)	ტარიფები, არა-სატარიფო ზომები, წესები, მომსახურეობა, ინტელექტუალურ საკუთრებათა უფლებები, დავების მოგვარება, ტექსტილი და ტანსაცმელი, სოფლის მეურნეობა, მსო-ს დაარსება და სხვა.	123

ჯგუფების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყოს დაინტერესებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობას, მის ფარგლებს გარეთ მყოფი ქვეყნებისათვის ბარიერების გაზრდის გარეშე.

რეგიონულმა სავაჭრო დაჯგუფებებმა XXIV მუხლის მიხედვით შეუძლიათ მიიღონ საბაჟო კავშირის ან თავისუფალი ვაჭრობის ზონის სახე. ამ ორივე შემთხვევაში გადასახადები, ან სხვა შეზღუდვები არ უნდა იყოს იმაზე მეტად მკაცრი და შემზღუდველი, ვიდრე ეს იყო ამ ჯგუფის შექმნამდე.

- *გამონაკლისის გაკეთება ტექსტილითა და ტანსაცმლით ვაჭრობაში.*

1974 წლიდან ტექსტილითა და ტანსაცმლით საერთაშორისო ვაჭრობის დიდი ნაწილი რეგულირდებოდა „მრავალთვისობრივი ღონის-

დანართი №3



ძიებებით“ (Multi-Fibre Arrangement, MFA). გამონაკლისის სახით MFA- მ უზრუნველყო საფუძველი, რომლის თანახმადაც განვი-თარებულმა ქვეყნებმა დააწესეს ქვოტები განვითარებადი ქვეყნებიდან უფრო კონკურენტუნარიანი ტექსტილისა და ტანსაცმლის იმპორტზე. ეს ღონისძიებები

გამოყენებულ იქნა მხოლოდ ოთხჯერ, (ბოლოს 1991 წელს 17 თვის განმავლობაში). ეს „დაცვის მექანიზმები" შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იმპორტის შედეგად შიდა ბაზარი ირღვევა ან დარღვევა ემუქრება. ამ ღონისძიებების ფარგლებში დაცვის მექანიზმებმა მიიღო ორმხრივი შეთანხმებების სახე.

GATT- ის არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე მისმა თავდაპირველმა ტექსტმა თითქმის შეინარჩუნა თავის პირვანდელი სახე. პერიოდულად ხდებოდა მასში დამატებების შეტანა „მრავალმხრივი" შეთანხმებების სახით (რომლებთანაც მიერთება GATT- ის ხელშემკვრელი მხარეებისთვის ნებაყოფლობითი იყო). ამ ხელშეკრულებებით გრძელდებოდა GATT- ის სტრატეგია ვაჭრობის ლიბერალიზაციის სფეროში. ტარიფების შემცირება შესაძლებელი გახდა მრავალმხრივი მოლაპარაკებების მთელი სერიის საშუალებით, რომელთაც „სავაჭრო რაუნდებსაც" უწოდებენ.

თავისი არსებობის მანძილზე GATT- ს ჰქონდა მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების რვა რაუნდი. GATT- ის თავდაპირველი სავაჭრო რაუნდები ძირითადად ტარიფების შემცირებისაკენ იყო მიმართული: I რაუნდი — ჟენევის 1947 წელი, 23 მონაწილე სახელმწიფო; II — ენესის 1949 წელი, 13 მონაწილე სახელმწიფო; III — ტორკაის 1950-1951 წწ., 38 მონაწილე სახელმწიფო, IV — ჟენევის 1955-1956 წელი, 26 მონაწილე სახელმწიფო, V — დილონის (ჟენევა) 1960-1961 წწ., 26 მონაწილე სახელმწიფო. (იხ. დანართი №2,)

მსო-ს დამფუძნებელი შეთანხმების დადება მოხდა ურუგვაის რაუნდზე, რომელიც 1986 წლიდან 1994 წლამდე გრძელდებოდა და მონაწილეობას ღებულობდა 123 სახელმწიფო

1964-1967 კენედის რაუნდზე (ჟენევა) 62 მონაწილე სახელმწიფოს მიერ მიღწეულ იქნა სატარიფო და არა-სატარიფო ბარიერების შემცირება როგორც სამრეწველო ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაში, ასევე ანტი-დემპინგური შეთანხმება.

1973-1979 წლების ტოკიოს რაუნდი (ჟენევა), 102 მონაწილე ქვეყნით, წარმოადგენდა პირველ სერიოზულ მცდელობას შეემცირებინათ სავაჭრო ბარიერები, რომელთაც არ ჰქონდათ სატარიფო ხასიათი და გაეუმჯობესებინათ სავაჭრო სისტემა. ამის შედეგად მსოფლიოს ცხრა უმსხვილეს სამრეწველო ბაზარზე საბაჟო ტარიფები საშუალოდ 1/3-ით შემცირდა, და საშუალო ტარიფმა სამრეწველო საქონელზე 4.7%-მდე დაიწია, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი GATT-ის შექმნის დროისათვის 40% იყო. (იხ. დანართი №3,). ტარიფების შემცირება, რომელიც რვა წლის განმავლობაში ეტაპობრივად ხორციელდებოდა, შეიცავდა ჰარმონიზაციის ელემენტს, პროპორციულად მცირდებოდა უმაღლესი ტარიფი. გარდა ამისა ტოკიოს რაუნდს საკმაოდ მრავალფეროვანი შედეგები ჰქონდა. ტარიფების შემდგომი შემცირების გარდა, შეთანხმებული იქნა ე.წ. „კოდექსები". ეს უკანასკნელნი არეგულირებდნენ შემდეგ მნიშვნელოვან შეთანხმებებს:

1. შეთანხმება სუბსიდიებსა და მაკომპენსირებელ ღონისძიებებზე — განმარტავს GATT- ის VI, XVI და XXIII მუხლებს;
2. შეთანხმება ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ — ზოგჯერ სტანდარტული კოდექსის სახელით ცნობილი;
3. შეთანხმება იმპორტის ლიცენზირების პროცედურების შესახებ;
4. შეთანხმება საბაჟო ტარიფების შეფასების შესახებ— განმარტავს VII მუხლს;
5. შეთანხმება ანტი-დემპინგის შესახებ— განმარტავს VI მუხლს და ცვლის კენედის რაუნდის ანტი-დემპინგურ „კოდექსს";
6. შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
7. შეთანხმება საქონლის ხორცით ვაჭრობის შესახებ;
8. რძის პროდუქტების შესახებ საერთაშორისო შეთენხმება;
9. შეთანხმება სამოქალაქო თვითმფრინავებით ვაჭრობის შესახებ.

ზოგიერთი ზემოხსენებული „კოდექსებისა" შესწორებული და გავრცობილია ურუგვაის რაუნდის დროს. მიუხედავად მათი არასავალდებულო ხასიათისა „კოდექსებმა" მოგვიანებით კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინეს, ვინაიდან ურუგვაის რაუნდზე პირველი ხუთი (სუბსიდიები, ტექნიკური ბარიერები, იმპორტის ლიცენზირება, ტარიფების შეფასება და ანტი-დემპინგი), მრავალმხრივი შეთანხმების სახით ჩამოყალიბდა, რომელთა მიღება სავალდებულოა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნისათვის.

მსო-ს დამფუძნებელი შეთანხმების დადება მოხდა ურუგვაის რაუნდზე, რომელიც 1986 წლიდან 1994 წლამდე გრძელდებოდა და მონაწილეობას ღებულობდა 123 სახელმწიფო. რაუნდის ჩატარების იდეა დაიბადა 1982 წელს ჟენევაში ჩატარებულ GATT -ის ხელშემკვრელ მხარეთა მინისტრების შეხვედრაზე. ოთხწლიანი დისკუსიების შემდეგ 1986 წლის სექტემბერში, ურუგვაის ქალაქ პუნტა დელ ესტეში დაიწყო ურუგვაის რაუნდი. დღის წესრიგი მრავალმხრივი და მრავლისმომცველი იყო. მონაწილე ქვეყნები იხილავდნენ სავაჭრო პოლიტიკის თითქმის ყველა აქტუალურ საკითხს, მიმდინარეობდა მოლა-

პარაკებები სავაჭრო სისტემის ახალ სფეროებში გაფართოების შესახებ, კერძოდ კი მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, სოფლის მეურნეობის და საფეიქრო მრეწველობის რეფორმებზე. აღნიშნული მოლაპარაკებები უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე მანამდე გამართული ნებისმიერი სავაჭრო მოლაპარაკება.

წინასწარი შედეგების პაკეტი, რომელიც მოიცავდა ტროპიკული პროდუქტებისათვის ბაზარზე დაშვების კონცესიებს, ასევე დავების გადაწყვეტის სისტემასა და სავაჭრო პოლიტიკის განხილვის მექანიზმს, მიუხედავად მრავალი სიძნელისა შეთანხმებულ იქნა 1988 წელს მონრეალში გამართულ კონფერენციაზე. მოლაპარაკებები საბოლოოდ დასრულდა 1993 წლის 15 დეკემბერს ჟენევაში. 1994 წლის 15 აპრილს მარაკეშში (მაროკო), 125 მონაწილე სახელმწიფოს მინისტრმა ხელი მოაწერა დასკვნით აქტს, რომელიც შეიცავს 30-მდე შეთანხმებას (იხ. დანართი №4), ასევე მინისტრთა გადაწყვეტილებებისა და დეკლარაციების 25-ზე მეტ ტექსტს.

ურუგვაის რაუნდი გახლდათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაუნდი ისტორიაში. მას შემდეგ:

- ეფექტურად მოხდა სოფლის მეურნეობის სექტორის ჩართვა GATT- ის სისტემაში;
- უზრნველყოფილ იქნა ტექსტილისა და ტანსაცმლის სექტორის საბოლოო ინტეგრაცია GATT- ის სისტემაში, რითაც გაუქმდა ზემოხსენებული „მრავალ-თვისობრივი ღონისძიებები";
- GATT- ის სისტემა გავრცელდა მომსახურებით ვაჭრობაზე;
- განმტკიცდა GATT- ის წესები ისეთ სფეროებში, როგორიცაა სუბსიდიები, ანტიდემპინგი, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები, დაცვის მექანიზმები, ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ღონისძიებები და სავაჭრო ხასიათის დავების დარეგულირება;
- დაფუძნდა მრავალმხრივი ბაზა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიზნით (TRIPS - ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები);
- მოხდა არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ტარიფების შემდგომი შემცირება;

აღნიშნულ რაუნდზე მიღწეული ახალი შეთანხმება შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

✓ *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი შეთანხმება*

✓ *შეთანხმებები საქონლით ვაჭრობაზე:*

გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT), 1994

GATT- ი 1994 წ., მარაკეშის ოქმის ჩათვლით;

შეთანხმება სოფლის მეურნეობის სექტორში;

შეთანხმება სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებებზე;

შეთანხმება ტექსტილსა და ტანსაცმელზე;

შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებულ საინვესტიციო ღონისძიებების ასპექტებზე (TRIPS);

შეთანხმება სუბსიდიებსა და მაკომპენსირებელ ღონისძიებებზე;

შეთანხმება დაცვის მექანიზმებზე;

✓ დანარჩენი შეთანხმებები მოიცავენ საბაჟო შეფასებას, წარმოშობის წესებს, იმპორტის ლიცენზირების პროცედურებს და გადაზიდვისწინა ინსპექტირებას:

გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე (GATS);

შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტებზე;

სავაჭრო ხასიათის დავების დარეგულირების პრინციპები;

სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის მექანიზმი.

ამგვარად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად გარდაქმნას საფუძველი ჩაეყარა GATT-ის ბოლო მერვე რაუნდზე, რომელიც ოფიციალურად დაფიქსირდა მარაკეშის დეკლარაციით 1994 წლის 15 აპრილს. როგორც ვხედავთ მსო ფაქტიურად მოიცავს GATT 1947-ის ყველა შეთანხმებას. მაგრამ უკანასკნელის უბრალო გაფართოებას არ წარმოადგენს. პირიქით, ის მთლიანად ცვლის მის წინამორბედს და გააჩნია საკმაოდ განსხვავებული ხასიათი. ძირითად განსხვავებებს შორის არის შემდეგი:

♦ GATT 1947 იყო წესების ერთობლიობა, მრავალმხრივი შეთანხმება, ინსტიტუციონალური საფუძვლის გარეშე (იგი არ შეიცავდა დებულებებს ორგანიზაციის შექმნის შესახებ). მას მხოლოდ პატარა სამდივნო ჰქონდა, რომელიც სათავეს იღებდა მეოცე საუკუნის 40-იან წლებში საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ჩამოყალიბების მცდელობიდან. ხოლო მსო არის მუდმივი ორგანიზაცია თავისი პირადი სამდივნოთი; აღსანიშნავია ისიც, რომ მსო-ს ჰყავს წევრები, მაშინ როდესაც GATT 1947-ს ჰყავდა ხელშემკვრელი მხარეები. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ GATT 1947 წარმოადგენდა ხელშეკრულებას.

♦ GATT 1947-ის ხელშემკვრელ მხარეებს უფლება ჰქონდათ გამოეყენებინათ GATT -ის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ეროვნულ კანონმდებლობას. მსო-ს წევრები ვალდებულნი არიან ეროვნული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ GATT 1994-ის მოთხოვნებთან (ეს დებულება ვრცელდება მსო-ს ყველა სამართლებრივ დოკუმენტზეც, რამდენადაც მსო ფაქტიურად მოიცავს GATT 1994-ს. ამ საკითხში დანართის სახით მოცემულია სამი

სქემა: GATT 1947-ის, GATT 1994-ის და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (იხ. დანართები №5; 6; 7).

♦ GATT 1947 გამოიყენებოდა „პირობით საფუძველზე", სახელმწიფოებმა ორმოცი წლის შემდეგ გადაწყვიტეს, იგი გამოეყენებინათ, როგორც მუდმივი ვალდებულება. მსო-ს ვალდებულებები არის სრული და მუდმივი;

♦ GATT 1947-ის წესები გამოიყენებოდა საქონლით ვაჭრობაზე. საქონელთან დამატებით მსო ითვალისწინებს მომსახურებით ვაჭრობას და ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტებს.

♦ GATT 1947 წარმოადგენდა მრავალმხრივ შეთანხმებას. 80-იან წლებში დაიდო მთელი რიგი ახალი მრავალმხრივი შეთანხმებებისა, რომლებთანაც შეერთება GATT 1947-ის ხელშემკვრელი მხარეებისათვის არ იყო სავალდებულო. მსო-ს თითქმის ყველა შეთანხმებასთან (გარდა იმ შეთანხმებებისა, რომლებიც მოყვანილია დამფუძნებელი შეთანხმების მე-4 დამატებაში), შეერთება წარმოადგენს გაწევრიანების წინაპირობას.

♦ მსო-ს დავების გადაწყვეტის სისტემა უფრო სწრაფი, ეფექტური და ქმედითია.

მსო ეფუძნება სავაჭრო სისტემის ზოგად პრინციპებს:

1. ადგილობრივი წარმოების დაცვა მხოლოდ საიმპორტო ტარიფების მეშვეობით;

2. ტარიფებს უნდა ჰქონდეთ ტენდენცია შემცირებისაკენ და არ უნდა იქნან გაზრდილნი შემდგომში;

3. ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე;

4. ბაზარზე პროგნოზირებადი და მზარდი დაშვება;

5. სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა (წახალისება);

6. განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების წახალისება.

მსო-ს სტრუქტურა

მსო-ში თავდაპირველად გაწევრიანებული იყო 76 სახელმწიფო, დღეისათვის კი მისი წევრია 134 ქვეყანა და კიდევ 31-ს (მათ შორის საქართველოს) აქვს დამკვირვებლის სტატუსი

მსო-ში თავდაპირველად გაწევრიანებული იყო 76 სახელმწიფო, დღეისათვის კი მისი წევრია 134 ქვეყანა და კიდევ 31 ქვეყანას (მათ შორის საქართველოს) აქვს დამკვირვებლის სტატუსი.

მსო-ს უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია (იხ. დანართი №8). იგი შედგება ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლისაგან და იკრიბება სულ მცირე, ორ წელიწადში ერთხელ მაინც და იღებს გადაწყვეტილებებს ძირითადად სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო შეთანხმებების შესახებ. მსო-ს ფუნქციებს მინისტრთა კონფერენცია ახორციელებს. დღემდე გაიმართა მინისტრთა კონფერენციის ორი შეხვედრა: პირველი — 1996 წლის დეკემბერში, სინგაპური, მეორე კი ჟენევაში 1998 წლის მაისში. კონფერენცია აყალიბებს შემდეგ კომიტეტებს: ვაჭრობისა და განვითარების საკითხთა, საგადასახადო ბალანსის წონასწორობის მისაღწევად საჭირო შეზღუდვების; ბიუჯეტის, ფინანსების და ადმინისტრაციის; რეგიონალურ ვაჭრობაზე შეთანხმების.

კონფერენცია ნიშნავს მსო-ს გენერალურ დირექტორს — ამჟამად ესაა რენატო რუჯიერო (იტალია), რომელიც აღნიშნულ თნამდებობაზე 1995 წლის 1 მაისს ოთხი წლის ვადით დაინიშნა. მინისტრთა კონფერენციის პრეროგატივას წარმოადგენს ასევე წესდების მიღება, რომელიც განსაზღვრავს გენერალური დირექტორის უფლებებს, მოვალეობებს, სამსახურის პირობებსა და ვადას.

მინისტრთა კონფერენციების სხდომებს შორის პერიოდში, საჭიროების და მიხედვით (8—12-ჯერ წელიწადში), იკრიბება ასევე ყველა წარმომადგენლისგან შემდგარი, გენერალური საბჭო, რომელიც წყვეტს მიმდინარე და პროცედურულ საკითხებს. გარდა ამისა, გენერალური საბჭო კურირებს დავების მოგვარებისა და სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანოების საქმიანობებს. ამ ორ უკანასკნელს ჰყავს თავისი თავმჯდომარე. სამივე მათგანი ფაქტიურად ერთი სტრუქტურაა, ოღონდ განსხვავებული ფუნქციებითა და საქმიანობის სფეროთი. დავების გადაწყვეტის ორგანო, აღნიშნულის შესახებ მსო-ს შეთანხმებით დადგენილი წესების შესაბამისად, განიხილავს წევრებს შორის წარმოშობილ დავებს და ატარებს სათანადო ზომებს მათ გადასაწყვეტად. სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანო კი პასუხისმგებელია წევრებს შორის სავაჭრო პოლიტიკის ანალიზის გაკეთებაზე. რამდენადაც ეს ორგანოები მსო-ს ფაქტიურად ორ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას ანხორციელებენ, ცხადია მათ ეფექტურ საქმიანობაზე დიდადაა დამოკიდებული როგორც მსო-ს, ასევე მთლიანად საერთაშორისო სავაჭრო სისტემის ნორმალური და გამართული ფუნქციონირება.

გენერალურ საბჭოს ექვემდებარება ასევე საქონლით ვაჭრობის საბჭო, მომსახურებით ვაჭრობის საბჭო და ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საბჭო. აღნიშნული საბჭოები ზედამხედველობას უწევენ მსო-ს დამფუძნებელი შეთანხმების დამატებებში მოცემულ, შესაბამისი

სფეროების, შეთანხმებათა ფუნქციონირებას. საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის საბჭოებში შექმნილია შეთანხმებების კომიტეტები და ასევე მოლაპარაკებების ჯგუფები. საბჭოებში და კომიტეტებში გაწევრიანება შეუძლია მსო-ს ნებისმიერ წევრს. გარდა ამისა, ფუნქციონირებს მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესრულების მაკონტროლებელი ორგანოები, რომელში მონაწილეობაც არ არის სავალდებულო მსო-ს ყველა წევრ-სახელმწიფოსათვის.

მსო-ს სტრუქტურაში, ასევე არსებობენ მსო-ში გაწევრიანების მუშა ჯგუფები და 5 კომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გენერალური საბჭოს წინაშე. აღნიშნული კომიტეტების შეხვედრებშიც მონაწილეობენ ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელნი. ისინი არეგულირებენ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ვაჭრობა და გარემო, ვაჭრობა და განვითარება, რეგიონალურ ვაჭრობაზე შეთანხმებები, ბიუჯეტი, ფინანსები, ადმინისტრაცია და სხვ. 1996 წლის სინგაპურის კონფერენციაზე ჩამოყალიბდა სამი ახალი მუშა ჯგუფი ინვესტიციების, კონკურენციული პოლიტიკისა და სამთავრობო შესყიდვების საჯაროობის საკითხებზე.

გარდა ამისა, მსო-ს სტრუქტურაში შეიქმნა 2 კომიტეტი და 2 საბჭო, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ მსო-ს მე-4 დამატებაში მოცემულ ოთხ არასავალდებულო მიერთების შეთანხმების ფუნქციონირებას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 1997 წლის 30 სექტემბერს, მსო-ს საქონლის ხორცისა და რძის პროდუქტების საერთაშორისო საბჭოებმა, სოფლის მეურნეობისა და სანიტერულ და ფიტოსანიტარულ საკითხთა კომიტეტების ჩამოყალიბების გამო მიიღეს გადაწყვეტილება, შესაბამისად, საქონლის ხორცისა და რძის პროდუქტების შესახებ მსო-ს შეთანხმებების გაუქმების თაობაზე. ასევე გაუქმდა ხორცის და რძის პროდუქტების საერთაშორისო საბჭოებიც.

გენერალური დირექტორი ნიშნავს მსო-ს სამდივნოს პერსონალს და განსაზღვრავს მათ მოვალეობებს და მუშაობის პირობებს მინისტრთა კონფერენციის მიერ მიღებული წესდების საფუძველზე. გენერალური დირექტორის მოვალეობაში შედის მინისტრთა კონფერენციისა და გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებების განხორციელება და სამდივნოს საქმიანობის კოორდინირება. იგი ამზადებს პერიოდულ მოხსენებებს მსო-ს საქმიანობის შესახებ და ბიუჯეტის, ადმინისტრაციისა დაფინანსების კომიტეტს წარუდგენს ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს და მიმოხილვას არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მსო-ს ჰყავს 500 კაციანი პერსონალი, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და მისი ოთხი მოადგილე. მისმა ბიუჯეტმა 1998 წლისათვის შეადგინა 93 მლნ. აშშ დოლარი. იგი შედგება ინდივიდუალური საწევრო შენატანებისაგან, რომელიც გაიანგარიშება მსო-ს წევრების მიერ განხორციელებული საერთო ვაჭრობის წილის საფუძველზე. მსო-ს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი მიდის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში, რომელიც GATT -ის მიერ დაარსდა 1964 წელს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე, რათა ხელი შეეწყოთ მათთვის ექსპორტის განვითარებაში.

სამდივნოს მოვალეობაში შედის მსო-ს ორგანოთა ადმინისტრაციული და ტექნიკური მხარდაჭერა, მოლაპარაკებების დროს, და მსო-ს შეთანხმებების ცხოვრებაში გატარება. იგი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას განვითარებადი და განსაკუთრებით კი ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის. მსო-ს ეკონომისტები და სტატისტიკოსები ახორციელებენ სავაჭრო საქმიანობისა და სავაჭრო პოლიტიკის ანალიზს, მაშინ, როდესაც მისი იურიდიული პერსონალი მონაწილეობას იღებს სავაჭრო დავების გადაწყვეტაში, რომლებიც წარმოიშობიან მსო-ს წესების და პრეცედენტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. სამდივნო, ასევე, ასრულებს საკმაოდ შრომატევად სამუშაოს ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს და აძლევს საჭირო რჩევებს აღნიშნული ქვეყნების მთავრობებს გაწევრიანების პროცესში.

მსო-ში გადაწყვეტილების მიღება ხდება კონსენსუსის გზით GATT 1947-ის მსგავსად. ეს საშუალებას აძლევს ყველა წევრს, მათი ინტერესები სათანადოდ იქნას გათვალისწინებული. მაგრამ, როდესაც გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება კონსენსუსის გზით, სადისკუსიოდ დაყენებული საკითხის ხდება გადაწყვეტა კენჭისყრის საშუალებით. მინისტრთა კონფერენცია და გენერალური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ორგანიზაციის დამფუძნებელ შეთანხმებაში ან შესაბამის მრავალმხრივ შეთანხმებაში.

მსო-ს დამფუძნებელი შეთანხმება ითვალისწინებს ოთხ სპეციფიურ სიტუაციას, როდესაც საკმარისი არ არის გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა უბრალო უმრავლესობა:

* მინისტრთა კონფერენციას და გენერალურ საბჭოს აქვთ განსაკუთრებული უფლებამოსილება, მოახდინონ მსო-ს დამფუძნებელი შეთანხმებისა და მის პირველ-მესამე დამატებებში მოცემული შეთანხმებების განმარტება ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით;

* ასევე, ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით, მინისტრთა კონფერენციას

შეუძლია რომელიმე კონკრეტულ წევრს მოუხსნას მსო-ს შეთანხმებებით დაკისრებული ვალდებულება;

* გადაწყვეტილება, მსო-ს დამფუძნებელ შეთანხმებასა და მის პირველ-მესამე დამატებებში მოცემულ შეთანხმებებში ცვლილებების შეტანის შესახებ, მიღებულ უნდა იქნას, საკითხის ხასიათიდან გამომდინარე, ყველა წევრის მიერ ან ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით. მაგრამ ცვლილებები მოქმედებენ მსო-ს მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომლებიც დაეთანხმნენ მათ;

* გადაწყვეტილება ახალი წევრის მიღების შესახებ მიიღება მინისტრთა კონფერენციის ან კონფერენციებს შორის პერიოდში, გენერალური საბჭოს მიერ, ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით.

მინისტრთა კონფერენციისა და გენერალური საბჭოს სხდომებზე მსო-ს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე ხდება მსო-ს წევრების ჯგუფებად გაერთიანება, რომელთა სახელითაც ლაპარაკობს ერთი პირი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების დროს. ასეთ ჯგუფებს, ევროგაერთიანების გარდა, წარმოადგენენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გაერთიანება, ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემა, აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანეთის ჯგუფი და სხვ.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს წევრი ქვეყნების არაფორმალური შეხვედრებიც, რომლებზეც ხერხდება შეთანხმების მიღწევა არაერთ პრობლემატურ საკითხზე.

დავების მოგვარება

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წევრი აღებულ ვალდებულებას, ან ზოგად წესს არღვევს, მსო-ს წესების თანახმად, ნებისმიერი წევრი ქვეყანა უფლებამოსილია სარჩელი წარადგინოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და წამოიწყოს დავის გადაწყვეტის პროცედურა (იხ. დანართი №9). დავის მოგვარების ძირითად სამართლებრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს „შეთანხმება დავების გადაწყვეტის წესებსა და პროცედურებზე" (შემდგომში DSU), რომელიც თან ერთვის მსო-ს შეთანხმებას და ამ უკანასკნელის II მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, წარმოადგენს „ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს, რომელიც სავალდებულოა ყველა წევრი ქვეყნისათვის." DSU მოიცავს 27 მუხლსა და ოთხ დანართს. DSU -ს წესები, GATT 1947- ის წესებისაგან განსხვავებით, რომელიც დიპლომატიურ და პოლიტიკურ მექანიზმებს ანიჭებდა უპირატესობას, ძირითადად, ასახავენ იმ იდეას, რომ ვერც ერთი მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა ვერ იფუნქციონირებს სწორად, თუ შეთანხმებული წესების გარდა, არ იარსებებს წესი, რომელიც წევრ ქვეყნებს მიანიჭებს უფლებას, დარღვევების შემთხვევაში, მიმართონ დამოუკიდებელ ორგანოს, მხარეებისათვის აღსრულებადი გადაწყვეტილების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ მსო-ს წესები არ ითვალისწინებს ზენაციონალური სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას (მაგალითად, როგორიცაა ევროპის სასამართლო), მათი მეშვეობით ხდება კონფლიქტების მოგვარების „ძალაზე ორიენტირებული" ფორმიდან დავების გადაწყვეტის ისეთ ფორმაზე გადასვლა, რომელიც ეფუძნება კანონის ზენაეობას. მსო-ს ამჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა, რენატო რუჯიერომ, ამას უწოდა მსო-ს „ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი", რომელიც წარმოადგენს „მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის ძირითად ქვაკუთხედს."

GATT 1947 -ისაგან განსხვავებით, DSU ადგენს ზუსტ სამართლებრივ საფუძველს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მხარეებს მიაღწიონ აღსრულებად გადაწყვეტილებას წინასწარ განსაზღვრულ დროში. DSU მოიცავს პროცედურებს, რომლებიც ფართო მასშტაბით მოქმედებენ და იძლევიან მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესაძლებლობებს, თუმცა მიზანს წარმოადგენს არა გადაწყვეტილების მიღება, არამედ დავების მოგვარება, შეძლებისდაგვარად კონსულტაციებით.

ძველი GATT -ის წესების გამოყენებასთან დაკავშირებული პრაქტიკის თანახმად, ახლაც მხოლოდ სახელმწიფოებს აქვთ DSU -ს საფუძველზე დავების გადაწყვეტის პროცედურებში მონაწილეობის მიღების უფლება. კერძო პირები და ტრანსნაციონალური საწარმოები გამოირიცხება. ამან შეიძლება წარმოშვას დაბრკოლებები, რადგან ტრანსნაციონალური საწარმოების საერთაშორისო ურთიერთკავშირის გამო ხშირად ვერ ხდება მათი მიკუთვნება რომელიმე სახელმწიფოსათვის, რაც მათ შეიძლება დასჭირდეთ მსო-ს წესებით განპირობებული თავიანთი ინტერესების დასაცავად.

კონფლიქტების მოგვარების პასუხისმგებლობა, ძირითადად, აკისრია გენერალურ საბჭოს, რომელიც მოქმედებს როგორც დავების მოგვარების ორგანო DSB (მსო-ს შეთანხმების მე-3 მუხლის III პარაგრაფი და მე-4 მუხლის III პარაგრაფი). იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის მსო-ს დაქვემდებარებული ორგანიზაცია, მას გააჩნია საკუთარი სამდივნო და უფლებამოსილია შექმნას „კომისიები" საქმის განსახილველად. DSB შემდგომში ახორციელებს მონიტორინგს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების რეალიზაციაზე და უფლება აქვს გასცეს ნებართვა საპასუხო ზომებზე, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა არ აღასრულებს გადაწყვეტილებებს. ეს ორგანო იკრიბება საჭიროებისამებრ მისი ფუნქციების შესასრულებლად, ხოლო გადაწყვეტილებებს იგი

კონსენსუსის საფუძველზე იღებს (მე-2 მუხლი, DSU).

წევრმა სახელმწიფომ, რომელიც განაცხადებს, რომ სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საქმიანობით ირღვევა GATT -ით გათვალისწინებული ვალდებულება, პირველ რიგში, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს DSB-ს და მოსთხოვოს მეორე წევრ სახელმწიფოს გამართოს კონსულტაციები ორმხრივ საფუძველზე. ორმხრივი შეთანხმების მისაღწევად, მათ შეუძლიათ სთხოვონ გენერალურ დირექტორს ან სხვა ნებისმიერ პირს გასწიონ შუამავლობა და კეთილი სამსახური (მე-5 მუხლი, DSU) .

თუ კონსულტაციები ვერ შედგება, ან მორიგების მცდელობა ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს, მოსარჩელე მხარეს შეუძლია ოფიციალურად სთხოვოს DSB -ს დაიწყოს დავის მოგვარების პროცედურა - სარჩელის განსახილველად შექმნას კომისია (DSU -ს VI მუხლი).

კომისია იძიებს საქმეს DSB -ს მიერ მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და DSU -ს მე-3 დანართით განსაზღვრულ „სამუშაო პროცედურებთან" შესაბამისად. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს:

პირველ მოსმენამდე, თითოეული მხარე კომისიას წერილობით წარუდგენს საქმეს. პირველი მოსმენისას, მოსარჩელე მხარე (მხარეები), მოპასუხე მხარე (მხარეები) და ისინი, ვინც განაცხადა თავისი ინტერესების შესახებ ამ დავაში, წარმოადგენენ თავის არგუმენტაციას. მეორე მოსმენისას, დავის მონაწილე მხარეები წარმოადგენენ თავიანთ წერილობით მტკიცებულებებს და ზეპირ არგუმენტებს. კომისიამ შეიძლება კონსულტაცია ჩაატაროს ექსპერტებთან ან დანიშნოს მიმომხილველ ექსპერტთა ჯგუფი, რათა საკონსულტაციო მოხსენებით ნათელჰყოს სამეცნიერო ან სხვა ტექნიკური საკითხები. ორი კვირის განმავლობაში, კომისია ამ ორ მხარეს კომენტირებისათვის წარუდგენს მისი მოხსენების აღწერილობით (ფაქტებზე დაფუძნებულ და არგუმენტირებულ) ნაწილებს გადაწყვეტილებებისა და დასკვნების გარეშე. ამის შემდეგ, კომისია წარმოადგენს შუალედურ მოხსენებას, რომელშიც შედის დასკვნები და გადაწყვეტილებები. მხარეებს, მისი გადამოწმების მოთხოვნისათვის ეძლევათ ერთი კვირა. შემოწმების პერიოდი არ უნდა აჭარბებდეს ორ კვირას. ამ პერიოდში, კომისიას შეუძლია ჩაატაროს საქმის დამატებითი მოსმენები, დავის მონაწილე მხარეებთან ერთად.

საბოლოო მოხსენება უნდა წარედგინოს მხარეებს ექვსი თვის ვადაში, ხოლო სამი კვირის შემდეგ, ის მიეწოდება მსო-ს ყველა წევრს. თავის საბოლოო მოხსენებაში კომისია აკეთებს მითითებას გადაწყვეტილებისათვის შესაბამის ფაქტებსა და დებულებებზე და წარმოადგენს გადაწყვეტილების საფუძვლებს (მოტივებს). თუკი კომისია მივა იმ დასკვნამდე, რომ სადაო სავაჭრო მოქმედება არის მსო-ს შეთანხმების ან ვალდებულებების დარღვევა, იგი იძლევა რეკომენდაციას, რათა ეს მოქმედება მოყვანილ იქნას შესაბამისობაში მსო-ს წესებთან. კომისიას შეუძლია წარმოადგინოს წინადადებები იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებით. მოხსენებაში უნდა შევიდეს DSB -ს გადაწყვეტილების სტატუსი და იგი ავტომატურად სავალდებულო ხდება 60 დღეში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ერთსულოვნად არ იქნება უარყოფილი. წესების დამრღვევ წევრ სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა თავიდან აიცილოს მოხსენების მიღება. მთლიანად პროცედურა, ჩვეულებრივ, ცხრა თვეს საჭიროებს. მხარეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს, ორმხრივი გადაწყვეტილებით, შეაჩერონ საქმის წარმოება.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ გარემოებებში, წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს დაიწყოს დავების მოგვარების პროცედურები, მაშინაც კი, როდესაც ფორმალურად ჯერ არ არსებობს შეთანხმების დარღვევის ფაქტი ე.წ. „დაურღვევლობის სარჩელი", რომელიც რეგულირდება DSU -ს 26-ე მუხლით, საშუალებას აძლევს მხარეებს დაიწყონ საქმის წარმოება მაშინაც კი თუ შეთანხმების დარღვევის ფაქტი ჯერ არ არსებობს.

DSU -ს მიღების შემდეგ, პირველად GATT -ის პრაქტიკაში, შესაძლებელი გახდა კომისიის მოხსენების გასაჩივრება. ამ მოხსენებების გასაჩივრება წარმოებს სააპელაციო სასამართლოს მსგავს სააპელაციო ორგანოში, რომელიც, როგორც მუდმივმოქმედი ინსტიტუტი, შედგება შვიდი უფლებამოსილი პირისაგან.

თუ დამრღვევი მხარე არ მიიღებს შესაბამის ზომებს აღნიშნულ ვადაში, დავის გადაწყვეტის პროცედურების წამომწყები მხარე უფლებამოსილია წარმოადგინოს მოთხოვნა კომპენსაციაზე. გარდა ამისა, ვალდებულებების დამრღვევმა მხარემ შეიძლება თვითონ წარმოადგინოს წინადადება კომპენსაციის თაობაზე. თუ დამნაშავე მხარე ვერ იმოქმედებს ამ პერიოდში, მან უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები მოსარჩელე სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან, რათა კომპენსაციის საკითხი გადაწყდეს ორივე მხარისათვის მისაღები ფორმით. ამან შეიძლება მიიღოს ისეთი ფორმა, როგორიცაა, მაგალითად, ტარიფების შემცირება იმ სფეროებში, რომელთა მიმართ მოსარჩელე მხარეს განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია (DSU -ს 22-ე მუხლი).

თუ მხარემ დაარღვია GATT -ით ან სხვა მასთან დაკავშირებული შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები, DSB -მ შეიძლება უფლება მისცეს დაზარალებულ მხარეს გაზარდოს ტარიფები იმ პროდუქტებზე, რომლის

იმპორტირებასაც ის ახდენს დამრღვევი ქვეყნიდან; ასეთ პროდუქტებზე ვაჭრობა მიახლოებით უნდა უტოლდებოდეს იმ პროდუქტებით ვაჭრობას, რომლებზეც გავლენა იქონია გასაჩივრებულმა ზომებმა.

დებულებები კონპენსაციის და DSB -ს მიერ საპასუხო მოქმედებაზე უფლებამოსილების შესახებ დროებითი ზომებია. საბოლოო გამოსავალს ვალდებულების დამრღვევი ქვეყნისათვის წარმოადგენს რეკომენდაციების შესრულება. ამ წესებით, რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, DSB -ს მოეთხოვება აკონტროლოს მსგავსი შემთხვევები. საკითხის გადაწყვეტამდე, ამ ორგანოს დღის წესრიგში რჩება ყველა განსაკუთრებული შემთხვევა (DSU -ს მე-2 მუხლი).

მოკლედ უნდა აღინიშნოს „ვაჭრობის კონტროლის მექანიზმი", რომელიც დარეგულირებულია მსო-ს შეთანხმების მე-3 დანართში. ეს მექანიზმი მჭიდრო კავშირშია GATT -ის პრაქტიკასთან და უზრუნველყოფს მსო-ს წესების სწორად შესრულებას. მის საფუძველზე, წევრი სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკა რეგულარულად კონტროლდება „სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველი ორგანოს" (TRRB) მიერ მსო-ს სამდივნოსთან ერთად და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ეს ორგანო გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციებს და მას აღასრულებს მსო-ს საბჭო.

ასე რომ, შეთანხმების წესები იძლევა სრულყოფილ სამუშაო ჩარჩოს საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მსო-ს ეგიდით კონფლიქტების მოსაგვარებლად. მათი საშუალებით მოდავე მხარეებს ეძლევათ კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობა დამოუკიდებელი ორგანოს მეშვეობით, რომელიც უფლებამოსილია განმარტოს შეთანხმების დებულებები საერთაშორისო საჯარო სამართლის ინტერპრეტაციის ჩვეულებრივი წესების მიხედვით და გამოსცეს აღსრულებადი გადაწყვეტილება (იხ. მე-3 მუხლი). ცხადია რომ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ძალისა და გავლენის გამოყენებაზე დაფუძნებული კონფლიქტის მოგვარების სისტემიდან ისეთი სისტემისაკენ, რომელსაც განაგებს სამართლებრივი წესები, რაც ნაკლებად ძლიერ ქვეყნებს კიდევ ერთ საშუალებას მისცემს დაიცვან თავიანთი ინტერესები მსო-ს წესების საშუალებით.

მსო-ს მნიშვნელოვანი შეთანხმებები

დემპინგის საწინააღმდეგო ზომები

ვინაიდან ადგილობრივი მეწარმის დაცვის ერთ-ერთ ნებადართულ მექანიზმად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ანტი-დემპინგურ კანონმდებლობას მიიჩნევს, საქართველოს მსო-ში გაწევრიანების ერთ-ერთი დადებითი შედეგი, სხვა მრავალთა შორის, იქნება ის, რომ საშუალება მოგვეცემა თავი დავიცვათ ასე მოზღვავებული დემპინგური იმპორტისგან და საჭიროების შემთხვევაში დავაწესოდ საპასუხო ზომებიც. ოღონდ, ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი განიხილავს და დაამტკიცებს ანტი-დემპინგურ კანონმდებლობას.

GATT -ის ანტიდემპინგური შეთანხმება მოითხოვს იმპორტიორი ქვეყნისაგან დაამტკიცოს მიზეზშედეგობრივი კავშირი დემპინგურ იმპორტსა და შიდა წარმოების ზარალს შორის

იმპორტის მოზღვავების შემთხვევაში, რომელიც შიდა ბაზარს მოშლასა და ადგილობრივ წარმოებას (იმპორტის ანალოგიური ნაწარმის მწარმოებელი) ზიანს უქადის, მსო-ს შესაბამისი შეთანხმება „დამცავი ღონისძიებების გამოყენების შესახებ", აღნიშნულით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში ნებას რთავს ქვეყანას გამოიყენოს იმპორტის შემზღუდველი ზომები, რაც გულისხმობს ბმული ტარიფების აწევას გარკვეულ დონემდე, ან იმპორტირებული ნაწარმის ამა თუ იმ სახეობაზე რაოდენობრივი შეზღუდვების შემოღებას (ძირითადი მომწოდებელი ქვეყნების საიმპორტო ქვოტირება). იმპორტის ასეთი შეზღუდვები უნდა ატარებდეს დროებით ხასიათს. კერძოდ, შეთანხმებით დაშვებულია ოთხწლიანი პირველადი პერიოდი და ვადის მაქსიმუმი ისაზღვრება რვა წლით (განვითარებადი ქვეყნებისათვის — ათი წლით). მსო-ს წევრი ქვეყნების შეხედულებით, აღნიშნული ვადა საკმარისია ადგილობრივი წარმოების ტექნოლოგიური გადაიარაღებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის.

არაკეთილსინდისიერი ვაჭრობისგან თავდაცვისათვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ორი შეთანხმება: ანტი-დემპინგური პრაქტიკისა (ADP); სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ (SCM).

პირველი შეთანხმება ადგენს მკაცრ კრიტერიუმებს, თუ რამდენად დემპინგურ ფასებში იყიდება იმპორტირებული პროდუქცია (ე.ი. მწარმოებელი ქვეყნების ბაზარზე ანალოგური პროდუქციის ფასებზე უფრო იაფად, ან თვითღირებულებაზე უფრო დაბალ ფასებში), ხოლო მეორე შეთანხმებით საგანგებო გამოკვლევამ უნდა დაამტკიცოს, რომ იმპორტირებული ნაწარმი იქნა სუბსიდირებული მიმწოდებელი ქვეყნის მიერ და ამის შედეგად მიაყენა მატერიალური ზარალი ადგილობრივ წარმოებას.

გამომდინარე ზემოხსენებული შეთანხმებიდან, საქართველოს მსო-ში გაწევრიანებისთანავე სასურველი იქნებოდა შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო ბაზაში. საქართველოს ბაზრის დაცვის მიზნით ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმის, ანტი-დემპინგური და საკომპენსაციო ზომების შემოღების შესახებ და აღნიშნული განზრახვის თაობაზე ოფიციალურად ეცნობოს მსო-ს სამდივნოს.

საინტერესო იქნება დეტალურად განვიხილოთ „GATT 1994-ის VI მუხლის გამოყენების შესახებ შეთანხმება", რომელსაც გაწევრიანების შემთხვევაში მიუერთდება საქართველოც. GATT 1994-ის VI მუხლი ნებას რთავს წევრ ქვეყნებს გამოიყენონ ანტი-დემპინგური ზომები, ასეთი ზომები შეიძლება შემოღებულ იქნას იმ საქონლის იმპორტზე, რომლის საექპორტო, ფასი დაბალია „ნორმალურ ღირებულებაზე". ანუ როცა ერთი ქვეყნიდან მეორეში ექპორტირებული საქონლის საექსპორტო ფასი დაბალია იმ შეფარდებით ფასზე, რონელიც მყარდება ჩვეულებრივი სავაჭრო ოპერაციების პროცესში ანალოგიურ საქონელზე რომელიც ექსპორტიორი ქვეყნის მომხმარებლისთვის არის განკუთვნილი, თუ ასეთი დემპინგური იმპორტი ზიანს აყენებს იმპორტიორი ქვეყნის შიდა წარმოებას.

შეთანხმება მოითხოვს იმპორტიორი ქვეყნისაგან დაამტკიცოს მიზეზშედეგობრივი კავშირი დემპინგურ იმპორტსა და შიდა წარმოების ზარალს შორის. დაზარალებული მხარის მიერ ზიანის განსაზღვრისას გამოკვლეულ უნდა იქნას დემპინგური იმპორტის მოცულობა და მისი გავლენა შიდა ბაზრის ანალოგიური საქონლის ფასებზე და ამგვარი იმპორტის გავლენა ეროვნულ მწარმოებელზე. ეს გავლენა უნდა დადასტურდეს ფაქტებით. მწარმოებელზე უარყოფითი გავლენის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ყველა ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც ასე თუ ისე მოქმედებს მოცემულ დარგზე თუ საწარმოზე, მათ შორის: გაყიდვების, მოგების, პროდუქციის გამოშვების, ბაზარზე წილის, მწარმოებლურობის, ინვესტიციებიდან შემოსავლების ან სიმძლავრეების გამოყენების ფაქტიური თუ პოტენციური შემცირება; შიდა ფასებზე მოქმედი ფაქტორები; დემპინგური სხვაობის სიდიდე; ფაქტიური თუ პოტენციური გავლენა ნაღდი ფულის ბრუნვაზე, სასაქონლო მარაგებზე, ხელფასზე, ზრდის ტემპზე, კაპიტალის ან ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

როდესაც შესაბამისი ორგანოების მიერ დაინტერესებული მხარის წერილობითი განაცხადის და დასაბუთების საფუძველზე ჩატარებული კვლევების პირველადი დასკვნებით დამტკიცებულია დემპინგის არსებობა და მისი დამანგრეველი გავლენა ეროვნულ მწარმოებელზე, ან როდესაც ზარალის შესამსუბუქებლად შესაბამისი ორგანოები ჩათვლიან საჭიროდ, იმპორტიორს შეუძლია გამოიყენოს დროებითი ზომები, რომელიც შეიძლება იყოს დროებითი ტარიფი ან უფრო მიღებულია — ჯარიმა, რომელიც ტოლი იქნება წინასწარგანსაზღვრული ანტი-დემპინგური ტარიფის ღირებულების.

პროცედურა დროებითი ზომების ან ანტი-დემპინგური ტარიფის შემოღების გარეშე შესაძლებელია შეჩერდეს ან დასრულდეს, ექსპორტიორის განცხადების შემდეგ, რომ იგი მზადაა გადახედოს საკუთარი საქონლის საექსპორტო ფასებს ამ ქვეყანაში, ან საერთოდ შეაჩეროს ექსპორტი დემპინგურ ფასებში, ისე რომ დარწმუნდეს შესაბამისი ორგანოები, რომ დემპინგის საზიანო შედეგები გაუქმებულია. ამ ვალდებულებათა თანახმად ფასების მომატება არ უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც აუცილებელია დემპინგური სხვაობის გასანეიტრალებლად. თუ ეს შესაძლებელია, სასურველია ეს ფასნამატი იყოს დემპინგურ სხვაობაზე ნაკლები.

როდესაც დამტკიცებულია დემპინგის არსებობა და მისი დამანგრეველი გავლენა ეროვნულ მწარმოებელზე, იმპორტიორ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს დროებითი ზომები — ტარიფი ან ჯარიმა

ანტი-დემპინგური ბაჟის მოქმედება განისაზღვრება მხოლოდ იმ დროით და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია დემპინგისგან მიყენებული ზარალის გასანეიტრალებლად. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოკვლევის ორგანოების მიერ გადაიხედოს ტარიფის ხანგრძლივობის გადავადება. მაგრამ მაინც არსებობს შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ანტი-დემპინგური ტარიფის მოქმედება უნდა შეწყდეს მაქსიმუმ 5 წლის შემდეგ მისი შემოღებიდან (ან საბოლოო გადახედვის დროიდან, თუ ეს განხილვა ეხებოდა როგორც დემპინგს, ასევე ზარალს), თუ მოკვლევის ორგანოები განხილვის პროცესში არ დაასკვნიან, რომ ტარიფის გაუქმება გამოიწვევს დემპინგის ან ზარალის გაგრძელებას ან განახლებას.

დადგენილია, რომ ანტი-დემპინგური ზომების აღნიშნული შეთანხმების მიხედვით გამოყენებისას მსო-ს წევრმა განვითარებულმა ქვეყნებმა დამატებით უნდა გაითვალისწინონ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მდგომარეობა და ანტი-დემპინგური ტარიფების გამოყენებამდე საშუალება მისცენ გამოიყენონ კონსტრუქციული დამცავი ზომები, თუ დემპინგი ეხება მათ არსებითად სასიცოცხლო ინტერესებს.

მსო-ს სტრუქტურაში შექმნილია ანტი-დემპინგური კომიტეტი, რომელიც შედგება მსო-ს ყოველი წევრი-ქვეყნის წარმომადგენელისაგან. კომიტეტი იკრიბება არა ნაკლებ წელიწადში ორჯერ. მსო-ს ყოველი წევრი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კომიტეტს ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ყველა დროებითი და საბოლოო ანტი-დემპინგური ზომების შესახებ. ეს მოხსენებები ეგზავნება სამდივნოს სხვა წევრი-ქვეყნებისთვის გადასაცემად და განსახილველად.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმება ითვალისწინებს აღნიშნული საკითხის კონსულტაციების გზით მოგვარებას, თუ ეს შესაძლებელია. უკიდურეს შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ „დავების მოგვარების ორგანოს" ('DSB'), რომელიც ქმნის სპეციალურ ჯგუფს და იკვლევს მომჩივანის სარჩელს და გამოაქვს დასკვნა.

დემპინგის მარეგულირებელი დეტალური წესები შეთანხმებული იქნა ტოკიოს რაუნდზე. ეს შეთანხმება კი თავის მხრივ ხელახლა განიხილეს ურუგვაის რაუნდზე. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული შეთანხმება სწორედ ამ უკანასკნელის შედეგია.

სუბსიდიები

უკანასკნელი წლების მანძილზე სუბსიდიები სამრეწველო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება გახდა. განსაკუთრებით ეს მაღალ-ტექნოლოგიური მრეწველობის განვითარების სფეროებს ეხება. მაშინ, როდესაც მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების შედეგად განსაკუთრებული წარმატებით ხერხდება საგარეო ვაჭრობაზე პირდაპირი გავლენის მქონე სატარიფო და არასატარიფო სავაჭრო ბარიერების გაუქმება, ან, როგორც მინიმუმი, მათი შემცირება მაინც - ეროვნულ მთავრობებს ჯერ კიდევ შეუძლიათ გამოიყენონ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებები იმ ფირმებისა თუ მრეწველობის დარგების დასახმარებლად, რომლებიც მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენენ საერთაშორისო ვაჭრობაზე. უფრო მეტიც, ერთის მხრივ სუბსიდიების გაცემის მრავალმხრივი წესები და მეორეს მხრივ, საკომპენსაციო ბაჟის დაწესება საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და შესაბამისად, სახელმწიფოს აძლევს თავისუფალი მოქმედების საშუალებას.

ზოგიერთ სამრეწველო ქვეყანაში სახელმწიფო ფინანსირების წილი კერძო კვლევით და საცდელ სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებში საკმაოდ მაღალია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალ წამყვან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 11-33 პროცენტის ფარგლებში მერყეობს

მრავალმხრივი წესების წარუმატებლობამ მიგვიყვანა ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკმაოდ სერიოზულ უთანხმოებებამდე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება მაღალ-ტექნოლოგიური მრეწველობის განვითარებას, რომელსაც ეროვნული ეკონომიკის შემდგომი პროგრესისათვის „სტრატეგიული" მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთ სამრეწველო ქვეყანაში სახელმწიფო ფინანსირების წილი კერძო კვლევით და საცდელ სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებში საკმაოდ მაღალია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალ წამყვან ქვეყნებში ის 11-33 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. გამონაკლისს წარმოადგენს იაპონია, სადაც სახელმწიფო სუბსიდიები მოიცავს კერძო კვლევით და საცდელ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების მხოლოდ 1.5%-ს. მიუხედავად ამისა, ამ სფეროსათვის გაცემული სუბსიდიები არ წარმოადგენს მაღალ-ტექნოლოგიური წარმოების განვითარების ერთადერთ ინსტრუმენტს, ვინაიდან კვლევით და საცდელ სამუშაოებზე გაცემული სუბსიდიები ხშირად თან ახლავს საინვესტიციო და საწარმოო სუბსიდირებას. შესაბამისად, მაღალ-ტექნოლოგიური მრეწველობის დაფინანსების გამო წარმოშობილი ძირითადი უთანხმოებების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია ეფექტური მრავალმხრივი წესები ფორმულირებული იქნას არა მხოლოდ კვლევითი და საცდელი სამუშაოებისთვის გაცემულ სუბსიდიებთან, არამედ სახელმწიფოს მიერ გაწეულ სხვა სახის დახმარებებთან მიმართებაშიც.

როგორც აღვნიშნეთ, მსო-ს წესები მნიშვნელოვნად ზღუდავენ სახელმწიფოს მიერ სუბსიდიების (მათ შორის ექსპორტის სუბსიდიების) გამოყენებას. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის გამონაკლისები, რომლებსაც მსო აწესებს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რათა მათ შეძლონ წარმოების თავდაპირველი განვითარება.

ურუგვაის რაუნდის 1994 წლის GATT -ის სუბსიდიებსა და საკომპენსაციო გადასახადებზე შეთანხმების მიხედვით სუბსიდიად ითვლება კერძო ფირმებისათვის ან მწარმოებლებისათვის მთავრობის ან სახელმწიფო ორგანოს მხრიდან გაწეული დახმარება, კერძოდ:

- მთავრობის მხრიდან პრაქტიკაში გამოიყენება სახსრების პირდაპირი ტრანსფერტები (როგორიცაა გრანტები, სესხები, და სხვა

მსგავსი დახმარებები), პოტენციური პირდაპირი საფონდო ტრანსფერტები (სასესხო გარანტიები);

• მთავრობა უარს ამბობს კუთვნილ შემოსავლებზე ან არ კრეფავს მათ (მაგალითად მიმართავს ისეთ ფისკალურ შეღავათებს, როგორიცაა საგადასახადო კრედიტი);

• მთავრობა წარმოებას აწვდის ისეთ საქონელს ან მომსახურებას, რომელიც არადამახასიათებელია ძირითადი ინფრასტრუქტურისათვის ან ახდენს საქონლის შესყიდვებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია პირველ რიგში კრძალავს ე.წ. „სპეციფიკურ სუბსიდიებს"; იკრძალება აგრეთვე ექსპორტის წახალისებისა და გაფართოებისაკენ მიმართული სუბსიდიების გამოყენებაც. სპეციფიკურად ითვლება ისეთი სუბსიდია, რომელიც მთავრობის ან მისი ცალკეული ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს ცალკეულ ფირმებსა თუ მწარმოებლებს. ითვლება, რომ სუბსიდირებული საქონლის ექსპორტმა შესაძლოა შექმნას იმპორტიორი ქვეყნის ეროვნული წარმოებისათვის მნიშვნელოვანი ზარალის საფრთხე, თუ სუბსიდიის მოცულობა ექსპორტირებული საქონლის საერთო ღირებულებაში აღემატება 5%-ს.

ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებების ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს სუბსიდიების სამ კატეგორიად დაყოფა: 1. აკრძალული; 2. გაპროტესტებადი (ანუ ის სუბსიდიები, რომელთა მიმართ შესაძლებელია გარკვეული ზომების მიღება); 3. არაგაპროტესტებადი

ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებების ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს სუბსიდიების სამ კატეგორიად დაყოფა ე.წ. „შუქნიშნის" ფერების მიხედვით: 1. აკრძალული; 2. გაპროტესტებადი (ანუ ის სუბსიდიები, რომელთა მიმართ შესაძლებელია გარკვეული ზომების მიღება); 3. არაგაპროტესტებადი. GATT -ის ისტორიაში პირველად, ამგვარი მიდგომა პირდაპირ აკავშირებს სუბსიდიების გაცემასა და საკომპენსაციო ბაჟის შემოღების წესებს იმით, რომ აკრძალული და გაპროტესტებადი სუბსიდიები შეიძლება კომპენსირებული იქნას გარკვეულ პირობებში, მაშინ როდესაც ზოგადი წესის თანახმად, არაგაპროტესტებადი სუბსიდიების მიმართ შეუძლებელია რაიმე ზომების მიღება.

1. აკრძალული სუბსიდიები.

აკრძალულ სუბსიდიებს განეკუთვნება არაძირითადი საექსპორტო სუბსიდიები და ის სუბსიდიები, რომლებიც შეიძლება უხეშად განისაზღვროს, როგორც იმპორტის შემცვლელი სუბსიდიები. ეს სუბსიდიები ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს გაპროტესტებად სუბსიდიებს, მიუხედავად იმისა სპეციფიურია თუ არა ისინი.

2. გაპროტესტებადი სუბსიდიები.

გაპროტესტებადი სუბსიდიები არის „სპეციფიური" სუბსიდიები, რომლებიც იწვევს „უკუეფექტს სხვა წევრთა ინტერესების მიმართ„ (შეთანხმება სუბსიდიების შესახებ, მუხლი 5) GATT -ით გათვალისწინებული სარგებლის ანულირებით ან შემცირებით, შიდა მრეწველობისათვის ზიანის მიყენებით („მატერიალური ზარალი") ან მათი რეპუტაციისათვის მნიშვნელოვანი ზარალის მოტანით. გაპროტესტებადი სუბსიდიების გამოყენებაზე საერთაშორისო კონტროლი წესდება სუბსიდიების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ორი გზით. პირველი ეფუძნება საკომპენსაციო ბაჟის გამოყენების ზომებს, მეორე კი - შეთანხმების დისციპლინარულ ღონისძიებებს.

3. არაგაპროტესტებადი სუბსიდიები.

არაგაპროტესტებადი სუბსიდიები მოიცავს ოთხი ტიპის სამთავრობო დახმარებას: ყველა „არასპეციფიურ" სუბსიდიებს, და სამი სახის „სპეციფიურ" სუბსიდიებს, კერძოდ, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ სამუშაოებზე გაცემულ, რეგიონალურ და გარემოს დაცვის სუბსიდიებს. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ სამუშაოებზე გაცემული სუბსიდიები არის არაგაპროტესტებადი მანამ, სანამ საჯარო ფონდები ფარავს ძირითადი სამრეწველო კვლევითი სამუშაოების ღირებულების არა უმეტეს 75%-ს და წინასაკონკურენტო განვითარების კვლევის 50%-ს. რეგიონალური სუბსიდიები არ შეიძლება კომპენსირებული იყოს, თუ მიმღები რეგიონი წარმოადგენს მკაფიოდ განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიას - მკაფიოდ განსაზღვრულ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც არის არასახარბიელო მდგომარეობაში ზუსტი, შემოწმებადი, ნეიტრალური და ობიექტური კრიტერიუმების თანახმად. გარემოს დაცვის სუბსიდიები არაგაპროტესტებადია, თუ ისინი გაიცემა გარემოს დაცვის ახალ სტანდარტებთან ადაპტირებაში დახმარების სახით, და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი დახმარება, ამ სტანდარტების აუცილებელი ადაპტირების ღირებულების 20%-ს არ აღემატება და გაიცემა ერთჯერადად.

მაშინ, როდესაც აკრძალული და გაპროტესტებადი სუბსიდიები შესაძლოა გახდეს დავის საგანი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავათა განხილვის მექანიზმის თანახმად, და ასევ საკომპენსაციო ბაჟის დაწესების ობიექტი, არაგაპროტესტებადი სუბსიდიები, დროულად

გაფრთხილების შემთხვევაში, დაცულია ორივე ზემოთ აღნიშნული შედეგისაგან. მაგრამ, თუ ბოლოს დამტკიცდება, რომ არაგაპროტესტებადი სუბსიდიები წევრი სახელმწიფოს „შიდა მრეწველობაში იწვევს მნიშვნელოვან უკუეფექტს", „როგორიცაა ძნელად გამოსასწორებელი ზარალის მიყენება„, ნებისმიერ დაინტერესებულ წევრ ქვეყანას შეუძლია წამოიწყოს დავათა განხილვის პროცედურა და შეუძლია განახორციელოს შემხვედრი ზომები, თუ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილება არ იქნა მიღწეული.

ზოგადი წესის მსგავსად, მრეწველობაშიც არსებობს აკრძალული სუბსიდიები, ანუ ე.წ. წითელი ყუთი და დაშვებული სუბსიდიები.

მრეწველობის სფეროში წითელ ყუთს (ამკრძალავ სუბსიდიებს) მიეკუთვნება შემდეგი სუბსიდიები:

- საექსპორტო სუბსიდიები, ე.ი. სუბსიდიები, რომელთა გამოყენება დაკავშირებულია საექპორტო საქმიანობის შედეგებთან;
- სუბსიდიები, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივი საქონლის წარმოების ხელშესაწყობად იგივე დასახელების იმპორტული საქონლის მაგივრად.

ეს სუბსიდიები მიეკუთვნებიან სპეციფიკურ სუბსიდიებს და ხასიათდებიან უარყოფითი გავლენით ვაჭრობაზე.

სუბსიდიებსა და საკომპენსაციო ზომებზე შეთანხმების (SCM) შემოღებამდე საექპორტო სუბსიდიებით სარგებლობა ეკრძალებათ მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს, მაგრამ ამ შეთანხმებამ გააფართოვა სუბსიდიების შეზღუდვის არეალი და აკრძალვას დაექვემდებარნენ განვითარებადი ქვეყნებიც. ეს ქვეყნები ვალდებულნი არიან რვა წლიანი „გარდამავალი პერიოდის" განმავლობაში (2003 წ. 1 იანვარი) თანდათანობით შეამცირონ საექსპორტო სუბსიდიებით სარგებლობა. განვითარებადი ქვეყნის მოთხოვნის გათვალისწინებით გარდამავალი პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს ორი წლით. დამატებითი დროის განმავლობაში განვითარებადმა ქვეყნებმა მთლიანად უნდა შეწყვიტონ საექსპორტო სუბსიდიების გამოყენება იმ საქონლის მიმართ, რომლის წარმოებაშიც მიაღწევენ ექსპორტის კონკურენტუნარიანობის შესაბამის დონეს. აღნიშნული დონე მიღწეულად ითვლება, თუ მსოფლიო ბაზარზე ამ საქონლის ექსპორტში ქვეყნის ხვედრითი წილი შეადგენს 3,25%-ს უკანასკნელი ორი წლის მანძილზე.

ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და დაბალ შემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნები, რომელთა მთლიანი ეროვნული პროდუქტი (GNP) არ აღემატება 1000 აშშ დოლარს ერთ სულ მოსახლეზე, არ ექვემდებარებიან საექსპორტო სუბსიდიების გამოყენების აკრძალვას. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყნებმა რომელიმე სასაქონლო პოზიციაში მიაღწიეს საექპსორტო კონკურენტუნარიანობის დონეს, მაშინ ამ საქონლის მიმართ რვა წლის განმავლობაში უნდა შეწყვიტონ საექპორტო სუბსიდიებით სარგებლობა.

სუბსიდიები, რომლებიც ადგილობრივი საქონლის წარმოების ხელშეწყობით აფერხებენ ამავე დასახელების იმპორტული საქონლის რეალიზაციას ქვეყნის შიდა ბაზარზე, განვითარებადმა ქვეყნებმა შეიძლება გამოიყენონ ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (2000 წ. 1 იანვარი), ხოლო ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა — რვა წლის განმავლობაში (2003 წ. 1 იანვარი).

GATT -ის შეთანხმებები უშვებს რიგ შემთხვევებს, როდესაც სუბსიდიები და საკომპენსაციო გადასახადები „არა- მოქმედად" ითვლება და მათი გამოყენება არ არის აკრძალული. ისინი დაშვებულია, როდესაც:

1. სუბსიდია არ არის სპეციფიკური;

2. სამეცნიერო კვლევისათვის გაწეული დახმარება, რომელიც წარმართულია სამეცნიერო ან კვლევითი დაწესებულების მეირ ფირმებთან საკონტრაქტო საფუძველზე და როდესაც დახმარება ფარავს სამეცნიერო კვლევის ღირებულების 75%-ზე ნაკლებს, ან საქონლის ბაზარზე გასვლამდე საქმიანობის ღირებულების 50%-ზენაკლებს;

3.ხდება ჩამორჩენილი რეგიონის განვითარებისათვის დახმარება;

4.დახმარება ხდება ახალ ეკონომიკურ სიტუაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით ახალ მდგომარეობასთან შეგუებისათვის.

GATT -ის სუბსიდიებსა და საკომპენსაციო გადასახადებზე შეთანხმების მიხედვით „უმნიშვნელოდ" ითვლება და მხედველობაში არ მიიღება, როდესაც იმპორტიორი ქვეყნის ბაზარზე სუბსიდირებული საქონლის იმპორტის წილი არ აღემატება 1%-ს. განვითარებადი ქვეყნებისათვის მინიმალურად ითვლება თუ სუბსიდირებული საქონლის იმპორტის წილი ნაკლებია 4%-ზე. იმ შემთხვევაში კი, თუ არსებობს მსგავსი სუბსიდირებული საქონლის რამოდენიმე ექსპორტიორი განვითარებადი ქვეყანა, მაშინ იმპორტიორ ქვეყანაში მათი ბაზრის საერთო წილი არ უნდა აღემატებოდეს 9%-ს.

მსო-ში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის სფეროს სუბსიდირებას ან სახელმწიფოს მხრიდან სხვა ფორმით დახმარების საკითხებს. ეს პროცესი რეგულირდება შეთანხმებით სოფლის მეურნეობის შესახებ.

სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სუბსიდიები იყოფა ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი მოიცავს აკრძალულ სუბსიდიებს, რომელთა გამოყენება არ შეიძლება (ე.წ. წითელი ყუთის სუბსიდიებს). მეორე ჯგუფში შედის შიდა დახმარების სუბსიდიები. ეს უკანასკნელი იყოფა

ოთხ კატეგორიად ანუ ყუთად: მწვანე ყუთი, ყვითელი ყუთი, ლურჯი ყუთი, განსაკუთრებული და დიფერენცირებული მიდგომის ყუთი.

მწვანე ყუთის სუბსიდიები არ არის სპეციფიკური და მოიცავს ნებადართულ სუბსიდიებს, რომელთა გამოყენება შეუზღუდავია. აღნიშნული სუბსიდიები ითვალისწინებს ისეთ დახმარებას, რომელსაც არ გააჩნია ან გააჩნია მინიმალური ხელის შემშლელი ზემოქმედება ვაჭრობასა და წარმოებაზე. სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმება არ უკრძალავს მთავრობას განახორციელოს ფერმერთა მხარდაჭერის ზომები, ან სოფლის მეურნეობაში წარმოების გაუმჯობესების მიზნით გამოიყენოს სუბსიდიები.

თავის მხრივ მწვანე ყუთში შიდა დახმარებები იყოფა სამ ჯგუფად:

* სამთავრობო ორგანიზაციათა ისეთი მომსახურება (რომლებიც ტიპიურია ყველა ქვეყნისათვის), როგორიცაა კვლევითი პროგრამები, მწერებისა და დაავადებათა კონტროლის ღონისძიებები, საგანმანათლებლო სამსახურები, ინსპექციის სამსახურები, მარკეტინგისა და სტიმულირების სამსახურები, ინფრასტრუქტურული სამსახურები;
* მეორე ჯგუფში შედის შიდა სასურსათო დახმარება და სახელმწიფო აქციების ფლობა საკვებით უზრუნველყოფის მიზნით;
* მესამე ჯგუფს წარმოადგენს სამთავრობო სადაზღვევო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლების დაზღვევისა და დანაკარგების ანაზღაურებას სტიქიური უბედურების შემთხვევაში.

ყვითელი ყუთი — შეთანხმება ადგენს მთავრობის მიერ ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერის მიზნით საერთო შიდა დახმარების ზედა ზღვარს, რომელიც გამოითვლება „მხარდაჭერის ნაერთი მაჩვენებლის" (AMS) გამოყენებით. ამას გარდა შეთანხმება მოითხოვს „მხარდაჭერის ნაერთი მაჩვენებლის" შემცირებას 20%-ით განვითარებული ქვეყნების მიერ 6 წლის განმავლობაში, ხოლო 13%-ით შემცირებას განვითარებადი ქვეყნების მიერ 10 წლის მანძილზე (საბაზისო პერიოდად აღებულია 1986-88 წწ. საშუალო დონე).

„მხარდაჭერის ნაერთი მაჩვენებლის" გათვლითი შიდა დახმარების დონე შედის „უმნიშვნელოს" (de minimis) ცნებით განსაზღვრულ ფარგლებში, რომლის ზემოთაც სუბსიდიების გამოყენება შეზღუდულია. „უმნიშვნელოს" ზემოთ სუბსიდიების გამოყენების შემთხვევაში, წევრმა ქვეყნებმა შესაძლებელია მოითხოვონ კომპენსაცია ან მიიღონ საპასუხო ზომები.

„უმნიშვნელოს" პირობა გულისხმობს, რომ ის სუბსიდიები, რომელიც გამოყენებულია ყვითელი ყუთის პოლიტიკიდან გამომდინარე, ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვას. განვითარებული ქვეყნებისათვის „უმნიშვნელოს" ზღვარი შეადგენს ამ სექტორში GDP -ს 5%-ს, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისათვის 10%-ს. ეს გულისხმობს იმას, რომ მთავრობას შეუძლია სოფლის მეურნეობაში ისარგებლოს ყვითელი ყუთის სუბსიდიების ისეთი მოცულობით, რომელიც განვითარებული ქვეყნის შემთხვევაში ექვივალენტური იქნება სოფლის მეურნეობის მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-ის, ხოლო განვითრებადი ქვეყნის შემთხვევაში — 10%-ის.

„უმნიშვნელოს" პირობით განსაზღვრული შიდა სუბსიდიები და დახმარება მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: საბაზრო ფასის მხარდაჭერა, პირდაპირი ანაზღაურება ფერმერებისათვის, საპროცენტო განაკვეთის სუბსიდიები და სხვა სარესურსო სუბსიდიები. (მაგ. სასუქებისათვის, საწვავისა და ელექტრო ენერგიისათვის), ფერმერთა გადასახადებისაგან განთავისუფლება (დღგ, საშემოსავლო გადასახადი).

ლურჯი ყუთის დახმარებები გამოიყენება მხოლოდ განვითარებული ქვეყნების მიერ და ეძლევა ფერმერებს იმ მიზნით, რათა არ აწარმოონ ამა თუ იმ სახის პროდუქცია.

განსაკუთრებული და დიფერენცირებული მიდგომების ყუთით გათვალისწინებული (შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ, მუხლი 6.2) სუბსიდია წარმოადგენს დახმარების იმ ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად. აღნიშნული წარმოადგენს განვიათარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროგარმათა შემადგენელ ნაწილს. ეს მოიცავს:

— საინვესტიციო სუბსიდიებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სოფლის მეურნეობისათვის;

— სოფლის მეურნეობის სარესურსო სუბსიდიებს, რომელიც ხელმისაწვდომია დაბალშემოსავლიანი და მწირი რესურსების მქონე მწარმოებელთათვის.

საქართველომ სოფლის მეურნეობის სექტორისათვის შეიმუშავა და მსო-ს სამდივნოს წარუდგინა სუბსიდიების გამოყენების ვალდებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ სამთავრობი დახმარებას მწვანე, ყვითელი აგრეთვე განსაკუთრებული და დიფერენცირებული მიდგომების ყუთების პრინციპების მიხედვით.

მომსახურებით ვაჭრობისა და ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის რეგულირება

გარდა საქონლით ვაჭრობისა, მსო-ს შეთანხმებები, არეგულირებენ მომსახურებით ვაჭრობას და ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვას. ამას ემსახურება მრავალმხრივი საერთაშორისო „შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე" (GATS) და „შეთანხმება ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების სავაჭრო ასპექტებზე" (TRIPS).

GATS პირველი მრავალმხრივი შეთანხმებაა, რომელიც მოიცავს მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობას და იურიდიულად უზრუნველყოფს მომსახურეობით ვაჭრობის თითოეული მონაწილე მხარის უფლებამოვალეობის დაცვას.

საქონლით ვაჭრობის შეთანხმების მსგავსად GATS შედგება 3 ნაწილისაგან: პირველი მოიცავს პრინციპებსა და ვალდებულებებს, მეორე — დანართებს, მიმართულს სპეციფიკური სექტორებისათვის და მესამე, თითოეული ქვეყნის სპეციალურ ვალდებულებებს, რომლებიც უზლუნველყოფენ ბაზარზე მათ შეღწევას.

GATS -ის მიზანია გაავრცელოს საქონლით ვაჭრობაზე მოქმედი წესები მომსახურებით ვაჭრობაზე, ხელი შეუწყოს ამ მოქმედების ლიბერალიზაციას.

აღნიშნული შეთანხმება მოიცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

— ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს ერთის მხრივ წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისათვის „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას", ხოლო მეორეს მხრივ თანაბარი პირობებისა და უფლებების უზრუნველყოფას იმპორტული და ადგილობრივი საქონლისათვის;

— ქვეყნის ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზარში და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ერთობლივი დაგეგმვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე;

— კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება ურთიერთდათმობების გათვალისწინებით;

— დავების გადაწყვეტა კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში — GATT -ის სპეციალური ორგანოების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით;

დანართი №10



— შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად ტარიფული მეთოდების გამოყენება და არა რაოდენობრივი შეზღუდვებისა ან ანალოგიური მეთოდებისა.

როგორც აღინიშნა, საქონლის ეროვნული წარმოების დასაცავად, გამოიყენება საბაჟო ტარიფები. ამისაგან განსხვავებით მომსახურების ეროვნული ინდუსტრიის დასაცავად ძირითადად გამოიყენება ეროვნული საკანონმდებლო ბაზით დაწესებული შეზღუდვები. საქონლით ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მსგავსად, მომსახურებით ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ქვეყნებს აკისრებს ვალდებულებას ეროვნულ კანონმდებლობაში შეცვალონ ის ცალკეული კანონები, რომლებიც ატარებენ დისკრიმინაციულ პოლიტიკას მომსახურების ეროვნული და უცხოელი მომწოდებლების მიმართ.

შეთანხმება TRIPS -ზე ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვრიდან. იგი ითვალისწინებს წევრი ქვეყნებისათვის გარდამავალი პერიოდის მინიჭებას, რათა მათ შესაბამი კანონმდებლობა შეუსაბამონ ამ შეთანხმების პირობებს.

გარდამავალი პერიოდი განვითარებული ქვეყნებისათვის მოიცავს ერთ წელიწადს, განვითარებადი ქვეყნებისათვის — 2000 წლამდე, ხოლო ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის — 2006 წლამდე. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნები უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ გარდამავალი პერიოდით 2000 წლამდე.

TRIPS -ზე შეთანხმება მოითხოვს, რომ ყველა ქვეყანამ თანაბრად დაიცვას ინტელექტუალური საკუთრების თითოეული სფერო, უზრუნველყოს იგი ეფექტური პროცედურებითა და საშუალებებით.

TRIPS -ზე შეთანხმება მოიცავს შემდეგ სფეროებს:

1. საავტორო უფლებები და მასთან დაკავშირებული უფლებები;
2. გეოგრაფიული ნიშნები;
3. პატენტები;
4. სავაჭრო მარკები, მომსახურების სავაჭრო მარკების ჩათვლით;
5. საიდუმლო ინფორმაცია (სავაჭრო საიდუმლოებების ჩათვლით);
6. სამრეწველო მოდელები.

TRIPS -ის შეთანხმების უმაღლესი ორგანოა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სავაჭრო ურთიერთობების ასპექტების საბჭო. იგი არეგულირებს ამ შეთანხმების პირობების შესრულებას.

განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის პატენტების დაცვას, უფლება აქვთ შემოიღონ დაცვის მექანიზმი ათი წლის მანძილზე. გარდა ამისა, 1996 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ფარმაცევტული, სასოფლო-სამეურნეო და ქიმიური პროდუქციისათვის.

საქართველოს მსო-ში გაწევრიანებამ მოითხოვა მომსახურებით ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის

სექტორების საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმატივებთან. ამ მიზნით საქართველო შეუერთდა სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლს, რომელიც საქართველოში ძალაში შევიდა 1998 წლის 20 აგვისტოდან. ეს საქართველოს მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს ერთი განაცხადის საშუალებით მოახდინონ საფირმო ნიშნების რეგისტრაცია მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლის წევრ 48 სახელმწიფოში. მეორე ეტაპზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სექტორის პრიორიტეტს წარმოადგენს ბერნის კონვენციასთან (ლიტერატურულ და მხატვრული ნაწარმოებების დაცვა) მიერთება, რომლის მიზანია ავტორთა უფლებების ეფექტურად და ერთიანად მახსიმალურად დაცვა თავიანთ ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე.

სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (SPS)

მსო-ს კანონმდებლობა წევრ ქვეყნებს უფლებამოსილებას ანიჭებს მიიღონ სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (SPS) რომლის ძირითადი მოთხოვნებია:

* ცხოველის ან მცენარის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა პარაზიტების, დაავადებების, დაავადებების მატარებელი ორგანიზმების ან დაავადებების გამომწვევი ორგანიზმებისაგან;
* ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა სურსათში, ალკოჰოლურ სასმელებსა თუ კონსერვებში არსებული დამამატებლის ჭარბი რაოდენობისაგან, ტოკსიკური ან დაავადებების მატარებელი ორგანიზმებისაგან;
* ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა დაავადებებისაგან, რომლებიც ვრცელდება ცხოველების, მცენარეების, სასურსათო პროდუქტების ან პარაზიტების საშუალებისთ;
* პარაზიტების შემოსვლის, დამკვიდრების ან გავრცელების საშიშროების თავიდან აცილება.

სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების (SPS) ფორმულირება და განხორციელება უშუალოდ ექსპორტიორი მწარმოებლის ინტერესს წარმოადგენს, რათა შეისწავლოს საკუთარ ბაზარზე საქონელზე არსებული სტანდარტების, სანიტარული რეგულირების მექანიზმის, ტესტირებისა და ინსპექტირების პროცედურების შესაბამისობა SPS ზომების შესახებ შეთანხმების წესებთან. აღსანიშნავია, რომ ამ შეთანხმების რეალიზაცია წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე არ წარმოადგენს რაიმე სავაჭრო ბარიერს.

ამ ზომების მიღება, ბუნებრივია, ქართველი მომხმარებლის ინტერესებშიც შედის, რადგან ქართულ ბაზარზე არსებული, უმეტესად შეუმოწმებელი, ადგილობრივი თუ უცხოური წარმოების საკვები პროდუქტი მრავალი დაავადების წყაროა ხდება.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და განვითარებადი ქვეყნები

მსო-ს წევრი ქვეყნების 3/4-ზე მეტს წარმოადგენენ განვითარებადი და ეკონომიკური რეფორმების პროცესში მყოფი ქვეყნები. ურუგვაის რაუნდის პერიოდში, 60-მა განვითარებადმა ქვეყანამ გაატარა ლიბერალიზაციის პოლიტიკა. ამ ტენდენციამ ბოლო მოუღო მოსაზრებას, რომ სავაჭრო სისტემა მხოლოდ ინდუსტრიული ქვეყნებისათვის არსებობს. ურუგვაის რაუნდის ბოლოს განვითარებადმა ქვეყნებმა გამოხატეს თავიანთი მზადყოფნა შეერთებოდნენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც მოეთხოვებოდათ განვითარებულ ქვეყნებს. თუმცა, მათ მიეცათ გარდამავალი პერიოდი იმისათვის, რომ შეგუებოდნენ მანამდე უცნობ და ალბათ რთულ მსო-ს დებულებებს, ეს განსაკუთრებით ეხება ულარიბეს ე.წ „ნაკლებად განვითარებულ“ ქვეყნებს. გარდა ამისა, განვითარებული სახელმწიფოების მიერ მიღებული სამთავრობათაშორისი გადაწყვეტილება განვითარებადი ქვეყნებისათვის ამ პროცესის ადვილად განხორციელებაში დახმარების შესახებ, ითვალისწინებს ბაზარზე დაშვების კონცესიების დაჩქარებას, და ტექნიკური დახმარების გაწევას.

განვითარებადი ქვეყნები მსო-ს წევრების 3/4-ს შეადგენენ და სავარაუდოდ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან ერთად ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებენ მსო-ში

შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად ურუგვაის რაუნდს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა განვითარებადი ქვეყნებისათვის, გლობალურ ეკონომიკაში მათი ინტეგრირების თვალსაზრისით. განვითარებადმა ქვეყნებმა უკანასკნელ წლებში აჩვენეს წარმოების, დასაქმებისა და ვაჭრობის უფრო მზარდი მაჩვენებლები, ვიდრე ძლიერმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა (იხ. დანართი №10). ამავე დროს ისინი წარმოადგენენ საკმაოდ მნიშვნელოვან ბაზარს, როგორც ინდუსტრიული ქვეყნებისათვის, ისე - ერთმანეთისათვის. GATT -ის წინა შვიდი რაუნდის დროს განვითარებადი ქვეყნები უმეტეს ყურადღებას ამახვილებდნენ ინდუსტრიული ქვეყნების ბაზრების უპირატესი დაშვების უფლების მოპოვებაზე და მხოლოდ რამოდენიმე მათგანი მონაწილეობდა აქტიურად ბაზარზე დაშვების კონცესიების გაცვლის

მოლაპარაკებებში. ურუგვაის რაუნდის მუშაობაში კი განვითარებადმა ქვეყნებმა შეასრულეს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი და ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საკითხთა საკმაოდ ფართო სპექტრის ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში.

განვითარებადი ქვეყნები, როგორც აღვნიშნეთ, შეადგენენ მსო-ს წევრების სამ მეოთხედს. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან ერთად, ისინი ითამაშებენ უმნიშვნელოვანეს როლს მსო-ში. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების

საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება დღეს-დღეობით ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანადაა მიჩნეული

განსაკუთრებულ მოთხოვნებსა და პრობლემებს. მაგალითად, მსო-ს სამდივნო, დამოუკიდებლად ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ახორციელებს მისიებს, ატარებს სემინარებს და უზრუნველყოფს სპეციფიურ, პრაქტიკულ ტექნიკურ დახმარებას მთავრობებისათვის და მათი თანამდებობის პირებისათვის. კურსები და ინდივიდუალური დახმარება ხორციელდება მსო-ს საქმიანობის კონკრეტული მიმართულებებით დავების გადაწყვეტისა და სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის ჩათვლით. უფრო მეტიც, განვითარებად და, განსაკუთრებით კი, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს დახმარება ეწევათ როგორც მათ საექსპორტო ინტერესებთან დაკავშირებული სავაჭრო და სატარიფო მონაცემებთან მიმართებით, ისე მსო-ს ორგანოებში მონაწილეობისას.

მსო-ს შიგნით განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებულ საქმიანობას, სამდივნოს გარდა, ახორციელებს მსო-ს ვაჭრობისა და განვითარების კომიტეტი და მისი ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ქვეკომიტეტი.

GATT -ის დებულებები, რომლებიც მოიცავდნენ განვითარებადი ქვეყმებისათვის დახმარების ღონისძიებებს, რჩება მსო-შიც. კერძოდ, GATT -ის IV თავი შეიცავს სამ მუხლს, რომლებიც მოუწოდებენ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს დაეხმარონ განვითარებად ქვეყნებს „შეგნებული და მიზანდასახული ძალისხმევით" მათთვის ხელსაყრელი სავაჭრო პირობების შექმნით და განვითარებადი ქვეყნებისათვის მიცემული შეთანხმებებში დაფიქსირებული დათმობები განახორციელონ საპასუხო დათმობების მოთხოვნის გარეშე. მეორე უმნიშვნელოვანესი ზომა, რომელიც 1979 წელს ტოკიოს რაუნდზე იქნა შეთანხმებული, გულისხმობს — განვითარებულის მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის ბაზარზე დაშვების კონცენსიების მინიჭებას, და ამისთვის მუდმივი სამართლებრივი საფუძვლის შექმნას, პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის (GSP) გამოყენებით.

მსო და საქართველოს სატარიფო პოლიტიკა

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნამ 1995 წელს დღის წესრიგში დააყენა საქართველოს აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანება, რაც დღესდღეობით ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანადაა მიჩნეული. ეს განპირობებულია იმ სარგებელით, რაც საქართველოს შეუძლია მიიღოს, როგორც მსო-ს წევრმა: მოხდება ქვეყნის სრული ინტეგრაცია საერთაშორისო ვაჭრობაში; საქართველო მიუერთდება მსო-ს შეთანხმებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას საქონლით და მომსახურებით ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში; განხორციელდება საქართველოს პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევა მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით; ქართველ მეწარმეებს მიეცემათ საშუალება, თავიდან აიცილონ დისკრიმინაციული ზემოქმედება; შეიქმნება ვაჭრობის სფეროში წამოჭრილი საერთაშორისო დავების სამართლიანად და ობიექტურად გადაწყვეტის პირობები; ხელი შეეწყობა საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების პრაქტიკულად ამოქმედებას; გაუმჯობესდება პირობები ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის.

საერთაშორისო ორგანიზაციების (**WB** ,**IMF**) დახმარებით საქართველომ მოახდინა საგრეო ვაჭრობის ღრმა ლიბერალიზაცია: გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის ქვოტირება, მხოლოდ მეტად შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე ნარჩუნდება ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა, იგივე ეხება ლიცენზირებას, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა. იმპორტზე ტარიფის განაკვეთები დაწესდა 0%, 5%, ან 12% დონეზე.

ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით საქართველოში გაუქმებულია საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, აგრეთვე დაწესდა მთელი რიგი შეღავათებისა საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე (კანონი „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ" 20. 03. 98 წ)

ამგვარი ლიბერალური სისტემა, როგორც აღნიშნეს მსო-ს ექსპერტებმა, კარგ პირობებს უქმნის საქართველოს ამ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად. ამავე დროს, მათ ხაზი გაუსვეს, რომ მსო-ში გაწევრიანება დაკავშირებული იქნება ტარიფების ე.წ.

„მიბმასთან" გარკვეულ დონეზე და შემდგომში ამ დონის „დაწევის" ვალდებულებებთან იმ გრაფიკით, რომელიც განისაზღვრება გაწევრიანებისას მოლაპარაკების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ **GATT** ემხრობა ლიბერალურ ვაჭრობას, ის აღიარებს, რომ ქვეყნებმა შეიძლება დაიცვან თავიანთი ბაზარი უცხოური კონკურენციისგან. **GATT** ავალდებულებს მათ, რომ ამგვარი პროტექციონისტური ღონისძიებები გაატარონ რაც შეიძლება დაბალ დონეზე და განახორციელონ *უპირატესად ტარიფებით*. ტარიფებით ბაზრის დაცვა იურიდიულად გამაგრებულია დებულებებით, რომლებიც უკრძალავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრ ქვეყნებს გამოიყენონ იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვები (თუმცა დებულებები ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისებს). ამრიგად, ტარიფები არის ოფიციალურად დაშვებული მნიშვნელოვანი მექანიზმი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დაცვისათვის.

სატარიფო განაკვეთები, რომლებიც შეტანილია ქვეყნის სატარიფო ვალდებულებათა ცხრილში ცნობილია, როგორც „ბმული ტარიფები". ქვეყნებს არ შეეძლებათ გაზარდონ ტარიფები „ბმულ ტარიფებზე" მაღლა, განსაკუთრებულ შემთხვევათა გარდა და სპეციალურ მოლაპარაკებათა ჩატარების გარეშე.

სხვა ქვეყნების საბაჟო ტარიფების შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი უმრავლესობა იმპორტის რეგულირების მიზნით იყენებს ფართო დიაპაზონში დიფერენცირებულ განაკვეთებს. ამასთან, როგორც წესი, სოფლის მეურნეობის სფეროში საშუალო შეწონილი ტარიფი საგრძნობლად უფრო მაღალია, ვიდრე მრეწველობის სექტორში. განვითარებულ ქვეყნებში როგორიცაა მაგალითად ჩეხეთი, კანადა, აშშ — ფართოდ გამოიყენება ე.წ. „სატარიფო ქვოტები" იმპორტზე, როცა დადგენილი ქვოტის ზევით იმპორტი ექვმდებარება მკვეთრად (ხშირად რამდენიმე ასეულჯერ) გაზრდილი განაკვეთით დაბეგვრას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა დღის წესრიგსში დააყენა საქართველოში იმპორტზე მოქმედი, აგრეთვე ზღვრული ბმული ტარიფის განაკვეთების ოპტიმალური დონის განსაზღვრის საკითხი.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში ყოველი ქვეყანა ამუშავებს სატარიფო ვალდებულებებს სასაქონლო ნომენკლატურის თითოეული პოზიციისათვის. გაწევრიანების შემდეგ ქვეყნის ტარიფები ებმება გარკვეულ დონეს, რომლის გაზრდაც ფაქტიურად შეუძლებელია.

იმისათვის, რომ მსო-ს წევრმა ქვეყანამ შეძლოს გარკვეული პერიოდით გაზარდოს თავისი „ბმული ტარიფების" დონე, საჭიროა ქვეყანამ GATT -ის შეთანხმებების საფუძველზე მოახერხოს ამ გაზრდის აუცილებლობის დასაბუთება. სატარიფო დონის გაზრდა ქვეყანას შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ იგი დაასაბუთებს, რომ ეს გაზრდა გამოწვეულია შემდეგი აუცილებლობით:

1. ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად გამოწვეული დისბალანსის გამოსწორებისათვის;

2. მზარდი იმპორტის შედეგად ეროვნული მწარმოებლისთვის მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად.

თუ ქვეყანამ შეძლო ტარიფების გაზრდის აუცილებლობის დასაბუთება და გაზარდა თავისი „ბმული ტარიფების" დონე, იქმნება საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც კონსულტაციებს გამართავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან საქონელზე ტარიფების აწევისათვის წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა მოითხოვონ კომპენსაცია.

ამასთან ერთად, გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება ტარიფების გაზრდასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა და თუ აღმოჩნდა, რომ ის უარყოფითი შედეგები, რომელთა გამოც მოხდა ტარიფების აწევაზე გადაწყვეტილების მიღება, უკვე აღმოფხვრილია, ხდება ტარიფების ისევ საწყის დონემდე შემცირება.

ეს რაც შეეხება თეორიულად ტარიფების აწევას და მის შემდგომ მოვლენებს. რეალურად, ეს იმდენად რთული პროცედურაა, რომ მსო-ს პრაქტიკაში ტარიფების აწევის პრეცენდენტი არ არსებობს.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 6 იანვრის №316/31 დავალებით ფინანსთა, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებს დაევალათ პარლამენტის შესაბამის კომოტეტებთან შეთანხმებული წინადადებების წარდგენა იმპორტზე სატარიფო განაკვეთების თაობაზე.

ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ ჩაატარა საშუალო შეწონილი ტარიფების დონეთა გაანგარიშება, იმ შემთხვევისათვის თუ შემოღებულ იქნება აღნიშნულ წინადადებებში შეთავაზებული ზღვრული სატარიფო განაკვეთები.

ურუგვაის რაუნდის შემდეგ რიგმა ქვეყნებმა წამოაყენეს „სექტორული ინიციატივები", რომლებიც ითვალისწინებენ გარკვეული კატეგორიის საქონელით ვაჭრობაში ტარიფების მოხსნას (ნულოვან განაკვეთზე დაყვანას) ან მის გარკვეულ დონემდე დაწევას („ჰარმონიზაციას").

მსო-ში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს მოეთხოვებათ „სექტორულ ინიციატივებზე"

მიერთება, რაც ნიშნავს იმპორტული ტარიფის განაკვეთების აღნიშნული „სექტორული ინიციატივების" პირობებთან შესაბამისობაში მოყვანას გაწევრიანებისთანავე, ან გარკვეული გარდამავალი პერიოდის შემდეგ.

საქართველოს „სექტორული ინიციატივების" ერთ-ერთ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს იმ იმპორტირებულ საქონელზე გადასახადის შემცირება, რომლის ადგილობრივი წარმოება არ არსებობს, რის შედეგადაც ამ პროდუქციის ფასი ადგილობრივი მომხმარებლისთვის გაცილებით დაბალი იქნება. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ სამრეწველო დასასოფლო-სამეურნეო სექტორებს შემოიტანონ დაბალი საიმპორტო გადასახადით წარმოებისათვის საჭირო აღჭურვილობა, დანადგარები და ნედლეული, რაც დიდად შეუწყობს ხელს ამ სექტორების განვითარებას. გარდა ამისა, ქართული საექსპორტო პროდუქცია უფრო ადვილად შეაღწევს პარტნიორი ქვეყნების ბაზარზე, ვინაიდან მასზე გადასახადებიც შემცირებული იქნება ამ ქვეყნების მიერ.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფართო ნომენკლატურის საქონელზე საიმპორტო ტარიფის შემცირება ან მოხსნა დაკავშირებულია ბიუჯეტში შემოსავლების შემცირებასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა საქართველომ შეიმუშაოს და დააფიქსიროს მსო-სთან მოლაპარაკებებში „სექტორულ ინიციატივებზე" მიერთების და მისი შემდგომი განხორციელების სტრატეგია. განსაზღვროს რა გრაფიკით არის შესაძლებელი საიმპორტო ტარიფების ამა თუ იმ სექტორებში არსებულ მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია, რა ვადაში იქნება მიღწეული და რა ეტაპებად განხორციელდება „ინიციატივაში" დაფიქსირებული ტარიფის დონე.

აუცილებელია აგრეთვე, განისაზღვროს სტრატეგიული მნიშვნელობის ის საქონელი, რომლებზეც საქართველოს მხარემ არ უნდა გაავრცელოს „სექტორული ინიციატივები". ამ უკანასკნელთაგან საქონლის გამორიცხვა მკაფიოდ უნდა იქნას არგუმენტირებული.

დასაბუთებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას მსო-ს ხელშეკრულებებით დაშვებული მოტივაციები, კერძოდ:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა;
- სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა;
- საგადამხდელო ბალანსის რეგულირება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ საქონელზე საიმპორტო საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირების შედეგად ბიუჯეტში პირდაპირი შემოსავლების შესაძლო დაკლება კომპენსირებულ იქნება იმ დადებითი შედეგებით, რასაც საქართველოს მსო-ში გაწევრიანება მოიტანს. კერძოდ, მანქანა-მოწყობილობაზე, ნედლეულზე და ნახევარფაბრიკატებზე საბაჟო გადასახადის შემცირება ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. გარდა ამისა, მსო-ს წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოს პროდუქციისათვის თავის ბაზარზე შეღწევადობის პირობების შემხვედრი გაუმჯობესება ხელს შეუწყობს საქართველოს ექსპორტის განვითარებას, რაც იმპორტის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საქართველო

საქართველო ინტენსიურად ახორციელებს მსო-ში გაწევრიანებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. საინტერესო იქნება გავეცნოთ მსო-ში გაწევრიანების ზოგადი პრინციპებსა და აუცილებელ პროცედურებს.

მსო-ს წესდების მიხედვით მის პირველად წევრებად, ანუ დამფუძნებლებად ითვლებიან ქვეყნები, რომლებიც მონაწილეობდნენ ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებებში და ხელი მოაწერეს მარაკეშის შეთანხმებებს 1994 წლის აპრილში. ასევე ქვეყნები, რომლებმაც ვერ მოასწრეს წევრობის შესახებ მოლაპარაკებების დასრულება 1995 წლამდე, თუმცა მონაწილეობას ღებულობდნენ ურუგვაის რაუნდში და ქვეყნები, რომლებიც მიუერთდნენ ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალურ შეთანხმებას 1994 წლის აპრილის შემდეგ, მაგრამ მსო-ს შექმნამდე. დანარჩენი ქვეყნები და საბაჟო ტერიტორიები მიიღებიან მსო-ს წევრთა ხმათა 2/3-ით.

მსო-ში თავდაპირველად გაწევრიანებული იყო 76 ქვეყანა. დღეს მათმა რიცხვმა 134-ს მიაღწია. დამატებით 31 ქვეყანას (მათ შორის საქართველოს) აქვს დამკვირვებლის სტატუსი.

ნებისმიერ სახელმწიფოს ან ცალკეულ საბაჟო ტერიტორიას, რომელიც ფლობს მოქმედების სრულ ავტონომიას საგარეო სავაჭრო ურთიერთობების წარმართვის სფეროში და იმ საკითხებში, რომელებიც გათვალისწინებულია მსო-ს დამფუძნებელი შეთანხმებით და მის პირველ-მესამე დამატებებში მოცემული მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებებით, შეუძლია დამფუძნებელ შეთანხმებასთან მიერთება იმ პირობების შესაბამისად, რომლებზედაც შეთანხმდებიან ეს სახელმწიფო თუ ცალკეული საბაჟო ტერიტორია და მსო. ასეთი შეერთება ითვალისწინებს, როგორც მსო-ს წევრობას, ასევე მისი დამფუძნებელი შეთანხმების პირველ-მესამე დამატებებში მოცემულ შეთანხმებებში აღნიშნულ შეთანხმებებთან მიერთებას.

შეერთების პროცედურის პირველ ეტაპზე მთავრობამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უნდა წარადგინოს მემორანდუმი, რომელიც მოიცავს მსო-ს შეთანხმებებთან დაკავშირებული ვაჭრობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ყველა

ასპექტს. აღნიშნული მემორანდუმი წარმოადგენს შეერთების მოთხოვნის განხილვის საფუძველს მუშა ჯგუფის მიერ. უკანასკნელი ღიაა მსო-ს ყველა წევრისათვის. როდესაც მუშა ჯგუფი მიაღწევს მნიშვნელოვან პროგრესს პრინციპებიხა და პოლიტიკის საკითხებში, იწყება პარალელური ორმხრივი მოლაპარაკებები პრეტენდენტ სახელმწიფოსა და ნებისმიერ დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოს მთავრობას შორის. მოლაპარაკებები მოიცავს სატარიფო განაკვეთებს და ბაზარზე დაშვების სპეციალურ ვალდებილებებს, ისევე, როგორც მომსახურებისა და სასაქონლო პოლიტიკის სხვა მიმართულებებს. ახალი წევრების ვალდებულებები თანაბრად გავრცელდება ყველა წევრზე არადისკრიმინაციული წესების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეთანხმებულნი იქნენ ორმხრივი მოლაპარაკებების დროს. როდესაც სრულდება პრედენდენტის სავაჭრო რეჟიმის მიმოხილვა და მოლაპარაკებები ბაზარზე დაშვების თაობაზე, მუშა ჯგუფი ადგენს შეერთების ძირითად პირობებს. ამის შემდეგ, მუშა ჯგუფის მოხსენება, რომელშიც ასახულია მისი გადაწყვეტილება, შეერთების ოქმის პროექტი და ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმებული სიები, გადაეცემა გენერალურ საბჭოს ან მინისტრთა კონფერენციას განსახილველად. თუ მათ მიიღებს მსო-ს წევრი ქვეყნების ორი მესამედი, პრეტენდენტს შეუძლია ხელი მოაწეროს ოქმს და შეუერთდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას.

ყველა წევრს აქვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან გამოსვლის უფლება. მსო-ს დამფუძნებელი შეთანხმების მე-15 მუხლის 1 პუნქტით დადგენილი პროცედურის თანახმად, წევრი სახელმწიფო წარუდგენს გენერალურ მდივანს წერილობით განცხადებას, რის შემდეგაც ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, იგი აღარ ჩაითვლება მსო-ს წევრად.

გაწევრიანების პროცედურა

1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ დაიწყო აქტიური მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად. 1994 წელს სახელმწიფოს მეთაურის დავალების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმებასთან მიერთებაზე. იმავე წელს საქართველომ დამკვირვებლის სტატუსი მიიღო. 1994 წლიდან საქართველო სარგებლობდა ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების (GATT) დამკვირვებლის სტატუსით. 1995 წლის 1 იანვარს მსო-ს, როგორც GATT-ის სამართალმემკვიდრის დაფუძნების შემდეგ, აუცილებელი გახდა მასში დამკვირვებლის სტატუსის ხელახალი მოპოვება.

1996 წლის ივნისში საქართველომ ფორმალური განაცხადი შეიტანა მსო-ში გაწევრიანებაზე. ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ, რომელიც გადაგზავნილი იყო მსო-ს სამდივნოსათვის, იმავე თვის 26 რიცხვში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი.

1996 წლის ივლისის თვეში, ქ. ჟენევაში გამართულ, მსო-ს გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს დელეგაციამ ოფიციალურად განაცხადა აღნიშნული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი. მსო-ს გენერალურმა საბჭომ განიხილა განცხადება და 1996 წლის ივლისში ჩამოაყალიბა ჯგუფი საქართველოს გაწევრიანების საკითხებზე სამუშაოდ. საქართველოს მსო-ში გაწევრიანების დაჩქარების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 ივლისის №173 განკარგულებით „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით მოლაპარაკებების დაწყების შესახებ" ყველა შესაბამისი სამთავრობო უწყების მონაწილეობით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა მსო-ში გაწევრიანებისათვის ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება. კომისია აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებთან, რომლებიც მას ტექნიკურ დახმარებას უწევენ. ესენია: ევროკავშირი — GEPLAC-ის პროექტის სახით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან — USAID საინსტიტუციო რეფორმებისა და არაფორმალური სექტორის (IRIS) კავკასიური ცენტრის სახით და მსოფლიო ბანკი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეეძლო შეერთებოდა მსო-ს, როგორც განვითარებადი ქვეყანა და ესარგებლა იმ უპირატესობებით, რაც გააჩნიათ აღნიშნული სტატუსის მქონე ქვეყნებს მსო-ს შეთანხმებებთან მიმართებით, გადაწყდა, არ გამოყენებულიყო ეს შესაძლებლობა გაწევრიანების პროცედურის დაჩქარების მიზნით. ამის შემდეგ, გაწევრიანების პროცედურის დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს კომპლექსური გადასინჯვის პროცესს, რაც იწყება კანდიდატი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის რეჟიმის სტატუსის შეფასებით, მსო-ს სამდივნოს წარედგინა „მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ" (მარტი, 1996 წელი), ხოლო მოგვიანებით კი 1997 წლის სექტემბერში გადაიგზავნა ოფიციალური პასუხები მსო-ს წევრების (აშშ-ს, ევროგაერთიანების, იაპონიის, შვეიცარიის, ავსტრალიის) მიერ მემორანდუმთან დაკავშირებით დასმულ 400-მდე კითხვაზე. საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის მემორანდუმმა და კითხვარებზე პასუხებმა მაღალი შეფასება მიიღეს, როგორც მსო-ს სამდივნოს,

ასევე წევრი ქვეყნების მხრიდან.

საქართველომ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნების ვაჭრობის მინისტრთა ორ კონფერენციაში. პირველი ჩატარდა 1996 წლის) 9-დან 13 დეკემბრამდე სინგაპურში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 164 ქვეყნის, ევროკომისიის, მსოფლიო ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), სავალუტო ფონდის, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ეკონომიკური ორგანიზაციების დელეგაციები (სულ დაახლოებით 3000 დელეგატი).

კონფერენციის პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოვიდნენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი 108 ქვეყნის (მაშინდელი 129 წევრი ქვეყნიდან) და დამკვირვებლის სტატუსის მქონე 21 ქვეყნის (მაშინდელი 28 დამკვირვებელი ქვეყნიდან) მინისტრები.

მინისტრთა კონფერენციაში მონაწილე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა იმ დროს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მონისტრი, ბატონი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი. იგი სიტყვით გამოვიდა 11 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე.

მინისტრთა კონფერენციის დასკვნით დეკლარაციაში დიდი ყურადღება დაეთმო შრომის საერთაშორისო სტანდარტების დაცვის საკითხებს, დაბალგანვითარებული ქვეყნების ხელშეწყობას მათ საქონელზე საიმპორტო გადასახადების მოხსნის გზით, განვითარებადი ქვეყნების ინტეგრაციას მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაში, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ფარმაცევტული პროდუქციით ვაჭრობის ლიბერალიზაციის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების (მათ შორის ტელეკომუნიკაციების) სექტორის პროდუქციის ექსპორტმა 1995 წელს 595 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა. იგი აღიარებულია ყველაზე მზარდ ინდუსტრიად, ამიტომ ბუნებრივია მსო-ს ასეთი განსაკუთრებული დაინტერესება ამ სექტორით.

მსო-ს წევრთაგან 14 ქვეყანამ (მათ შორის აშშ, იაპონია, ევროკავშირი, კანადა, სინგაპური, კორეა) ხელი მოაწერა „მინისტრთა დეკლარაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების პროდუქციით ვაჭრობის შესახებ". ამ დეკლარაციის მიხედვით, რომელიც დაემატება „მარაკეშის დეკლარაციას", საინფორმაციო ტექნოლოგიების პროდუქციაზე ტარიფების შემცირება დაიწყო 1997 წლიდან და გაგრძელდება 2000 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნულ დეკლარაციასთან მიერთება თავისუფალია როგორც მსო-ს წევრი, ისე მისი არაწევრი ქვეყნებისათვის. დღეისათვის აღნიშნულ დეკლარაციას შეუერთდა 44 ქვეყანა. მსო-ს სამდივნოში 1998 წელს გამართული ორმხრივი მოლაპარაკებების დროს ზოგიერთმა ქვეყანამ (აშშ, იაპონია, შვეიცარის და სხვ.) სთხოვა საქართველოს განესაზღვრა საკუთარი პოზიცია აღნიშნულ დეკლარაციასთან მიერთებასთან დაკავშირებით. ჩვენმა ქვეყანამ დადებითად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი, მოამზადა მიერთებისათვის აუცილებელი დოკუმენტები, რომელსაც უახლოეს მომავალში გადასცემს მსო-ს.

მინისტრთა მეორე კონფერენცია ჩატარდა 1998 წლის 18-20 მაისს. ამავდროულად გაიმართა GATT -ის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საქართველოს დელეგაციას კვლავ ხელმძღვანელობდა ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მონისტრი, ბატონი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი. საკმაოდ დაძაბული დღის წესრიგის გამო სიტყვით გამოსვლის უფლება ჰქონდათ მხოლოდ სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურებს, ამიტომ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს სიტყვით გამოსვლისა საშუალება არ მიეცა და მისი გამოსვლა წერილობითი სახით დაურიგდა მონაწილეებს.

კონფერენციის დასასრულს მინისტრებმა მიიღეს დეკლარაცია, რომლითაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს საერთო წესებზე დაფუძნებული მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის სასიცოცხლო მნიშვნელობა. განაახლეს ვალდებულება, რათა მიაღწიონ საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობაში პროგრესულ ლიბერალიზაციას; მიესალმნენ მსო-ს ფარგლებში ძირითად ტელეკომუნიკაციებსა და ფინანსურ მომსახურებაზე მოლაპარაკებების დასრულებას; მიესალმნენ გაწევრიანების პროცესში მყოფი 31 ქვეყნის მიერ მიღწეულ წარმატებებს და განაახლეს გადაწყვეტილება, უზრუნველყონ გაწევრიანების პროცესის დაჩქარება. იმავდროულად შეახსენეს ყველა წევრსა და გაწევრიანების მსურველს, რომ მსო-ში გაწევრიანება მოითხოვს მისი წესებისა და დებულებების სრულ დაცვას.

მინისტრთა კონფერენციაზე მოხდა საქართველოს დელეგაციის შეხვედრა მსო-ს გაწევრიანების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან.

1997 წლის დეკემბერში ჟენევაში, მსო-ს შტაბ-ბინაში, საქართველოს დელეგაციამ გამართა წინასწარი ორმხრივი კონსულტაციები ორგანიზაციის რამოდენიმე წამყვან წევრთან (აშშ, ევროკავშირი, იაპონია, ავსტრალია, და სხვ.). ბაზარზე დაშვების ორმხრივი მოლაპარაკებების დასაწყებად საქართველოს ეთხოვა წარმოედგინა საქონელსა და მომსახურებაზე საწყისი შეთავაზებები. აღნიშნული მოთხოვნის შესრულების შემდეგ, მსო-ს სამდივნომ სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა მარტის დასაწყისში დანიშნა.

1998 წელს საქართველოს დელეგაციამ მსო-ს შტაბ-ბინაში წევრ ქვეყნებთან გამართა ბაზარზე

დაშვების ორმხრივი მოლაპარაკებების სამი რაუნდი (პირველი 25 თებერვალი- 5 მარტი, მეორე 20-24 ივლისი და მესამე 6-12 ოქტომბერი). აღნიშნული შეხვედრების დროს მიმდინარეობდა მიწოდებული საქონელზე საწყისი სატარიფო შეთავაზებების და მომსახურების სფეროში საქართველოს მიერ მსო-სათვის შეთავაზებულ ვალდებულებათა განრიგის დეტალური განხილვა. საქართველოს დელეგაციამ ამ საკითხზე ორმხრივი შეხვედრები მოაწყო აშშ-ს, ევროკავშირის, იაპონიის, ავსტრალიის, შვეიცარიის, კანადის, თურქეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების წარმომადგენლებთან.

საქართველოს გაწევრიანების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის პირველი შეხვედრა 1998 წლის 3-4 მარტს ჩატარდა. 15 ქვეყნის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საქართველოს გაწევრიანებას მსო-ში და სამუშაო ჯგუფმა იმავე დღეს დაასრულა მოშაობა. შემუშავდა მოქმედების წინასწარი სქემა, რომელიც ითვალისწინებს არაოფიციალური მრავალმხრივი მოლაპარაკებების ჩატარებას.

1998 წლის 20-24 ივლისს საქართველოს დელეგაციამ ქ. ჟენევაში მსო-ს წევრ ქვეყნებთან გამართა „ბაზარზე დაშვების" მორიგი ორმხრივი მოლაპარაკებები. განხილვის საგანი იყო ერთის მხრივ საქართველოს მიერ მსო-ს სამდივნოსათვის გადაცემული სატარიფო შეთავაზებები საქონელზე, ხოლო მეორეს მხრივ ასევე შეთავაზებები, ოლონდ მომსახურების სფეროში.

საქართველოში გატარებული თუ გასატარებელი საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის შემდეგ მხარეებმა დადებითად შეაფასეს ის საქმიანობა. რაც საქართველოს მხარემ გაწია საკანონმდებლო ბაზის მსო-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ამან საშუალება მისცა წევრ ქვეყნებს, მათ შორის აშშ-სა და ევროკავშირს, განეცხადებინათ, რომ მათი აზრით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მსო-სთან მიერთების პერსპექტივაში. აღინიშნა, რომ ფაქტიურად სრულდება მოლაპარაკებები მომსახურების სფეროში ვალდებულებების განრიგის შესახებ. ორმხრივი მოლაპარაკებების ამგვარი ტემპით და ნაყოფიერებით წარმართვის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია საქართველოს მსო-ში გაწევრიანების პროცედურების დამთავრება მიმდინარე წლის ბოლოს (იგულისხმება 1998 წელი) ან მომავალი წლის დასაწყისში.

1998 წლის 6-14 ოქტომბერს ქ. ჟენევაში გაიმართა საქართველოს მსო-ში გაწევრიანების „ბაზარზე დაშვების" ორმხრივი მოლაპარაკებების მესამე რაუნდი და გაწევრიანების მუშა ჯგუფის მეორე მრავალმხრივი ოფიციალური შეხვედრა. საქართველოს დელეგაციამ მსო-ს წევრებს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. გავრცელდა, ასევე, დოკუმენტი, რომელშიც აისახა საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები და მოცემული იყო იმ კანონპროექტების ნუსხა, რომელთა მიღებაც სავარაუდოდ მოხდება უახლოეს მომავალში. საქართველოს მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, გარდა მსო-ში გასაწევრიანებლად სავალდებულოდ ხელმოსაწერი შეთანხმებებისა, მიუერთდეს სამთავრობო შესყიდვებზე მსო-ს შეთანხმებასაც (ეს დაფიქსირდა, როგორც ვაჭრობის რეჟიმის შესახებ მემორანდუმში, ასევე, მსო-ს სამდივნოში საქართველოს დელეგაციების ვიზიტების დროსაც). ჯერჯერობით განხილვის სტადიაშია, მიუერთდება თუ არა საქართველო სამოქალაქო ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას. სავარაუდოდ, საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება დაგეგმილია 1999 წლისათვის.

განხორციელებული სამუშაოები

ქართული მხარე მუდმივად მუშაობს მსო-ში გაწევრიანების საკითხებზე, ხდება საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მსო-ს მოთხოვნებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა. როგორც აღვნიშნეთ, 1998 წლის მარტში მოხდა სამუშაო ჯგუფის პირველი, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა, სადაც დაინტერესებულ წევრებთან გამართული ორმხრივი მოლაპარაკებების გარდა მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შედეგები ბაზარზე დაშვების მოლაპარაკებებში ტარიფებისა და მომსახურებაზე, და ასევე საქართველოს საგარეო რეჟიმის მსო-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანაში.

1998 წლიდან 1999 წლის 1 მარტამდე საქართველოში მსო-ს მოთხოვნებთან მისაახლოებლად განხორციელებულია შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი საქმიანობები:

I. საბაჟო ღირებულების რეგულირება: IRIS- ის ტექნიკური დახმარებით, ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა დეტალური ინსტრუქციები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საბაჟო დეპარტამენტმა, რათა დაკმაყოფილდეს GATT 1994-ის VII თავის („საბაჟო შეფასების შეთანხმება") განხორციალებასთან დაკავშირებული მსო-ს ხელშეკრულებები. მსო-ს საბაჟო ღირებულების კომიტეტის მიერ „საპროცენტო განაკვეთის მართვის" (WTO/VAL/ 6 & 7) შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ეს ინსტრუქციები გადაიხედა და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან. ამ ინსტრუქციების საბოლოო სახით გამოშვება დაგეგმილია 1999 წლის აპრილისათვის.

– წარმოშობის წესების განსაზღვრის

რეგულირება: ასევე IRIS-ის ტექნიკური მხარდაჭერით, ფინანსთა სამინისტრომ საბაჟო დეპარტამენტისთვის მოამზადა დეტალური ინსტრუქციები, რომლებიც ეხება მსო-ს წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმებას. „საბაჟო ღირებულების რეგულირების" მსგავსად, წარმოშობის წესების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციების გამოცემაც დროებით გადაიდო და ახლა მოსალოდნელია ა.წ.-ის აპრილისათვის.

– ანტიდემპინგი, საპასუხო ზომები და დამცავი ღონისძიებები: საქართველოს მთავრობა აგრძელებს არჩეულ პოლიტიკას და ამ სფეროში დეტალური კანონმდებლობის შექმნისაგან თავს იკავებს. თუმცა იგი იტოვებს უფლებას, მიიღოს ასეთი ზომები მომავალში, ოღონდ ეს არ მოხდება მანამ, სანამ მსო-ს მოთხოვნების შესაბამისი დეტალური კანონმდებლობა და განსახორციელებელი ინსტრუქციები არ მომზადდება.

– მსო-სთან ურთიერთობის დამარეგულირებელი პრეზიდენტის დეკრეტი: ვაჭრობის სამინისტრომ, IRIS-ის ტექნიკური დახმარებით, მოამზადა პრეზიდენტის დეკრეტის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას საქართველოსა და მსო-ს შორის მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება თანხმობა. ამგვარი დეკრეტის არსებობა საქართველოს გაუადვილებს პოსტ-თანხმობიდან თანხმობის ფაზაში გადასვლას. ამ დეკრეტის საბოლოო გამოცემა დამოკიდებულია მთავრობაზე, მათ დისკუსიებზე.

– ცვლილებები საგადასახადო კოდექსში: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. შეხვედრაზე საქართველოს მხარეს მოსთხოვეს შემოეღო ისეთი საგადახადო რეჟიმი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებებით დადგენილ კრიტერიუმებთან. კონკრეტულად საუბარია GATT-ის 1947 წლის შეთანხმების II მუხლზე, რომლის თანახმადაც ადგილობრივი გადასახადები და სხვა ადგილობრივი მოსაკრებლები, კანონები, დებულებანი და მოთხოვნილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოს შიდა ვაჭრობას, ყიდვა-გაყიდვის, ტრანსპორტირების, პროდუქციის განაწილებასა და გამოყენებაზე არ უნდა იქნენ გამოყენებულნი იმპორტირებული ან ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მიმართ, როგორც ადგილობრივი წარმოების დაცვის მექანიზმი.

გარდა ამისა, აღნიშნული კანონი მიზნად ისახავს დასაბეგრი ბაზის გაფართოებასა და გადასახადების ამოღების პროცენტების გაზრდას. ამისათვის, გაუქმებულ იქნა არაეფექტიანი საგადასახადო შეღავათები და შემოღებულ იქნა ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთები.

ადგილობრივი გადასახადები

იმპორტირებული საქონლის ადგილობრივი გადასახადებით დაბეგვრის შესაძლებლობამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ბაზარზე კონკურენტთა თანაბარი პირობების არსებობას. აქედან გამომდინარე, სამუშაო შეხვედრაზე წამოიჭრა საკითხი საქართველოში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების გამიჯვნის შესახებ.

აქციზი და დღგ: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების სამუშაო ჯგუფის ბოლო შეხვედრაზე გამოითქვა ეჭვები თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმის აქციზით დაბეგვრის დროს არსებულ განსხვავებებთან დაკავშირებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა რამოდენიმე ცვლილება და დამატება. აღნიშნული დებულება აუქმებს დისკრიმინაციულ სისტემას.

გარდა ამისა, სააქციზო მარკების შემოღება საცალო დონეზე გათვალისწინებულია 30 მარტისათვის, 1999 წ. თამბაქოს ნაწარმზე და 20 მარტისათვის ალკოჰოლურ სასმელებზე, გარდა ლუდისა. ლუდზე აქციზური მარკის შემოღების ბოლო ვადაა 1 ივლისი 1999 წელი. გამოიცა დეტალური ინსტრუქციები, რომლებიც მოიცავდა სააქციზო მარკების ახსნა განმარტებებსაც. 1998 წლის 30 ოქტომბერს საგადასახო კოდექსის 131 მუხლში შეტანილია ცვლილებები, რომელიც ავალდებულებს, როგორც შიდა მწარმოებელს, ასევე იმპორტიორს გადასახადის სრული ღირებულება გადაიხადოს სააქციზო მარკების შესყიდვის მომენტში. საგადასახადო ორგანოები ვალდებულნი არიან განახორციელონ აქციზური მარკის გარეშე იმპორტირებული ან გასაყიდად მიღებული აქციზური საქონლის სახელმწიფო საკუთრებად მიქცევა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოქმედი კანონმდებლობით, სააქციზო განაკვეთი როგორც შიდა, ასევე იმპორტირებულ საქონელზე, გარდა სიგარეტისა, გათანაბრდა 1999 წლის 1 იანვრიდან. ამავე თარიღიდან მოქმედი კანონმდებლობით გათანაბრდა ასევე დღგ აქციზურ საქონელზე, გარდა სიგარეტისა; 20%-იანი დღგ დაერიცხება საქონლის საბითუმო ფასს, ამას ემატება აქციზი შიდა პროდუქტებისთვის, და საბაჟო ღირებულებას, იმპორტის შემთხვევაში, დამატებული ბაჟი.

საავტომობილო ბენზინთან ერთად აქციზით იბეგრება ყველა სახის ნავთობპროდუქტი, გარდა მაზუთისა და დაწესებული განაკვეთი 60%-ის ოდენობით (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 130 ბ. ცვლილებები ნაწილი I, პუნქტი 22).

სამუშაო ჯგუფმა მიიჩნია, რომ საზღვარგარეთ ქართველი ავტორების ნამუშევრთა და ქართული კლასიკური ლიტერატურის დღგ-სგან განთავისუფლება არ შეესაბამებოდა GATT-ის III მუხლს (იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის

101 მუხლი, 1-ლი (ს) პარაგრაფი). ამჟამად განხილვის პროცესშია იმ რელიგიური ნივთებისა და სამშენებლო მასალის დღგ-საგ განთავისუფლების საკითხი, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაშია. ამასთან დაკავშირებით დაისვა კითხვა მიეცემოდა თუ არა მსგავსი შეღავათები საქართველოში არსებულ სხვა რელიგიურ ინსტიტუტებს.

სამუშაო ჯგუფმა წამოჭრა საკითხი, შეცვლიდა თუ არა საქართველო დღგ-თი დაბეგვრას დსთ-ს ქვეყნებთან მიმართებით დანიშნულების პრინციპის საფუძველზე. გადაიჭრა საქართველოს საგადასახადო კოდექსში 1997 წლის 1სექტემბერს შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით. 102-ე მუხლის შესაბამისად საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით დღგ-სთან მიმართებაში. გარდა ამისა, 96-ე მუხლის III პარაგრაფის თანახმად, საქონლის იმპორტი იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით.

მოქმედი კანონმდებლობით იმპორტული თამბაქოს ნაწარმზე განსხვავებული რეჟიმი უქმდება 1999 წლის 1 აპრილიდან. ამ დროიდან, იმპორტი დაიბეგრება აქციზის და დღგ-ს იმავე განაკვეთით, რითაც იბეგრება შიდა პროდუქტი. დაბალ და მაღალხარისხიან სიგარეტზე განსხვავებული აქციზის დაწესების საკითხი ჯერ განხილვის ფაზაშია.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები: მუშაობა გრძელდებოდა TRIPS -ის შეთანხმებასთან დაკავშირებული მრავალი მიმართულებით. კერძოდ:

1. 1998 წლის 20 აგვისტოს საქართველო ფორმალურად მიუერთდა მადრიდის ხელშეკრულებას მარკების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ.

2. 1999 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა მიიღო TRIPS -ის შესაბამისი ახალი კანონი პატენტების შესახებ, რომელიც ძალაში შევა ა.წ.-ის 27 მაისს, (27 თებერვალს გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ). ეს კანონი წარედგინა მსო-ს.

3. პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი საავტორო უფლებების შესახებ, რომელიც შეავსებს სამოქალაქო კოდექსის დებულებებს საავტორო უფლებების შესახებ. ეს კანონპროექტი მომზადდა WIPO-ს ექსპერტებთან ერთად, არსებობს ამ კანონპროექტის ინგლისურენოვანი ვარიანტი, რომელსაც განიხილავს მსო.

4. 1999 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა მიიღო TRIPS -ის შესაბამისი ახალი კანონი სავაჭრო მარკების შესახებ, რომელიც ძალაში შევა გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ. ეს კანონი წარედგინა მსო-ს.

5. მუშავდება ცვლილებები და დამატებები სისხლის სამართლის კოდექსისთვის, რომლებიც გაამკაცრებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას.

საქართველოს პრეზიდენტმა მოიწონა წესდება, რომელიც დააფუძნებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს.

II. მუშაობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებითაც:

• მიწის პრივატიზება: პარლამენტმა მიიღო კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრაბად გამოცხადების შესახებ". ეს კანონი ითვალისწინებს კერძო პირებისა და საწარმოების მიერ იმ მიწების პრივატიზებას, რომლებსაც ისინი იყენებენ, მაგრამ არ ფლობდნენ.

აღნიშნულმა კანონმა გამოიწვია ისეთი კანონების მიღება, როგორიცაა:

1) „საბიუჯეტო სისტემებისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ";

2) „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ".

• კაპიტალის ბაზრები: პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს „საფონდო ბირჟების შესახებ". „მეწარმეთა შესახებ" კანონში შეტანილია ცვლილებები და დამატებები, რომლებიც აუმჯობესებენ აქციონერთა დაცვას და ხელს უწყობენ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას.

• ჯართის ექსპორტი: კანონი „ შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რე-ექსპორტის რეგულირების შესახებ" საქართველს პარლამენტმა 1998 წლის ივნისში მიიღო. ეს კანონი მოითხოვს ექსპორტის ლიცენზირებას და ასევე სპეციალური ფიქსირებული ბაჟის გადახდას.

• ბიზნესის ლიცენზირების კანონი: 1999 წლის 24 თებერვალს მთავრობამ მოიწონა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" კანონპროექტი. ეს კანონი, რომლის განხილვაც პარლამენტის მიერ დაახლოებით მარტშია დაგეგმილი, არეგულირებს როგორც შიდა, ასევე საქართველოში არსებული უცხოური ბიზნესისადმი ეროვნულ დამოკიდებულებას. კანონი უკრძალავს სამინისტროებს გააკონტროლონ ბიზნესი ლიცენზიების გაცემის გზით. მათ შორის კანონში გამოყოფილ შემდეგ სპეციფიკურ საკითხებზე: უსაფრთხოება, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, გარემოს დაცვა, ან ეროვნული უსაფრთხოება. ეს კანონპროექტი წარედგინა მსო-ს.

• კანონი ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ: საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „ბუღალტრული

აღრიცხვის შესახებ".

• ადმინისტრაციული საპროცედურო კოდექსი: აღნიშნული კოდექსი, რომელიც პარლამენტს განსახილველად 1999 წლის გაზაფხულის სესიაზე გადაეცემა, გარდა სხვა მრავალი საკითხისა, შეეხება მსო-სთან დაკავშირებულ სფეროებსაც, როგორიცაა ბიზნესის ლიცენზირება, ექსპორტის ან იმპორტის ლიცენზირებაზე უარის თქმის აპელაცია და სხვ. კოდექსის პროექტი მსო-ს წარედგინა 1999 წლის იანვარში.

• დაზღვევის კანონი: შესწორებები, რომლებიც „დაზღვევის შესახებ" კანონში 1998 წლის 30 ოქტომბერს შევიდა, აუქმებს შეზღუდვას, რომელიც უკრძალავდა უცხოელს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სადაზღვევო კომპანიის 49%-ზე მეტის ფლობას.

• კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ: ახალი კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც დაფუძნებულია UNCITRAL- ის კანონის მოდელზე და შექმნილია GEPLAC -ის ევროპელი ექსპერტების დახმარებით, საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 11 დეკემბერს მიიღო. კანონის ინგლისური ვარიანტი უახლოეს მომავალში წარედგინება მსო-ს.

III. ადმინისტრაციული ღონისძიებები

• საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ შეთანხმება:

საქართველომ მოამზადა საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ შეთანხმებასთან მიერთებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რომელსაც მსო-ს სამდივნოს განსახილველად უახლოეს მომავალში წარუდგენს.

• საბაჟო მოსაკრებელი: არსებული საბაჟო მოსაკრებელი, რომელიც 0.3%-ს უტოლდება, 1999 წლის 1 აპრილისათვის შემცირდება 0.2%-მდე, ხოლო მსო-ში გაწევრიანების შემდეგ დაგეგმილია მისი 0.15%-მდე შემცირება.

• სანიტარული და ფიტოსანიტარული (**SPS**) ღონისძიებები: საგარეო საქმეთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან შეთანხმებით, IRIS -მა გაუწია მოკლევადიანი ტექნიკური დახმარება იმ სამინისტროებს, რომელთაც ევალებათ იმპორტის სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლი. მომზადდა საქართველოში არსებული პროცედურების მსო-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანი დეტალური სამუშაო გეგმა. ჩამოყალიბდა SPS განმახორციელებელი მინისტრთაშორისი მაკოორდინირებელი ორგანო („ICB "), რომელსაც ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე საერთაშორისო საკითხებში.

• სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები: GEPLAC- ისა და IRIS -ის ტექნიკური დახმარებით, მოხდა საქართველოს 1995-97 წლების სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების გადახედვა და ანალიზისთვის მსო-სათვის წარდგენა. ქართულ მხარეს სჯერა, რომ ყველა ჩამოთვლილი სუბსიდია ადვილად ჯდება მსო-ს სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმების 2 დანართის კრიტერიუმებით განსაზღვრულ „მწვანე ყუთის" კატეგორიაში.

• ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები: 1998 წლის 5 დეკემბერს გამოიცა პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც მოიცავს ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების გამოყენების შესახებ მსო-ს შეთანხმების მოთხოვნების საქართველოში განხორციელების ღონისძიებებს. ამასთან, მიღწეულ იქნა შეთანხმება იაპონიასთან, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი გაგვიწევს ტექნიკურ დახმარებას, რათა საქართველოში არსებული ტექნიკური სტანდარტების განმახორციელებელი პროცედურები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მსო-ს მოთხოვნებთან. ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად საქართველოს დელეგაცია გასული წლის ნოემბერში და შემდგომ დეკემბერში იმყოფებოდა ტოკიოში.

IV. ბაზარზე დაშვების შეთავაზებების მომზადება

• სატარიფო შეთავაზება: მომზადდა მთლიანად გადამუშავებული სატარიფო შეთავაზება, რომელიც არსებითად პასუხობს ორმხრივი მოლაპარაკებების დროს პარტნიორების მიერ გაკეთებულ სატარიფო მოთხოვნებს, მათ შორის სექტორულ ინიციატივებს.

• შეთავაზებები მომსახურების სფეროში: ასევე გადამუშავდა და ორმხრივი მოლაპარაკებების დროს წარმოშობილი მოთხოვნების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ბაზარზე დაშვების შეთავაზებები მომსახურების სფეროში.

V. პროგრესი პრივატიზაციის სფეროში

მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზება საქართველოში ფაქტიურად დასრულებულია. მსხვილი კომპანიების პრივატიზება, მაგალითად ენერგეტიკის სექტორში, აეროპორტები, პორტები და რკინიგზები, ეტაპობრივად ხორციელდება. ამ კუთხით მნიშვნელოვანი მიღწევა იყო იანვრის დასაწყისში თბილისის ენერგოგამანაწილებელი სისტემის, თელასის, გაყიდვა ამერიკულ კომპანიაზე.

VI. სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება

ა. ვაჭრობის სტატისტიკა

USAID- ისა და TACIS- ის ტექნიკური დახმარებით მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა საგარეო ვაჭრობის აღრიცხვიანობის გასაუმჯობესებლად. ოფიციალური სტატისტიკა ნათელყოფს, რომ ქვეყანაში არსებობს სავაჭრო

ბალანსის საკმაოდ დიდი დეფიციტი, მაგრამ ექსპორტისა და იმპორტის თითქმის შეუფასებლობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ოფიციალური მონაცემები მთლად სანდო არაა.

მონაცემთა სხვადასხვა წყაროების, მათ შორის სარკისებური შედარების, ძირითად საექსპორტო საქონელზე მსოფლიო ფასების დონეების, და წარმოებისა და მოხმარების მონაცემთა, გამოყენებით, IRIS ახდენს 1996 და 1997 წლების ვაჭრობის მონაცემთა ხელახალ შეფასებას. ამ პროექტის დასრულება დაგეგმილია ივნისისათვის. ამავე დროს, Crown Agents -ის მიერ განხორციელებული მეორე პროექტით, ხდება საექსპორტო და საიმპორტო დეკლარაციების კომპიუტერიზაცია, რათა შესაძლებელი გახდეს ზუსტი მონაცემების შეგროვება, ამასთან გაადვილდეს ვაჭრობის სტატისტიკისთვის აუცილებელი ციფრების თავმოყრა.

ბ. ეროვნული ანგარიშები

ვინაიდან ჯერ კიდევ სრულად არ მომხდარა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების კერძო მფლობელობაში გადასვლა, ამიტომ სამამულო წარმოების შესახებ ზუსტი მონაცემების შეგროვება თითქმის შეუძლებელია. თუმცა მსოფლიო ბანკის, ტასისის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარებით საქართველო მუშაობს ამ პრობლემის გადაწყვეტაზე. წინასწარი მონაცემებით, საქართველოს ფაქტიური მშპ (GDP) 2—4-ჯერ მეტია ოფიციალურ მონაცემებზე რაც ნიშნავს რომ „ჩრდილოვანი" ეკონომიკა მოიცავს საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური საქმიანობის 50—60%-ს.

დასასრულს უახლოვდება საქართველოს გაწევრიანების პროცესი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. მოლაპარაკებებში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატების წყალობით საქართველოს გაწევრიანება მსო-ში სავარაუდოდ 1999 წლის ზაფხულშია დაგეგმილი. საქართველო გარკვეულ დათმობებზედაც კი მიდის იმისათვის, რომ 2000 წლამდე მოხერხდეს ჩვენი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. XXI საუკუნის დამდეგს (სავარაუდოდ 2001 წელს) დაგეგმილია მსო-ს მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის დაწყება, სადაც კიდევ უფრო გამკაცრდება ზომები გაწევრიანების მსურველთათვის, მოხდება ტარიფების მორიგი შემცირება, დაიწევს ბმული ტარიფის დონე ახალი წევრებისათვის. დღეს საქართველო ცდილობს რაც შეიძლება მაღალი საწყისი ტარიფით გაწევრიანდეს მსო-ში, რათა დაწევის შემთხვევაში, რაც გარდაუვალია მსო-ში გაწევრიანებული ყველა სახელმწიფოსთვის, ზიანი არ მიაყენოს ეროვნულ წარმოებას. თუ ახალ რაუნდამდე ვერ მოხერხდება დასახული მიზნის მიღწევა, ბუნებრივია ამის შემდეგ გაწევრიანების პირობები შეიცვლება და შესაბამისად შემცირდება საწყისი ტარიფებიც, რაც ეჭვქვეშ დააყენებს შიდა ბაზრის დაცვის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. მაგრამ სიჩქარემ ეროვნული ინტერესებზე გავლენა არ უნდა მოახდინოს და ყველა ღონე უნდა იქნეს ნახმარი, რათა სასურველი სტატუსი და შესაბამისი შეღავათები იქნეს მოპოვებული.

საქართველოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ძირეული ეკონომიკური რეფორმების მიმართებით მნიშვნელოვნად დააჩქარა გაწევრიანების პროცესი. ამჟამად როგორც მსო-ს ექსპერტები, ასევე ევროპაში ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლობები საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმს და საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში მსო-ში შეთანხმებების მისადაგების თაობაზე, აფასებენ, როგორც ოპტიმალურად ლიბერალურს, რაც გაწევრიანების შემდგომ, ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაში.

მსო-ს წევრი ქვეყნის სტატუსი სახელმწიფოსათვის გარკვეულ აუცილებლად შესასრულებელ ვალდებულებებს გულისხმობს. მსო-ში გაწევრიანება ქვეყნისათვის ნიშნავს გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირებასა და ინვესტიციების მოზიდვის, ვაჭრობის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ახალ შესაძლებლობებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. გაწევრიანების შემდეგ ჩვენი ქვეყანა მიიღებს „ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს" მსო-ს 131 წევრ-ქვეყანასთან. აღნიშნული რეჟიმი იძლევა იმის გარანტიას, რომ ქვეყნის მიმართ საგარეო ვაჭრობაში არ იქნება გამოყენებული რაიმე ფორმით დისკრიმინაციული პირობები (რაოდენობრივი შეზღუდვები, გადამეტებული ტარიფები, ანტიდემპინგური პროცედურები და ა.შ), მეტიც — მასზე გავრცელდება ყველა ის შეღავათები, რომლებიც მიენიჭება ნებისმიერ „მესამე ქვეყანას", მასთან ვაჭრობაში გამოყენებული იქნება შემცირებული სატარიფო განაკვეთები და ა.შ. ეს რეჟიმი უზრუნველყოფს თანაბარი უფლებებისა და პირობების არსებობას იმპორტული და ადგილობრივი საქონლისათვის. ანუ „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" თანახმად მხარეები ვალდებულებას იღებენ, მიანიჭონ სხვა წევრი ქვეყნის პროდუქციას არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე მინიჭებული აქვს ამ რეჟიმის მიმცემ სახელმწიფოში სხვა ნებისმიერი ქვეყნის

პროდუქციას. „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“ არის ის მთავარი ფაქტორი, რომელმაც საშუალება მისცა განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, შეზღუდვების გარეშე, თავისუფლად ესარგებლათ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს შორის მოლაპარაკებებით მიღწეული ხელსაყრელი ეკონომიკური პირობებით. „ეროვნული რეჟიმის“ დებულებების თანახმად კი შემოტანილი და ადგილობრივი პროდუქციის მიმართ დაწესებული უნდა იყოს ერთიდაიგივე რეჟიმი. იგივე წესებით რეგულირდება ინტელექტუალური საკუთრებითა და მომსახურებით ვაჭრობაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ გამონაკლისის სახით პირველი რეჟიმი არ ვრცელდება თავისუფალ სავაჭრო ზონებში ან არაინდუსტრიული ქვეყნებისათვის დაწესებულ შელავათებზე, ხოლო „ეროვნული რეჟიმი“ კი — ტარიფებსა და სამთავრობო შესყიდვებზე მსო-ს მიზანია შექმნას ერთიანი მსოფლიო ბაზარი. ამ ბაზარში ინტეგრაციის პროცესში საქართველომ უნდა შეძლოს მაქსიმალურად გამოიყენოს მსო-ს მიერ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის დაშვებული საადაპტაციო პერიოდი (რომლის განმავლობაში ქვეყანას უფლება აქვს განახორციელოს შიდა ბაზრის სატარიფო დაცვის შედარებით მკაცრი პოლიტიკა და ადგილობრივი წარმოების წასახალისებლად მხარდაჭერის სხვა ღონისძიებები), რათა განავითაროს საკუთარი კონკურენტუნარიანი წარმოება.

მსო-ში გაწევრიანებით საქართველო ფაქტიურად მსოფლიო სავაჭრო სისტემის სრულუფლებიანი წევრი გახდება

მსო აფართოებს GATT 1947-ის ადრინდელ წესებს, რომლის მიხედვითაც მთავრობებს საშუალება ეძლევათ დააწესონ საკომპენსაციო გადასახადები ორი სახის „არაკეთილსინდისიერი“ კონკურენციისათვის: დემპინგისა და სუბსიდიებისათვის. ამ პრინციპით მსო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი იმუშავებს წესების სისტემას, რომელიც მიმართულია სამართლიანი და ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებისაკენ. GATT- ის „ანტი-დემპინგურ კოდექსში“ მოცემულია წესები, რომლის მიხედვითაც ქვეყანას უფლება აქვს რეაგირება მოახდინოს მის შიდა ბაზარზე უცხოური კონკურენტის მიერ დემპინგის გატარებაზე. ასევე, GATT აწესრიგებს „მაკომპენსირებელი“ გადასახადების დაწესებას, რითაც ფაქტიურად განეიტრალებულია სუბსიდიების შედეგები.

ვინაიდან ადგილობრივი მეწარმის დაცვის ერთ-ერთ ნებადართული მექანიზმად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ანტი-დემპინგურ კანონმდებლობას მიიჩნევს, საქართველოს მსო-ში გაწევრიანების ერთ-ერთი დადებითი შედეგი, სხვა მრავალთა შორის, იქნება ის, რომ საშუალება მოგვეცემა თავი დავიცვათ ასე მოზღვავებული დემპინგური იმპორტისგან და საჭიროების შემთხვევაში დავაწესოთ საპასუხო ზომებიც. ოღონდ ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი განიხილავს და დაამტკიცებს ანტი-დემპინგურ კანონმდებლობას.

იმპორტის მოზღვავების შემთხვევაში, რომელიც შიდა ბაზარს მოშლასა და ადგილობრივ წარმოებას (იმპორტის ანალოგიური ნაწარმის მწარმოებელი) ზიანს უქადის, მსო-ს შესაბამისი შეთანხმება „დამცავი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“, ნებას რთავს ქვეყანას გამოიყენოს იმპორტის შემზღუდველი ზომები, რაც გულისხმობს ბმული ტარიფების აწევას გარკვეულ დონემდე, ან იმპორტირებული ნაწარმის ამა თუ იმ სახეობაზე რაოდენობრივი შეზღუდვების შემოღებას (ძირითადი მომწოდებელი ქვეყნების საიმპორტო ქვოტირება). იმპორტის ასეთი შეზღუდვები უნდა ატარებდეს დროებითხასიათს. კერძოდ, შეთანხმებით დაშვებულია ოთხწლიანი პირველადი პერიოდი და ვადის მაქსიმუმი ისაზღვრება რვა წლით (განვითარებადი ქვეყნებისათვის — ათი წლით). თუმცა ექსტრემალურ სიტუაციებში მსო საშუალებას იძლევა დაზარალებულმა ქვეყანამ აწიოს ტარიფი, მაგრამ ამ მექანიზმის გამოყენება ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან პრაქტიკაში ამის პრეცენდენტი ჯერ არ ყოფილა.

მსო-ში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის სფეროს სუბსიდირებას ან სახელმწიფოს მხრიდან სხვა ფორმით დახმარების საკითხებს. ეს პროცესი რეგულირდება შეთანხმებით სოფლის მეურნეობის შესახებ.

მსო-ში გაწევრიანებით საქართველო ფაქტიურად მსოფლიო სავაჭრო სისტემის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

მიუხედავად ზუსტი სტატისტიკური მონაცემების არარსებობისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებადი ქვეყნების მსგავსი ვაჭრობის სტრუქტურა აქვს. ეს ფაქტი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც არგუმენტი საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვითარებადი ქვეყნის სტატუსით გაწევრიანების მოთხოვნის დასასაბუთებლად. ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისათვის საჭიროა დაფიქსირდეს, და სტატისტიკური მონაცემებით დადასტურდეს, რომ საქართველოს აქვს არა „განვითარებულის“, არამედ „გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის“ სტატუსი, რაც გავლენას იქონიებს მსო-ს ნორმებით დაშვებულ სუბსიდიათა ოდენობაზე. ეს განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია მას შემდეგ, რაც 1998 წლის 20—24 ივლისს შემდგარ ორმხრივ მოლაპარაკებებზე აშშ-ს წარმომადგენელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში საქართველომ შეიძლება იმოქმედოს, როგორც „განვითარებული" ეკონომიკის ქვეყანამ.

საქართველო მსო-ში წევრიანდება 11,3%-იანი საშუალო შეწონილი ტარიფით, რომელიც 5 წლის განმავლობაში 9%-მდე უნდა შემცირდეს. სოფლის მეურნეობაში ტარიფის მაქსიმალური დონე აღწევს 30%-ს, მრეწველობაში კი 15%-ს

საქართველოს, როგორც განვითარებადი, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, მსო-ში გაწევრიანება უცილობლად უამრავ დადებით შედეგს მოიტანს. თუმცა საკმაო სიფრთხილეა საჭირო რიგი საკითხების გადაწყვეტისას. კერძოდ, როგორც ცნობილია მსო-ს წევრი ქვეყნები სავაჭრო რაუნდების შედეგად ერთხმად ამცირებენ „ბმული ტარიფების" დონეს, ამიტომ დიდ მნიშვნელობა ენიჭება ტარიფების საწყის დონეს. მსო-ს წესები გაწევრიანების პროცესში მყოფ ქვეყანას ნებას რთავს მიაბას ტარიფი არსებულ განაკვეთზე შედარებით მაღალ დონეზე, რაც დასაბუთებული უნდა იყოს პოლიტიკური და ეკონომიკური აუცილებლობით. საქართველო მსო-ში წევრიანდება 11,3%-იანი საშუალო შეწონილი ტარიფით, რომელიც 5 წლის განმავლობაში 9%-მდე უნდა შემცირდეს. სოფლის მეურნეობაში ტარიფის მაქსიმალური დონე აღწევს 30%-ს, მრეწველობაში კი 15%-ს. ალკოჰოლურ სასმელებზე დაწესებულია არა-ადვალური, ფიქსირებული ტარიფი. აღსანიშნავია, რომ მსო-ში გაწევრიანების შემდეგ მოხდება ტარიფის დიფერენცირება, ანუ დღესდღეობით არსებული სამი დონის საიმპორტო ტარიფები დაიყოფა ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

საჭიროა წარმოების და მომსახურების სფეროში განისაზღვროს საქართველოს პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები, რათა თავდაპირველმა სატარიფო განაკვეთებმა ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ჩვილ მდგომარეობაში ან ჩანასახში მყოფ აგდილობრივ წარმოებას და კონკურენტუნარიანი გახადოს იგი

საჭიროა წარმოების და მომსახურების სფეროში განისაზღვროს საქართველოს პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები, რათა თავდაპირველმა სატარიფო განაკვეთებმა ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ჩვილ მდგომარეობაში ან ჩანასახში მყოფ აგდილობრივ წარმოებას და კონკურენტუნარიანი გახადოს იგი ჯერ შიდა, ხოლო შემდეგ კი საგარეო ბაზარზე. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს დელეგაციამ შეძლო დაერწმუნებინა მსო-ს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები საქართველოსთვის მაღალი საწყისი ტარიფის აუცილებლობაში და შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად მაღალი ტარიფით შევდივართ მსო-ში, რომელსაც კიდევ უფრო მაღალ დონეზე მიაბამენ (ბმული ტარიფი). ეს რა თქმა უნდა წაადგება ქართველ მეწარმეებს, რომლებსაც ნამდვილად სჭირდებათ ამგვარი დახმარებები იაფი და დიდი რაოდენობის კონკურენტული იმპორტისაგან დასაცავად. რაც შეეხება ქართველ მეწარმეებს, მათი ნაწილი ეწინააღმდეგება მსო-ში გაწევრიანებას იმ მიზეზით, რომ ამის შემდეგ ტარიფის გაზრდა, უკიდურესი გამონაკლისის გარდა, ფაქტიურად შეუძლებელია. მათი არგუმენტი სამართლიანია, ტარიფები მართლაც ძალიან ძნელად თუ აიწევს ზევით, მაგრამ იმპორტ-კონკურირებადი დარგების ასეთი სისუსტის მიზეზია არა იმდენად არასაკმარისი სატარიფო დაცვა, რამდენადაც ქვეყანაში არსებული დიდი კონტრაბანდა და ზედმეტად იაფი, დემპინგური, სუბსიდირებული იმპორტი, რომელთაც საკუთარი ძალებით აგერ უკვე რამდენი ხანია ვერაფერი მოვუხერხეთ. ამ პრობლემების მოგვარება შესაძლებელი გახდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დახმარებით, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას.

მსო ასევე დაარეგულირებს საბაჟო რეჟიმების მნიშვნელოვან განსხვავებებს. მაგალითად, მსო უზრუნველყოფს იმას, რომ თურქეთს ჩვენთან აღარ ჰქონდეს 80%-იანი საბაჟო ტარიფი, მაშინ, როდესაც თურქული საქონელი ჩვენთან 12%-ით იბეგრება და ამით ჩვენი მეწარმეები თანაბარ პირობებში ჩადგებიან უცხოელებთან მიმართებით და საქართველოს პროდუქციას შეექმნება თანაბარი პირობები საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსო-ს წევრ ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორებთან მიმართებაში. კერძოდ, თურქეთთან.

მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაში ჩართვით სახელმწიფოები, და მათ შორის საქართველო, ამჟღავნებენ საკუთარ სურვილსა და ძალისხმევას ინვესტორს, მეწარმეს, მომხმარებელს შეუქმნან სტაბილური და პროგნოზირებადი საქმიანი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ვაჭრობას, ინვესტირებას, სამუშაო ადგილების შექმნას, მრავალფეროვნებას და დაბალ ფასებს ბაზარზე.

თავისუფალი ვაჭრობა და ვაჭრობის

ლიბერალიზაცია GATT /მსო-ს ფარგლებში ერთ-ერთი შესაძლო სტრატეგიაა. ამ შემთხვევაში განვითარების გზას ბაზარი კარნახობს, სახელმწიფოს მხრიდან რაიმე მნიშვნელოვანი ინტერვენციის გარეშე. ვაჭრობის რეჟიმის ლიბერალიზაცია, მსო-ში შესვლის მეშვეობით, ათავისუფლებს ადგილობრივ კონკურენტებს. ეს საშუალებას აძლევს მეწარმეთა ფართო ფენებს მიიზიდონ ახალი ინვესტიციები და გაზარდონ თავიანთი წარმოება ისე რომ შეძლონ მოგების მიღება პროდუქციაზე სტაბილური და დაბალი ფასების დაწესებითაც. სწორედ ეს არის გაზრდილი სამეწარმეო საქმიანობა, საინვესტიციო დონე, წარმოება და საქმიანობა. კონკურენციულ გარემოში მოგება შეიძლება შემცირდეს ერთეულ პროდუქციაზე, მაგრამ მოგება და მოგების მიმღებთა რიცხვი იზრდება.

მსო-ში გაწევრიანება ასევე გულისხმობს მის იმ შეთანხმებებთან მიერთებას, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოში საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას საგარეო ვაჭრობის, მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროებში. ალბათ ამის შემდეგ მაინც მოხდება საგარეო ვაჭრობის დამარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის მიღება.

მსო-ში გაწევრიანების დადებითი შედეგების ეფექტური გამოყენება დამოკიდებულია მთავრობის ძმედითუნარიანობაზე, მისი არ არსებობის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა შესაძლოა უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდეს

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია დაგვეხმარება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ამოქმედებაში. გამოცდილება ცხადყოფს, რომ განვითარებულ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკულების დადება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, მანამ, სანამ საქართველოში არ შესრულდება რიგი პირობები, კერძოდ: წარმოებისა და მომსახურების სფეროს პრტიორიტეტული დარგების ჩამოყალიბება, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ექსპორტისა და იმპორტის დაბალანსება, ქვეყნისათვის ეკონომიკური დაცვითი მექანიზმის შექმნა, სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის სრულყოფა, ექსპორტისა და იმპორტის დაბალანსება, საკანონმდებლო ბაზის მისადაგება მსო-ს მოთხოვნებთან და სხვ. ამ დასკვნას ადასტურებს ისიც, რომ რიგ განვითარებულ ქვეყნებს (ევროკავშირი, იაპონია, კანადა, შვეიცარია, ჩეხეთი, სლოვაკეთი) საქართველოსთვის ცალმხრივად მინიჭებული აქვთ პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის (GSP) ფარგლებში შეღავათიანი ვაჭრობის პირობები (ამ ქვეყნებში საქართველოდან იმპორტრირებული ნაწარმი ან არ იბეგრება, ან იბეგრება მინიმალური განაკვეთებით, რიგი გამონაკლისი საქონლის გარდა). სამწუხაროდ, საქართველოს პროდუქცია ჯერ-ჯერობით ვერ დამკვიდრდა აღნიშნული ქვეყნების ბაზარზე.

მსო-ში გაწევრიანებით საქართველოს საშუალება ეძლევა საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში წამოჭრილი სადავო საკითხები სამართლიანად და ობიექტურად გადაჭრას.

როგორც აღინიშნა, საქონლის ეროვნული წარმოების დასაცავად, გამოიყენება საბაჟო ტარიფები, ამისაგან განსხვავებით მომსახურების ეროვნული ინდუსტრიის დასაცავად ძირითადად გამოიყენება ეროვნული საკანონმდებლო ბაზით დაწესებული შეზღუდვები. საქონლით ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მსგავსად, მომსახურებით ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ქვეყნებს აკისრებს ვალდებულებას ეროვნულ კანონმდებლობაში შეცვალონ ის ცალკეული კანონები, რომლებიც ატარებენ დისკრიმინაციულ პოლიტიკას მომსახურების ეროვნული და უცხოელი მომწოდებლების მიმართ.

საქართველოს მსო-ში გაწევრიანებამ მოითხოვა მომსახურებით ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სექტორების საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმატივებთან. ამ მიზნით საქართველო შეუერთდა სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლს, რომელიც საქართველოში ძალაში შევიდა 1998 წლის 20 აგვისტოდან. ეს საქართველოს მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს ერთი განაცხადის საშუალებით მოახდინონ საფირმო ნიშნების რეგისტრაცია მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლის წევრ 48 სახელმწიფოში. მეორე ეტაპზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სექტორის პრტიორიტეტს წარმოადგენს ბერნის კონვენციასთან (ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვა) მიერთება, რომლის მიზანია ავტორთა უფლებების ეფექტურად და ერთიანად მაქსიმალურად დაცვა თავიანთ ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე.

მსო-ში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველოს საშუალება ეძლევა შეუერთდეს შეთანხმებას სანიტარული და ფიტო-სანიტარული ზომების შესახებ, რომელის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა სურსათში, ალკოჰოლურ სასმელებსა თუ კონსერვებში არსებული დამამატებლის ჭარბი რაოდენობისაგან, ტოკსიკური ან დაავადებების მატარებელი ორგანიზმებისაგან; ამ ზომების

მიღება ბუნებრივია, ქართველი მომხმარებლის ინტერესებშიც შედის, რადგან ქართულ ბაზარზე არსებული, უმეტესად შეუმოწმებელი, ადგილობრივი თუ უცხოური წარმოების საკვები პროდუქტი მრავალი დაავადების წყარო ხდება.

მსო-ს წინაშე აღებული ვალდებულებები და GATT/ მსო-ს შეთანხმებებთან მიერთება საქართველოს უქმნის პოლიტიკური უსაფრთხოების პირობებს სხვა ქვეყნების მიერ რაიმე არასასურველი ქმედების თავიდან აცილების მიზნით.

მსო არის საშუალება და მხარდაჭერა ქვეყანაში ნორმალური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებისათვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერი კონკურენციის ჩამოყალიბებას და მეწარმეთა დაცვას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების დადებითი შედეგები ეჭვგარეშეა და დამატებით მტკიცებებს აღარ საჭიროებს. აღსანიშნავია მხოლოდ ერთი გარემოება: ამ შედეგების რეალურად განხორციელება დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის ქმედითუნარიანობაზე. იგი განაპირობებს მსო-ს მექანიზმების გამოყენებას. თუ ჩვენი მთავრობა მხოლოდ ვალდებულებებს შეასრულებს და ვერ შეძლებს ჩვენს მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას, ვერ მოახერხებს საქართველოსთვის სასიკეთო ზომების გატარებას, საქართველოს ეკონომიკა შესაძლოა უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რადგან მანამდე არსებული გარკვეული ბარიერების მოხსნა გამოიწვევს იმპორტის ზრდას და მის თანამდევ უამრავ უარყოფით ეფექტს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით, მოხსენების მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურიერთობათა სამინისტროს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან ურთიერთობის სამმართველოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Agreement on technical barriers to trade- Word Trade Organization;
2. Agreement on implementation of article VI of the General Agreement on Tariffs and Trade 1994;
3. Worls Trade Organization, Trading Into the future, Geneva 1998;
4. Economic Restructuring Legislative Issues;
5. Georgian Business News - weekly informational analitical bulletin, 265, 1998;
6. Уругвайский Раунд Заключительний Акт, Марракеш, 15 Апреля 1994 г;
7. ინფორმაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) საქართველოს გაწევრიანების საკითხთა შესახებ – საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო, თბილისი 1998 წელი;
8. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციების და სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის ღონისძიებების შესახებ – საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო, თბილისი 1998 წელი;
9. „რეგიონალური ინტეგრაცია" დ. ქემოკლიძე, დ. ჯინჯოლია – GEPLAC -ის მიერ 1998 წლის იანვრიდან 1999 წლის იანვრამდე ჩატარებული მუშაობის წლიური ანგარიში, მეორე ნაწილი, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი (GEPLAC) 1999 წელი;
10. „ცვლილებები საქართველოს საგასახადო კოდექსში მსო-ს მოთხოვნებთან მიმართებაში" – GEPLAC -ის მიერ 1998 წლის იანვრიდან 1999 წლის იანვრამდე ჩატარებული მუშაობის წლიური ანგარიში, მესამე ნაწილი, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი (GEPLAC) 1999 წელი;
11. „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია - ისტორიის, სტრუქტურისა და გაწევრიანების პროცედურის მიმოხილვა" ალექსანდრე ტუშური; „სუბსიდიები, საკომპენსაციო ბაჟი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია: ნაბიჯი დია სუბსიდიების კლუბისაკენ" იურგენ შტენი; „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები დავების გადაწყვეტის თაობაზე" მაიკ ს. მასბაუმი – ქართული სამართლის მიმოხილვა – კვარტალური მიმოხილვა, მეორე-მესამე კვარტალი 1998 წელი, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი (GEPLAC);
12. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები – კვარტალური მიმოხილვა, პირველი კვარტალი 1998 წელი, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი (GEPLAC);
12. საქართველოს არჩევანი – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია –საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხსენება;
13. ჟურნალი მაკრო-მიკრო ეკონომიკა – № 4; 10. 1998 წელი.
14. საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიშები და ანალიტიკური მასალები.

დანართი №4

ურუგვაის რაუნდის შეთანხმებები:

I. მარაკეშის შეთანხმება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) დაფუძნების შესახებ

II. მრავალმხრივი შეთანხმებები:

1.1 გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 (GATT 1994), (საბაჟო შეფასება);

1.2 შეთანხმება GATT 1994 -ის მე-7 მუხლის შესრულების შესახებ;

1.3 შეთანხმება გადაზიდვამდელი ინსპექტირების (PSI) შესახებ;

1.4 შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (TBT) გამოყენების შესახებ;

1.5 შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების (SPS) შესახებ;

1.6 შეთანხმება იმპორტის ლიცენზირების შესახებ;

1.7 შეთანხმება დაცვითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ;

1.8 შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების (SCN) გამოყენების შესახებ;

1.9 შეთანხმება GATT 1994 -ის მე-6 მუხლის შესრულების შესახებ (ანტი-დემპინგი (ADM));

1.10 შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომების (TRIMS) შესახებ;

1.11 შეთანხმება ტექსტილისა და ტანსაცმლის (ATS) შესახებ;

1.12 შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ;

1.13 შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ;

III. მომსახურებით ვაჭრობა:

1. გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე (GATS);

2. შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საავაჭრო ასპექტებზე (TRIPS).

IV. მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებები:

1. შეთანხმება სამოქალაქო ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ;

2. შეთანხმება სამთავრობო შესყიდვების შესახებ;

3. საერთაშორისო შეთანხმება რძის პროდუქტების შესახებ;

4. საერთაშორისო შეთანხმება საქონლის ხორცის შესახებ.

დანართი №5


გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე, GATT-1947
გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე
38 მუხლი,123 ხელშემკვრელი სახელმწიფო
I ნაწილი – სავალდებულოა ყველასათვის,
II ნაწილი მსოფლიო ვაჭრობის წესები გამოყენებულ უნდა იქნას არსებულ კანონმდებლობასთან მაქსიმალურ შესაბამისობაში
1948-1993 წლებში ხელშემკვრელ მხარეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, GATT-ის მუხლების განმარტებები, GATT-ის საბჭოსა და სესიების მუშაობის პერიოდში წარმოქმნილი პრეცენდენტები, შენიშვნები GATT-ის მუხლებისადმი
1974-1979 წწ.-ში მოლაპარაკებებისას მიღწეული შეთანხმებები. მისი დებულებები GATT-47-ის ფარგლებში სავალდებულოა მხოლოდ GATT-ის ხელშემკვრელ ნხარეთათვის.ამ ქვეყნების რიცხვი 50-70 აღწევს. თვითონ შეთანხმებები ავტონომიურია GATT-ისაგან.
• შეთანხმება საბაჟო ღირებულების შესახებ;
• შეთანხმება იმპორტის ლიცენზირების შესახებ;
• შეთანხმება ანტიდემპინგური ბაჟების გამოყენების შესახებ;
• შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ბაჟების გამოყენების შესახებ;
• შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების გამოყენების შესახებ;
• შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
• შეთანხმება სამოქალაქო ავიატექნიკითვაჭრობის შესახებ;
• რძის პროდუქტების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება;
• შეთანხმება საქონლის ხორცით ვაჭრობის შესახებ
ცალკეული ქვეყნების GATT-თან მიერთების შესახებ პროტოკოლები, რომლებიც განსაზღვრავს მონაწილეობის პირობებს

დანართი №6


1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე, GATT-1994
ადრე მოქმედი GATT (GATT-1947), ყველა ცვლილებით, ხელშემკვრელი მხარეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, 1947-1993 წლებში შექმნილი პრეცენდენტთა სისტემით
1993 წლის შეთანხმებები II, XVII, XXIV, XXVIII, XXXV მუხლების ინტერპრეტაციის შესახებ. აღიარება GATT-ის პირობების გავლენისა საგადამხდელო ბალანსზე და ამ პირობებიდან გამონაკლისებისა
1974-1979 წლებში მიღებული და 1994 წელს შეცვლილი შეთანხმებები. ისინი ხდებიან GATT-1994-ის განუყოფელ ნაწილად (ხუთი შეთანხმება)
შვიდი ახალი შეთანხმება: 1986-1993 წწ.:
• შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ;
• შეთანხმება სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებზე;
• შეთანხმება ტექსტილსა და ტანსაცმელზე;
• შეთ ნხმება საინვესტიციო ზომების სავაჭრო ასპექტებზე;
• შეთანხმება გადატვირთვისწინა შემოწმებაზე;
• შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესების შესახებ;
• შეთ ნხმება დამცავი ღონისძIებების გამოყენების შესახებ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტრუქტურა ჩამოყალიბებისას 1995 წ

დანართი №7



მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტრუქტურა 1998 წ

დანართი №8



* გაუქმდა 1997 წლის ბოლოს

დავების გადაწყვეტის პროცედურა მსო-ში

დანართი №9



საწარმოს დაარსების თეორია და პრაქტიკა

■ გიორგი ბარბაქაძე

ბიზნეს-სექტორის განვითარება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს, რადგან მას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების დაძლევის საკითხში. მცირე საწარმოები ხელს უწყობენ კონკურენციისა და თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. მათ მართვას არ ესაჭიროება დიდი კაპიტალი, ძალზედ რთული ტექნოლოგიები, მენეჯმენტისა და მარკეტინგის სრულყოფილი ან სიღრმისეული ცოდნა, ამიტომაც ყოველ ინიციატივიან ადამიანს აქვს შესაძლებლობა ხორცი შეასხას საკუთარ იდეას. ამასთან მცირე საწარმო წარმოადგენს უფრო მსხვილი ფირმების ჩამოყალიბების საფუძველს.

საქართველო, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით, სრულიად განსხვავებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში იმყოფება. მაშინ როდესაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სტრუქტურული პოლიტიკის ზომები მიმართულია გრძელვადიანი სტრუქტურული ცვლილებების არასასურველი სოციალური შედეგების შემცირებისაკენ და ეკონომიკაში დინამიური იმპულსების გაძლიერებისაკენ; საქართველო დგას ძველი სისტემის უნიკალური და ტოტალური კოლაპსის შედეგების წინაშე, რომელთა გვერდის ავლა არ შეიძლება ჩვეულებრივი დასავლთ-ევროპული ან ჩრდილო-ამერიკული სტრუქტურული ცვლილებების ფარგლებში. საწყის პირობებში საქართველოს უფრო მეტი პარალელები აქვს განვითარებად, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან.

ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში, რომელიც ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, ეს არის კორუფცია და ბიუროკრატიზმი

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1998 წელს საქართველოში სამრეწველო საწარმოთა 86% მცირე ბიზნესის სფეროს წარმოადგენდა. ამ სექტორისათვის კი საქმიანობის დაწყებისათვის გაღებული თითოეული თეთრი საკმაოდ დიდ ღირებულებას წარმოადგენს. ამის გამო, ჩვენ ვეცდებით ზოგადად განვიხილოთ თუ როგორ ხდება ფირმის დაარსება საქართველოში და დამწყებ მეწარმეებს რა პრობლემები აქვთ.

ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის საქართველოში მეწარმეობის განვითარებას და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, ეს არის კორუფცია და ბიუროკრატიზმი. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევების მიხედვით ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე იმყოფება კორუფციის დონის მიხედვით. კორუფცია გვხვდება ყველგან, ყველა დონის სამთავრობო ინსტანციებში, რაც აიძულებს როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ინვესტორებს არაეფექტიანად ფლანგონ საკუთარი რესურსები. კორუფციის არსებობისათვის ხელისშემწყობი გარემო სხვადასხვა ფაქტორებით განისაზღვრება. პირველ რიგში არის უსაზღვროდ გაბერილი სამთავრობო შტატები, ჩინოვნიკთა მეტისმეტად დაბალი ანაზღაურება, საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი მენტალიტეტი, თავად კორუმპირებული სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები. ასევე უმნიშვნელოვანესი პრობლემაა უზომოდ გაბერილი ბიუროკრატია, რომელიც ნოყიერ ნიადაგს უქმნის კორუფციის განვითარებას. ყოველი მეწარმე თავისი საქმიანობისას აწყდება ამ პრობლემას, რომელიც სერიოზულ ბარიერებს უქმნის ბიზნესმენს და მათი გადალახვა ბევრს არ ძალუძს. მსხვილი ინვესტორების მიერ ადგილობრივ ბაზარზე შედარებით იოლად შემოღწევა, მათი მხრიდან სამთავრობო სტრუქტურებში მეგობრული კავშირების არსებობით აიხსნება, რაც მათ საშუალებას აძლევს უპრობლემოდ გადალახონ ბიუროკრატიული ბარიერები. სამაგიეროდ შედარებით მცირე ინვესტორებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კავშირი მთავრობის წარმომადგენლებთან, უხდებათ ბიუროკრატიის მიერ ხელოვნურად შექმნილი პრობლემების შეჭიდება. ამის შედეგად, არაკონკურენციული გარემო ყალიბდება და ფერხდება ეკონომიკური წინსვლის ტემპები.

უცხოელ ინვესტორებს და ადგილობრივ

უცხოელ ინვესტორებს და ადგილობრივ ბიზნესმენებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის საქართველოში არსებული სასამართლო სისტემა

ბიზნესმენებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის საქართველოში არსებული სასამართლო სისტემა. იყო შემთხვევები, როდესაც ინვესტორებს უხდებოდათ სხვადასხვა დონის ინსტანციებისათვის მიმართვა, მაგრამ მიუხედავად მათი სამართლიანი მოთხოვნებისა, ისინი არ იქნენ დაკმაყოფილებულნი. ხშირ შემთხვევებში ამგვარი საქმეების განხილვა სასამართლო დარბაზებიდან სამთავრობო დონეზე გადადიოდა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ნორმალური მოვლენა, ვინაიდან სიმართლის დადგენა სასამართლოს პრეროგატივაა და არა მთავრობის.

უცხოელი ინვესტორები აცხადებენ, რომ

უცხოელი ინვესტორები აცხადებენ, რომ საქართველოში ბიზნეს გარემო უარესობისაკენ მიექანება. ზოგიერთი მათგანის აზრით ქვეყანაში 2-3 წლის უკან უფრო უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე დღეს

საქართველოში ბიზნეს გარემო უარესობისაკენ მიექანება. ზოგიერთი მათგანის აზრით ქვეყანაში 2-3 წლის უკან უფრო უკეთესი გარემო იყო, ვიდრე დღეს. უცხოელი ინვესტორები თვლიან, რომ ისინი ვერ გრძნობენ ხელშეწყობას ხელისუფლების მხრიდან, ხოლო მათ ვისაც საქართველოში სურთ შემოსვლა არ ხვდება კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ხელისუფლებაში უცხოელი ინვესტორები ძირითადად აღმასრულებელი შტოთი არიან უკმაყოფილონი, სადაც თავმოყრილია უზარმაზარი ბიუროკრატია, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია. თუმცა მათი აზრით პარლამენტიც არ დგას თავის მოწოდების სიმაღლეზე, ვინაიდან საშუალებას აძლევს სამინისტროებს და სხვა აღმასრულებელ სტრუქტურებს იმოქმედონ თავისუფლად და კონტროლგარეშე. საჭიროა მოისპოს ისეთი პრაქტიკა, როდესაც საწარმოში მისული საგადასახადო ინსპექტორის საქციელით და დამოკიდებულებით დაშინებული ბიზნესმენი ლამის კრიმინალად მიიჩნევს საკუთარ თავს. საჭიროა ბიზნესმენი მიჩნეულ იქნეს არა უბრალოდ როგორც ფულის შემომტანი, არამედ აგრეთვე როგორც საზოგადოების განუყოფელი წევრი, რომელსაც უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს იმ გადაწყვეტილებათა გამოტანაში მაინც, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებს მის უშუალო საქმიანობაზე.

ამ მოხსენებაში ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ვიწრო სფერო თუ რამდენად ადვილად შეუძლია დაიწყოს ნებისმიერ პირს სამეწარმეო საქმიანობა. ამის გამო მოხსენება უფრო ზოგადი ხასიათისაა, ვიდრე საფუძვლიანი გარჩევა. მოხსენებაში არ არის ასახული ის პრობლემები, რომელთა მეწარმეებს საგადასახადო სისტემა უქმნის.

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მარეგულირებელი ნორმატიული აქტია საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მეწარმეთა შესახებ", რომლითაც განისაზღვრება საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

კანონი „მეწარმეთა შესახებ" აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ნორმებს. ამ კანონის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაეთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. ხოლო სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტორული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმინობანი. სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუ მათი მფლობელი რეგისტრაციაში გატარდება. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც.

საქართველოში ცალკეულ მოქალაქეთა ან მოქალაქეთა ჯგუფის მიერ გაწეული მეწარმეობა კანონიერია მას შემდეგ, რაც გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული საწარმოების მეშვეობით განხორციელდება ესა თუ ის სამეწარმეო საქმიანობა.

„მეწარმეთა შესახებ" კანონში განსაზღვრულია შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები:

– ინდივიდუალური საწარმო;

– სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);

– კომანდიტური საზოგადოება (კს);

– შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);

– სააქციო საზოგადოება (სს);

– კოოპერატივი;
– სახაზინო საწარმო.

ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაეთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები - უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაეთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება. თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არა არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები -კომპლემენტარები). კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. შეზღუდული პაუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით. შეზღუდული პაუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ორი ათას ლარს.

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ნომინალური ღირებულება უნდა შეადგენდეს თხუთმეტ ათას ლარს, ხოლო ერთი აქციის ნომინალური ღირებულება - ერთ ლარს ან მის მრავალჯერადს.

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძვნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივებს მიეკუთვნება:

– ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;
– სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;
– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები);
– მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები;
– სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწვისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები;
– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები;
– სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს კანონით.

კოოპერატივის წევრს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სხვა კოოპერატივში. თუ ეს უკანასკნელი მოწოდებულია ემსახუროს პირველი კოოპერატივის წევრთა შემოსავლების მიღების ან მათი მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. კოოპერატივის მინიმალური პაის ოდენობა განისაზღვრება დამფუძნებელების მიერ. ყოველი პაი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს ორმოცდაათზე. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.

მას შემდეგ, რაც მოქალაქე, მოქალაქეთა ჯგუფი, იურიდიული პირი, თუ სახელმწიფო სტრუქტურის ესა თუ ის ორგანო აირჩევს ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, სავალდებულოა საწარმოთა რეგისტრაცია. საწარმო, როგორც კანონით გათვალისწინებული უფლებამოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

თუ რეგისტრაციამდე საზოგადოების (საწარმოს) სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს ვალდებულება ძალაში

რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ.

ჩვენს მიერ ზემოთჩამოთვლილი საწარმოებიდან ინდივიდუალურის გარდა, ყველა საწარმო იურიდიული პირია, ესე იგი, ინდივიდუალური მეწარმე თავის უფლებამოვალეობებს ახორციელებს როგორც ფიზიკური პირი, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი და სახაზინო საწარმო წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

საწარმოთა რეგისტრაცია უნდა მოხდეს სასამართლოში ინდივიდუალური მეწარმის, ან საზოგაოების იურიდიული მისამართის მიხედვით. საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა.

საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერით. რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს, თუ განცხადება რეგისტრაციაზე შესრულებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დაცვით. სასამართლო ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა განცხადება ამ მოთხოვნებს.

საქართველოში არსებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებულია შემდეგი სამი ფორმა: ინდივიდულური საწარმო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება

განცხადება უნდა შეიცავდეს:

✓ საფირმო სახელწოდებას (ფორმას);

✓ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;

✓ ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);

✓ საქმიანობის საგანს;

✓ მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;

✓ ინდივიდუალური მეწარმის ან ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის (კოოპერატივის შემთხვევაში - არანაკლებ ორის) სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიას და საცხოვრებელ ადგილს;

✓ წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.

კომანდიტური საზოგადოებისათვის, დამატებით საჭიროა ყოველი კომანდიტის შესატანის ოდენობა და წარმოდგენილი იქნეს საბუთი, უკვე ვინ რამდენი შეიტანა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივისათვის, აქ ჩამოთვლილი მონაცემების გარდა, დამატებით საჭიროა შემდეგი:

✓ საწესდებო კაპიტალის შესახებ ოდენობა და საბუთი შესრულებული შესატანის შესახებ;

✓ ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, შესაბამისად წილი;

✓ ყოველი დირექტორის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;

✓ დოკუმენტი დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუკი ასეთი არსებობს) წევრების დანიშვნის შესახებ.

სასამართლო ვალდებულია რეგისტრაცია განახორციელოს აუცილებელი საბუთების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს არ ეცნობა უარის შესახებ, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად.

საქართველოში არსებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებულია სამი ფორმა: ინდივიდულური საწარმო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება. სახაზინო საწარმო ხშირად შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ ეს არის მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომლის გაუქმების შესახებ შეტანილია კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში.

ინდივიდუალური საწარმოს გახსნისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები:

– განცხადება-ნოტარიალურად დამოწმებული; (საფასური 3 ლარი)

– მეწარმის ხელმოწერის ნიმუში - ნოტარიალურად დამოწმებული; (საფასური 3 ლარი)

– ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

– ცნობა ფართის შესახებ;

– სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი:

✓ იუსტიციის სამინისტრო - 5 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში;

✓ რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი - 5 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში;

განცხადების ნოტარიალურად დამოწმება ხდება იგივე ხელმოწერის დამოწმებით, ამიტომ ორივე ნოტარიალურად დამოწმებული საბუთი მომავალ ინდივიდულურ მეწარმეს დაუჯდება 6 ლარი (თუმცა ზოგიერთი ნოტარიუსის ტარიფი 2.4 ლარს შეადგენს). ამას ემატება სარეგისტრაციო გადასახდელები 10 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში, რომელიც ნაწილდება იუსტიციის სამინისტროსა და რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტის ანგარიშებზე. ამასთან საჭიროა ცნობა ფართის შესახებ, თუ რა ფართის ტერიტორიის დაკავებას აპირებთ და თუ სხვა არის მეპატრონე, მისი თანხმობა. ასევე აუცილებელია საცხოვრებელი ადგილიდან ცნობა, რადგან ამ მისამართზე რეგისტრირდება ინდივიდუალური

საწარმო.

მაგრამ ყველაზე მთავარი პრობლემა წარმოიშობა ბიუროკრატიის სახით სასამართლოში. საქმის გაჭინაურება, აშლილი ნერვები და შემდეგ მოსამართლისადმი გადახდილი (დაახლოებით 100 ლარი. ინდივიდულური საწარმოსხვასთან შედარებით იაფია) დაჩქარების საფასური ან სასამართლოს ინსპექტორის მიერ ადრე რჩევად მიღებული სარეგისტრაციო კერძო ფირმაში მისვლა და მათი მომსახურების გამოყენება, რომელიც 100 აშშ დოლარი ღირს. ფაქტიურად სასამართლოს თანამშრომლები ამ ფირმის საშუალებით მაინც ღებულობენ თავის წილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები:

– განცხადება-ნოტარიალურად დამოწმებული; ; (საფასური 3 ლარი)

– საზოგადოების წესდება (5 ეგზემპლიარი) - ნოტარიალურად დამოწმებული; (საფასური 60 ლარი)

– დამფუძნებელთა კრების ოქმი - ნოტარიალურად დამოწმებული; (საფასური 3 ლარი)

– ფულადი შენატანის შემთხვევაში - ცნობა ბანკიდან; (საწესდებო კაპიტალი 2000 ლარის ოდენობით)

– არაფულადი შესატანით დაფუძნებისას - შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი (აუდიტორის ცნობა);

– წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ყველა პირისათვის - შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ მიმართ არ ყოფილა გამოყენებული სასჯელი ქონებრივი დანაშაულისათვის;

– წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში (ფაქსიმილია) - ნოტარიალურად დამოწმებული; (საფასური 3 ლარი)

– ცნობა ოფისის შესახებ (თანხმობა ან ხელშეკრულება);

– სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი:

✓ იუსტიციის სამინისტრო - 40 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში;

✓ რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი - 40 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

ჩამოთვლილი საბუთებიდან, როგორც ჩანს ნოტარიალურად დამოწმებას საჭიროებს 4 საბუთი. მათ შორის განცხადება, დამფუძნებელთა კრების ოქმი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა მოწმდება ფაქსიმილიით სამივე ერთად ღირს 9 ლარი, ხოლო საზოგადოების წესდების დამოწმების ღირებულება გამოითვლება განსაზღვრული ნორმატივების მიხედვით და გამოდის 60 ლარი. ამის გარდა საჭიროა სარეგისტრაციო თანხა 80 აშშ დოლარი.

საბუთებიდან აუცილებელია ასევე, ოფისის მფლობელის თანხმობა, თუ ხელშეკრულება ჯერ არ არის დადებული. და რაც მთავარია საწესდებო კაპიტალის არსებობის შესახებ ცნობები: ფულადი შენატანის შემთხვევაში ცნობა ბანკიდან და არაფულადი კაპიტალის არსებობისას აუდიტორის დასკვნა არის აუცილებელი.

ის ბიუროკარატიული აპარატი და კორუფცია თავს იჩენს ასევე შპს-ს რეგისტრაციის დროსაც და უფრო ფართე სახეს ღებულობს. აქ უკვე მოსამართლის დაჩქარებას 100 აშშ დოლარი ჭირდება და შესაბამისად დიდია სარეგისტრაციო ფირმების მომსახურების ღირებულებაც (300-350 აშშ დოლარი). მაგრამ საწარმოს დაარსების მსურველს ურჩევნია ზედმეტი გადაიხადოს და ერთ დღეში გამზადებული საბუთები ჩააბარონ, ვიდრე უამრავ პრობლემას წააწყდეს.

შპს-ს დაფუძნების ხელის შემშლელი ფაქტორები ნამდვილი დარტყმაა საქართველოს მცირე ბიზნესისათვის, რადგან ეს ფორმაა უმეტესად გავრცელებული, მხოლოდ რამდენიმე თუ იქნება ინდივიდუალური საწარმო და უფრო ცოტა სააქციო საზოგადოება.

იგივე სიტუაციაა სააქციო საზოგადოების დაფუძნების შემთხვევაშიც, რომლისთვისაც საჭიროა შემდეგი საბუთები:

– განცხადება - ნოტარიალურად დამოწმებული; (საფასური 3 ლარი)

– საზოგადოების წესდება (5 ეგზემპლიარი) - ნოტარიალურად დამოწმებული; (საფასური 60 ლარი)

– აქციონერთა კრების ოქმი - შედგენილია ნოტარიუსის მიერ;

– სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმი - ნოტარიალურად დამოწმებული; (საფასური 3 ლარი)

– ფულადი შენატანის შემთხვევაში - ცნობა ბანკიდან; (საწესდებო კაპიტალი 15 000 ლარი)

– არაფულადი შესატანით დაფუძნებისას - შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი (აუდიტორის ცნობა);

– წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ყველა პირისათვის - შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ მიმართ არ ყოფილა გამოყენებული სასჯელი ქონებრივი დანაშაულისათვის;

– ცნობა ოფისის შესახებ (თანხმობა ან ხელშეკრულება);

– სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი:

✓ იუსტიციის სამინისტრო - 90 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში;

✓ რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი - 90 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში;

ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა სარეგისტრაციო საბუთებში არ არის მითითებული ასევე:

- საგადასახადოში ინსპექციის საიდენტიფიკაციო კოდი;
- სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის საიდენტიფიკაციო კოდი;
- პოლიციიდან ნებართვა ბეჭედზე;
- ბეჭედი.

ეს უკანასკნელნი საჭიროა სასამართლო დადგენილების მიღების შემდეგ. ბეჭედის გაკეთება ღირს 50 ლარამდე. საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო კოდის მიღებისათვის ოფიციალური გადასახადია - 10 ლარი.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ საქართველოში კანონმდებლობით არსებული საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მათი დაფუძნებისათვის საჭირო ოფიციალური დოკუმენტაცია. ფირმის გახსნის მსურველთათვის საბუთების ამ სიათა მოგროვების ნაცვლად არსებობს, მეორე ალტერნატივა — კერძო სარეგისტრაციო ფირმები, რომლებიც ერთ დღეში ახორციელებენ მომსახურებას, რომელიც შეიძლება ცალკეულ პიროვნებას რამდენიმე კვირის განმავლობაში გაუგრძელდეს. ცხრილში №1 მოცემულია კერძო სარეგისტრაციო ფირმების მომსხურების ღირებულება.

სასამართლოში მისულ ფირმის დაფუძნების მსურველთ აიძულებენ, რომ რეგისტრაციასთან დაკავშირებული საქმეები მიანდონ სასამართლოს მიერ შეთავაზებულ კანდიდატურებს, რომლებიც „საქმეს ერთ დღეში მოაგვარებენ". ხოლო თუ კი მეწარმე თვით ეცდება გააკეთოს ყოველივე საბუთი, საქმე გაჭიანურდება და მის დასაჩქასრებლად სუსტი ნერვების მქონე პირები იძულებულნი ხდებიან მიაკითხონ იმ ფირმებს, რომლებიც „ყველაფერს უცებ გააკეთებენ".

როგორც თვით ამ სფეროს წარმომადგენლები ამბობენ უფრო ხშირია ინდივიდულუარი საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების დაფუძნების შემთხვევები, ხოლო სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმების შემთხვევები წლების განმავლობაში ერთეულებია.

ფირმის დაფუძნება საჭიროა რაიმე საქმიანობის დაწყებისათვის. თუ ეს საქმიანობა ლიცენზირებადია, შესაბამისად საჭიროა აიღოთ ლიცენზიები და სერთიფიკატები. მთელი სირთულეც ამაშია. საქართველოში სულ რამდენიმე სალიცენზიო ორგანო სადაც გამარტივებულია ეს პროცესი, ძირითადად კი ბიუროკრატები ადამინის გამძლეობაზე თამაშით აღწევენ მიზანს — ლიცენზიის მსურველმა გადაიხადოს „მალე გაკეთების საფასური".

ლიცენზია არის საბუთი, რომელიც ნებართვას იძლევა დადგენილი დროის განმავლობაში, განსაზღვრული პირობების დაცვით, განხორციელდეს მასში აღნიშნული საქმიანობა.

სარეგისტრაციო ფირმების მომსახურების ტარიფები

ცხრილი №1

სამართლებრივი სახეები	აშშ დოლარი
ინდივიდულური საწარმო	100
შპს	300-350
სააქციო საზოგადოება	500-550

ლიცენზიის მფლობელის უფლება ამ საქმიანობის განხორციელებაზე წარმოიშობა ნებართვის მიღების მომენტიდან. სხვა პირზე ლიცენზიის გადაცემა არ შეიძლება.

ლიცენზიის მაძიებელს შეუძლია ერთდროულად განახორციელოს რამდენიმე ლიცენზირებადი საქმიანობა შესაბამისი ლიცენზირების საფუძველზე, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება მომქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ლიცენზია გაიცემა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე განცხადებისა და სხვა საბუთების წარდგენის შემდგომ.

ლიცენზირების ძირითადი მიზანია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათის მქონე ცალკეული სახის საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება და ამ საქმიანობის კონტროლი. ამის გამო ლიცენზირება უნდა იყოს მარეგულირებელი მექანიზმი და არა კორუფციის საფუძველი.

ლიცენზიამ უნდა დაადასტუროს მისი მფლობელის კვალიფიკაციისა და სამუშაოთა შესრულების (მომსახურების გაწევის) ხარისხის შესაბამისობა მოცემულ საქმიანობაზე კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან (ლიცენზირების პირობებთან).

ლიცენზიები ხელს უშლის თავის მხრივ მცირე ბიზნესის განვითარებას. მეწარმეს იმდენი უჯდება ლიცენზიების მიღება, რომ ზოგჯერ ურჩევნიათ თავიანთი იდეის უარყოფა. და ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ცდილობს მცირე ბიზნესის ხელშეწყობას და გასცემს სუბსიდიებს. ამ მხრივ საჭირო ხდება შემუშავდეს ზოგიერთი ლიცენზიების გაცემაზე მოსაკრებლების ისეთი ოდენობა, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესს.

საწარმოს დაარსებისათვის სასამართლოებში არაოფიციალურად გადასახდელია 100-დან 300 ლარამდე, გამომდინარე ფირმის სამართლებრივი ფორმიდან

საინჟინრო-საძიებო სამუშაოების, საპრო-

ექტო სამუშაოების, საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა წარმოების ან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების ლიცენზიას გასცემს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს

ლიცენზიები ხელს უშლის თავის მხრივ მცირე ბიზნესის განვითარებას

სახელმწიფო ლიცენზირების ცენტრი.

ამ სახეობებზე ლიცენზიების მიღებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია:

✓ განცხადება;

✓ განცხადებულ სალიცენზიო სამუშაოთა სახეები;

✓ ორგანიზაციის წესდება (დამადასტურებელი ასლი);

✓ ინფორმაცია სალიცენზიო სუბიექტზე;

✓ ცნობა სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ;

✓ ინფორმაცია ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ;

✓ ინფორმაცია მოქმედი ხარისხის კონტროლის შიგა საწარმოს სისტემის შესახებ;

✓ დამკვეთთა დასკვნები ადრე შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესახებ;

ვიდრე ლიცენზირების შესახებ არ იარსებებს სრულფასოვანი კანონმდებლობა, ამ სფეროში კორუფცია ვერ აღმოიფხვრება

✓ სალიცენზიო გადასახადის ქვითარი (ცხრილი №2).

სალიცენზიო გადასახადი, როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ სამ სახეობაზე არის 300 ლარი ერთ წლიანი და 720 ლარი სამ წლიანი ლიცენზიის შემთხვევაში. თუნდაც ერთ სახეობაზე იქნას მიღებული ლიცენზია გადასახადი მაინც იგივე რჩება. დამატებით თითოეულ სახეობაზე კი საჭიროა დამატება 72 ლარის ერთი წლით და 180 ლარის სამი წლით ლიცენზიის მისაღებად.

საპროექტო ორგანიზაციებისათვის განცხადებაში მითითებულ უნდა იქნას, რომ ორგანიზაცია გარანტიას იძლევა დაამუშავოს საპროექტო დოკუმენტაცია სამშენებლო, ტექნოლოგიური, სანიტარული ნორმებისა და წესების შესაბამისად. პროექტი უზრუნველყოფს ობიექტის კონსტრუქციულ საიმედობას, ფეთქებად და ხანძარსაწინააღმდეგო

ცხრილი №2

სალიცენზიო გადასახადი სამშენებლო-საპროექტო სამუშაოებზე		
სახეობები	1 წელი	3 წელი
I-III	300 ლარი	720 ლარი
+ 1	+72 ლარი	+180 ლარი

უსაფრთხოებას, მოსახლეობის დაცვასა და ობიექტის საიმედო ფუნქციონირებას საგანგებო მდგომარეობის დროს, ბუნებათსარგებლობის წესების დაცვას.

სამშენებლო და საწარმოო ორგანიზაციებისათვის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს, რომ ორგანიზაცია გარანტიას იძლევა გამოუშვას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, შეასრულოს სამუშაოები ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებით, პროექტის მიხედვით აუცილებელი სიმტკიცის ხარისხით, სამუშაოთა წარმოების ხანძარ და ფეთქებად საწინააღმდეგო მეთოდებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით, აგრეთვე ქვესაიჯარო სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი ლიცენზიების მქონე საწარმოთა მოწვევით.

სალიცენზიო სუბიექტის შესახებ საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:

• სალიცენზიო სუბიექტის სრული და მოკლე დასახელება;

• იურიდიული მისამართი, ტელეფონები, ტელეტაიპი, ფაქსი, საანგარიშო რეკვიზიტები, თითოეულ სტრუქტურულ ქვეგანაყოფზე;

• ორგანიზაციის სტრუქტურის მოკლე აღწერა (რა ქვეგანაყოფები არსებობს, რა საქმიანობას ეწევიან და ა.შ.);

• ცნობები ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებებზე;

• დაპროექტებული ან აშენებული ობიექტების, გამოშვებული მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების მაგალითები, და სხვა;

• მუდმივი მუშაკების რაოდენობა (რიცხოვნობა), საინჟინრო-ტექნიკური, მუშები;

• დროებითი მუშაკების რაოდენობა, საინჟინრო-ტექნიკური, მუშები.

ფირმის დაფუძნების შემდეგ თუკი კვების პროდუქტების წარმოების სურვილი გაქვთ, ლიცენზიის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთები:

1. განცხადება;
2. წარმოების წესდების ან სასამართლოს დადგენილების ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ან ქსეროასლი);
3. ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი;
4. დასკვნა საწარმოს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის სისტემების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
5. ნორმატიული დოკუმენტაცია (ტექნოლოგიური ინსტრუქცია ს.ო.ს.ტ.; სახელმწიფო სტანდარტი);
6. ინფორმაცია სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ (გ.ს.მ. თანამდებობა, სპეციალობა ან მოცემულ დარგში მუშაობის გამოცდილება);

7. ინფორმაცია წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (შენობა-ნაგებობი, საერთო ფართი, მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი სიმძლავრეების ჩვენებით);

8. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საიდენტიფიკაციო კოდი (ასლი);

9. საგადასახადო ინსპექციაში მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდი;

10. ინფორმაცია შიდასაწარმოო კონტროლის არსებობის შესახებ (ადგილზე რა მაჩვენებელი ისაზღვრება), ხელშეკრულების ასლი სპეციალიზირებულ (სერტიფიცირებულ) ლაბორატორიასთან მომსახურების შესახებ;

11. ეტიკეტის ესკიზი, ორ-ორი ეგზემპლიარი (საჭიროების შემთხვევაში);

12. სალიცენზიო მოსაკრებლის ქვითარის ასლი.

✓ იურიდიული პირი - 30 ლარი;

✓ ფიზიკური პირი - 15 ლარი.

ამ ჩამონათვალში 3 და 4 პუნქტებიდან საბუთებია ის, რომელიც მეწარმეობის განვითარებისათვის შეიძლება შემაფერხებელ ფაქტორად ჩაითვალოს. არა იმდენად ამ მოთხოვნების შესრულება, რამდენადაც ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა, კერძოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ამ მოთხოვნების შესრულებაზე მეთვალყურეობა.

ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი მწარმოებელმა ფირმამ უნდა მიიღოს ქალაქის, რაიონის სანეპითსადგურში. ეს დოკუმენტი იძლევა ნებართვას, რომ არსებული საწარმო თავისი ფართით, სათავსებით, მოწყობილობებით, ჰიგიენური ნორმების დაცვით უზრუნველყოფს ჰიგიენურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოებას.

ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის მისაღებად ოფიციალურად საჭიროა შემდეგი საბუთები:

- ხელშეკრულება მედკომისიიდან;
- ხელშეკრულება დეზინფექციის ბაზასთან;
- მოსაკრებელი 48 (30+18) ლარი.

მთავარი კი ის არის, თუ რამდენად ესადაგება არსებული წარმოება ობიექტის ჰიგიენურ ნორმებს. მაგრამ აქაც შეიძლება შემმოწმებელთან საერთო ენის გამონახვა. თუკი ნორმა 80 კვადრატული მეტრია, რადგან ფაქტიურად უფრო მცირე ფართობზე ვერ მოხდება პროდუქციის (მაგალითად ძეხვის) წარმოება, მაშინ შემმოწმებელი ჯერ ემუქრება, რომ ფართობის სიმცირის პირობებში (50 კვადრატული მეტრი), ლიცენზიას ვერ მიიღებენ. ხოლო შემდეგ „ცრუ პატრიოტული" მიდგომის გამო ყველაფერი გვარდება. ასეთი შემთხვევები ბევრია და თუ მწარმოებელმა რომელიმე ნორმა არ იცის ობობის ქსელში ეხვევა.

ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის მიღების შემდეგ კვების პროდუქტის წარმოების ლიცენზიის მისაღებად საჭიროა დასკვნა საწარმოს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის სისტემების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (პროდუქციის ჰიგიენური უსაფრთხოების სერტიფიკატი). ამ ცნობით დასტურდება, რომ პროდუქცია არ არის მომწამვლელი. ამ სახის სერტიფიკატისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები:

- ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი;
- ტექნიკური ინსტრუქცია;
- ბეჭედი;
- პროდუქტის ნიმუში;
- მოსაკრებელი - 213 ლარი.

ფირმის დაფუძნებისა და შემდეგ საქმიანობის დაწყებისათვის საჭირო საბუთების ამ გრძელი სიის მოგროვება იმდენად დამქანცველი და შრომატევადია, რომ ფირმის დამფუძნებელები ყოველნაირ მოთხოვნებზე თანხმდებიან, ოღონდაც დაიწყონ საქონლის წარმოება. ეს არის ბიუროკრატიზმის მწვერვალი და მთავარი მიზანი, რომ ადამიანი დაიღალოს ერთი სტრუქტურიდან მეორე სტრუქტურაში სირბილით.

ფაქტიურად ბიზნესის დასაწყებად მოქალაქეს, სანამ კონკრეტულ საქმემდე მივა, საშუალოდ 1000 დოლარის დახარჯვა უწევს ფირმის გახსნიდან დაწყებული ლიცენზიებისა და სერტიფიკატების მიღების ჩათვლით (როცა ყოველი ოფიციალური საბუთი მზადაა).

საქართველოში საჭიროა ამ ბიუროკრატიული აპარატების გამარტივება და უფრო გამჭვირვალობა, რათა ჩვენი ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ იცოდეს თუ რა არის საჭირო თავისი საქმიანობის დასაწყებად. აუცილებელია სახელმწიფომ გაამარტივოს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისათვის არსებული ოფიციალური მოთხოვნები და ხელი შეუწყოს ამ მიზნით საინფორმაციო ცენტრების ჩამოყალიბებას და მოსახლეობის უფრო მეტად ინფორმირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ნოტარიუსების საქმიანობის კანონით დარეგულირებამდე ეს მომსახურება საკმაოდ ძვირი უჯდებოდათ მეწარმეებს, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს, დღეისათვის ეს სფერო მეტნაკლებად დარეგულირებულია და შეიძლება ითქვას ერთი პატარა ნაბიჯი სამეწარმეო საქმიანობის გამარტივებისათვის უკვე გადაიდგა.

გარდა ამისა, გაუგებარია იუსტიციის სამინისტროსა და ადგილობრივი მმართველობის სარეგისტრაციო მოსაკრებლები რატომ არის დაფიქსირებული აშშ დოლარებში, როდესაც საქართველოში სამი წელია ერთადერთ გადამხდელ საშუალებად გამოცხადებულია ეროვნული ვალუტა — ლარი.

მოხსენებაში შევეცადეთ გამოგვეშკარავებინა ამ სფეროში არსებული პრობლემები და კანონდარღვევები. გვსურდა წარმოგვეჩინა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას რამდენი ბიუროკრატიული ხელის შემშლელი პრობლემები წამოიჭრება.

კორუფცია და კიდევ უფრო მეტად ბიუროკრატიზმი ხელს უშლის ნორმალური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ჩვენ მომავალში კიდევ გავაგრძელებთ სხვადასხვა სფეროთა შესწავლას და შევეცდებით, რომ ჩვენი გამოკვლევები უფრო საფუძვლიანი და კონკრეტული იყოს.